

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო



გადაწყვეტილებების, საკონსულტაციო დასკვნებისა და
ბრძანებულებების ანგარიში

ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის
მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ

2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნა

* თარგმანი მომზადებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

ციტირების ოფიციალური ნიმუში:

Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory,
Advisory Opinion, I.C.J. Reports 2004, გვ. 136.

ISSN 0074-4441

TSBN 92-1-070993-4

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

2004 წელი

9 ივლისი 2004

**ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის
სამართლებრივი შედეგების შესახებ**

სასამართლო უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნის მიღების შემთხვევაში გასცეს საკონსულტაციო დასკვნა.

[მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს] სტატუტის 65-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი - [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის] წესდების 96-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი - [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის] გენერალური ასამბლეის უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სთხოვოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემა - გენერალური ასამბლეის საქმიანობა.

მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა გენერალური ასამბლეის ES-10/14 რეზოლუციის მიღებას, რომლითაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ეთხოვა ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადება.

მოსაზრებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ წესდებით ultra vires მოქმედების შესახებ - წესდების მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და 24-ე მუხლი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წესდების მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფის განმარტების საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა - გენერალური ასამბლეა უფლებამოსილების გადამეტებით არ მოქმედებდა.

მეათე საგანგებო და სპეციალურ სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნა - სესია ჩატარდა 377 A (V) ('Uniting for Peace' ['შვიდობისთვის გაერთიანების']) რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად - ამ რეზოლუციის მოთხოვნები - შემდგომი პროცედურების განმეორებითი ხასიათი.

შეკითხვის ფორმულირების არაორაზროვნების საკითხთან დაკავშირებული დავა - შეკითხვის ზედმეტად აბსტრაქტული ხასიათი - შეკითხვასთან დაკავშირებული პოლიტიკური ასპექტები - საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის განმაპირობებელი გარემოებები და შესაძლო თანმდევი მოვლენები - შეკითხვის 'სამართლებრივ' ხასიათზე ზემოთ მოყვანილი გარემოებების გავლენის არქონა.

სასამართლოს უფლებამოსილება გასცეს გენერალური ასამბლეის მიერ მოთხოვნილი საკონსულტაციო დასკვნა.

**

სასამართლოს უფლებამოსილება თავად გადაწყვიტოს უნდა გასცეს თუ არა საკონსულტაციო დასკვნა.

სტატუტის 65-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი - აღნიშნულ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფოს თანხმობის არარსებობის მნიშვნელობა - სამართლებრივი საკითხის მნიშვნელობა მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის და არა მხოლოდ ისრაელისა და პალესტინის ორმხრივ ურთიერთობებში - ეს სამართლებრივი შეკითხვა, როგორც ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტი - სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საკმარისობის საკითხი - საკონსულტაციო დასკვნის გამოსადეგობა და მისი დანიშნულება - Nullus commodum capere potest de sua injuria propria - საკონსულტაციო დასკვნის გენერალური ასამბლეისთვის და არა კონკრეტული სახელმწიფოებისა თუ დაწესებულებებისათვის გამოცემის საკითხი.

ისეთი 'დაუძლეველი მიზეზების' არარსებობა, რომლის გამოც სასამართლო განახორციელებდა თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომ არ გამოეცა საკონსულტაციო დასკვნა.

**

ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის 'სამართლებრივი შედეგები', მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო - შეკითხვის ხასიათი - საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნა კედლის მხოლოდ იმ ნაწილის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზეა აგებული - ტერმინ 'კედლის' გამოყენება.

ისტორიული საფუძვლები.

კედლის აღწერილობა.

**

გამოსაყენებელი სამართალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება - გენერალური ასამბლეის 2625 (XXV) რეზოლუცია - ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის შედეგად ტერიტორიის მოპოვების უკანონობა - ხალხთა თვითგამორკვევის უფლება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენცია - ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის გავრცელება - ადამიანის უფლებების სამართალი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი - ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის სფეროების ურთიერთმიმართება - ეროვნული ტერიტორიების მიღმა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების მოქმედების საკითხი - ამ ინსტრუმენტების ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე გავრცელების საკითხი.

**

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასახლებები შექმნილია ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით - კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი რეალურად ქმნის ერთგვარ *'fait accompli'* შემთხვევას, რომელიც შესაძლოა სამუდამო მოცემულობად გადაიქცეს - სიტუაციის de facto ანექსიად ჩამოყალიბების რისკები - კედლის მშენებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს პალესტინელ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და შესაბამისად, ამ უფლების უგულებელყოფის გამო ისრაელი არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს.

გამოსაყენებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის რელევანტური ინსტრუმენტების დებულებები - ქონების განადგურება და რეკვიზიცია - ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების მცხოვრებთათვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა - ცალკეული პირებისთვის მუშაობის, ჯანმრთელობის, განათლებისა და ცხოვრების სათანადო დონის უფლებების შეზღუდვა - ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებები - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებები, რომლებიც იძლევა საგანგებო სამხედრო მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ხელშეკრულებების ცალკეული მუხლებიდან გადახვევის შესაძლებლობას - კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დაწესება ვერ იქნება გამართლებული სამხედრო აუცილებლობისა და ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის დაცვის საბაზით - ისრაელის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტების ცალკეული დებულებებით გათვალისწინებული რიგი ვალდებულებების დარღვევა.

თავდაცვა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი - ისრაელის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები, რომლებიც სხვა სახელმწიფოს

არ მიეწერებოდა - აღნიშნული საფრთხეების საპასუხოდ ისრაელის მიერ მის კონტროლს დაექვემდებარებულ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობა - აღნიშნულ საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის არარელევანტურობა.

აუცილებლობა - საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი - პირობები - ისრაელის მიერ კედლის მშენებლობა არა მხოლოდ მისვე მიერ მოხმობილი საშიშროების მოგერიებისთვის, არამედ სხვა მიზნებისთვისაც.

კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან.

**

ისრაელის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.

ისრაელის საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი - ისრაელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც მან კედლის აღმართვით დაარღვია - ისრაელი ვალდებულია შეწყვიტოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა - ისრაელის ვალდებულებები შეაჩეროს მიმდინარე კედლის მშენებლობის სამუშაოები, დაანგრის უკვე აშენებული კონსტრუქცია და გააუქმოს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამართლებრივი თუ სხვა მომწესრიგებელი აქტები, რომლებიც ამ ნაგებობას და შესაბამის რეჟიმს უკავშირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დოკუმენტები ისრაელის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და კედლის მშენებლობით გამოწვეული ზიანისთვის შესაბამის რეპარაციას უზრუნველყოფს - ისრაელი ვალდებულია კედლის მშენებლობის შედეგად ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის მიყენებული ზიანის საპასუხოდ უზრუნველყოს რეპარაცია.

სამართლებრივი შედეგები სხვა ქვეყნებისათვის - ისრაელის მიერ დარღვეული ცალკეული ვალდებულებების erga omnes ხასიათი - ყველა სახელმწიფოს ვალდებულება არ სცნოს ისრაელის მიერ კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი უკანონო მდგომარეობა და არ დაეხმაროს ან ხელი არ შეუწყოს შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებას - ყველა სახელმწიფოს ვალდებულება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და საერთაშორისო ვალდებულებების დაცვით უზრუნველყონ, რომ ისრაელის მიერ კედლის უკანონოდ მშენებლობის შედეგად პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების დარღვევა არ გაგრძელდეს - 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის ყველა ხელშემკვრელი მხარის ვალდებულება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო ვალდებულებების დაცვით უზრუნველყონ ისრაელის მიერ კონვენციის დებულებებით გათვალისწინებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესრულება - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი - გენერალური

ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ ამ საკონსულტაციო დასკვნის გათვალისწინებით ისეთი დამატებითი ზომების მიღების აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი უკანონო მდგომარეობის დასრულებას.

**

კედლის მშენებლობა უფრო ფართო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული - ისრაელისა და პალესტინის ვალდებულება ზედმიწევნით დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, განსაკუთრებით კი - 242 (1967) და 338 (1973) რეზოლუციების კეთილსინდისიერად შესრულება - 'გეგმის მონახაზი' - არსებული პრობლემების გადაჭრისთვის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად მოლაპარაკებებზე დამყარებული გამოსავლის შეძლებისდაგვარად სწრაფად პოვნისა და რეგიონში ყველას მშვიდობისა და უსაფრთხოების გათვალისწინებითა და დაცვის პირობით პალესტინური სახელმწიფოს შექმნის მიზნით საჭირო ნაბიჯების გადადგმის წახალისების აუცილებლობა.

საკონსულტაციო დასკვნა

განხილვას ესწრებოდნენ: პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ბურგენტალი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა; მდივანი: კუვრერი.

ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ,

სასამართლო,

ზემოხსენებული შემადგენლობით,

გამოსცემს ამ საკონსულტაციო დასკვნას:

1. სამართლებრივი შეკითხვა, რომელზეც სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის მომზადება მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის (შემდგომში 'გენერალური ასამბლეა') მიერ 2003 წლის 8 დეკემბრის რიგით მე-10 საგანგებო სხდომაზე მიღებულ ES-10/14 რეზოლუციაში. სასამართლოს სამდივნომ 2003 წლის 10 დეკემბერს მიიღო 2003 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული წერილი ფაქსიმილეთი, რომლის დედანიც სამდივნოს შემდგომში ჩაბარდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სასამართლოს სამდივნოს ოფიციალურად შეატყობინა

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოსამზადებლად სასამართლოს შეკითხვა გაგზავნოდა. წერილს თან ერთვოდა ES-10/14 რეზოლუციის ფრანგული და ინგლისური ვერსიები. რეზოლუციის ტექსტი ასეთია:

‘გენერალური ასამბლეა,

აღიარებს რა 2003 წლის 21 ოქტომბრის ES-10/13 რეზოლუციის მნიშვნელობას,

მოქმედებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად,

ითვალისწინებს რა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ძალის გამოყენებით ტერიტორიის მოპოვების დაუშვებლობის შესახებ,

აგრეთვე ითვალისწინებს რა, რომ სახელმწიფოთა უფლებრივი თანასწორობისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნების დაცვით სხვადასხვა ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს განეკუთვნება,

კიდევ ერთხელ მიუთითებს რა გენერალური ასამბლეის რელევანტურ რეზოლუციებზე, მათ შორის 1947 წლის 29 ნოემბრის 181 (11) რეზოლუციაზე, რომლის საფუძველზეც მოხდა სამანდატო პალესტინური ტერიტორიების ორ, არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ გაყოფა,

ამასთან, კიდევ ერთხელ მიუთითებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რელევანტურ რეზოლუციებზე, მათ შორის, 1967 წლის 22 ნოემბრის 242 (1967), 1973 წლის 22 ოქტომბრის 338 (1973), 1969 წლის 3 ივლისის 267 (1969), 1971 წლის 25 სექტემბრის 298 (1971), 1979 წლის 22 მარტის 446 (1979), 1979 წლის 20 ივლისის 452 (1979), 1980 წლის 1 მარტის 465 (1980), 1980 წლის 30 ივნისის 476 (1980), 1980 წლის 20 აგვისტოს 498 (1980), 1994 წლის 18 მარტის 904 (1994), 1996 წლის 28 სექტემბრის 1073 (1996), 2002 წლის 12 მარტის 1397 (2002) და 2003 წლის 19 ნოემბრის 1515 (2003) რეზოლუციებზე,

აღიარებს რა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში ჟენევის მეოთხე კონვენციისა¹ და ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის² მოქმედებას,

¹United Nations, *Treaty Series*, Vol. 75, No. 973.

²*Ibid.* Vol. 1125, No. 17512.

მიუთითებს რა ხმელეთზე წარმოებული ომის სამართლისა და ჩვეულებების დაცვის შესახებ 1907 წლის ჰააგის მეოთხე კონვენციის დანართზე,³

მიესალმება რა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კონვენციის მოთხოვნების დაცვის გაუმჯობესებისთვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხზე 1999 წლის 17 ივლისს ჟენევის მეოთხე კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ ჟენევაში საგანგებო კონფერენციის გამართვას,

მხარს უჭერს 2001 წლის 5 დეკემბერს ჟენევაში ხელშემკვრელი მხარეების მიერ გამართულ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციის ტექსტს,

მიუთითებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიღებულ რეზოლუციებზე, რომლებშიც მოხსენიებულია, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, ისრაელის მიერ შექმნილი დასახლებები უკანონოა და წარმოადგენს მშვიდობის დამყარებისა თუ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს და რომლებშიც ხაზგასმულია ისრაელის ვალდებულება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ დასახლებებთან დაკავშირებული ყველანაირი უკანონო საქმიანობა,

მიუთითებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებზე, რომლებშიც აღიარებულია, რომ ისრაელის, ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთ იერუსალიმის სტატუსისა და დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის მიზნით მიღებული ზომები უკანონოა და თავიდანვე ბათილია,

აღნიშნავს რა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ისრაელის მთავრობასა და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის მიღწეული შეთანხმებების მნიშვნელობას,

გამოთქვამს რა შეშფოთებას ისრაელის, ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში 1949 წლის ზავით დადგენილი ადმინისტრაციული ზოლის (მწვანე ხაზის) მიღმა კედლის მშენებლობის პროცესის დაწყებისა და განგრძობითი ხასიათის გამო, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია პალესტინური ტერიტორიების კონფისკაცია და განადგურება, ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენება, დაცვით მოსარგებლე ათასობით სამოქალაქო პირის სიცოცხლის მოსპობა და ტერიტორიის დიდი ნაწილის *de facto* ანექსია, ისევე როგორც,

³იხილეთ Carnegie Endowment for International Peace, *The Hague Conventions and Declarations of 1899 and 1907* (New York, Oxford University press, 1915).

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კედლის მშენებლობის საკითხზე ისრაელის მიმართ ერთსულოვანი წინააღმდეგობა,

აგრეთვე, გამოთქვამს რა შემფოთებას ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე უკვე აღმართული კედლის კონსტრუქციების მიერ პალესტინელი სამოქალაქო მოსახლეობისთვისა და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებისა და რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის მიყენებული ზიანის გამო,

მიესალმება რა ადამიანის უფლებების კომისიის სპეციალური მომხსენებლის მიერ 1967 წლის შემდეგ ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის საკითხზე მომზადებულ ანგარიშს,⁴ განსაკუთრებით კი ამ დოკუმენტის ნაწილს, რომელიც კედელთან დაკავშირებულ ასპექტებს განიხილავს,

აღიარებს რა 1949 წლის საზავო ზოლის მიღმა მცხოვრები ორი ქვეყნის, ისრაელისა და პალესტინის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების შესაბამისად კონფლიქტის საბოლოო მოგვარების აუცილებლობის მნიშვნელობას,

განიხილა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ ES-10/13⁵ რეზოლუციის შესაბამისად მომზადებული ანგარიში,

ითვალისწინებს რა, რომ ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის მიერ კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დაწესების კუთხით საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების უგულვებელყოფა დროის გასვლასთან ერთად კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე,

იღებს გადაწყვეტილებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 96-ე მუხლის შესაბამისად სთხოვოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, რომ სასამართლოს სტატუტის 65-ე მუხლის მიხედვით დაუყოვნებლივ მოამზადოს საკონსულტაციო დასკვნა ამ შეკითხვაზე:

საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის, 1949 წლის ჟენევის კონვენციისა და გაერთიანებული

⁴ E/CN.4/2004/6.

⁵ A/ES-10/248.

ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების გათვალისწინებით, რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ისრაელის, ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო კედლის მშენებლობა, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშშია აღწერილი?

წერილს აგრეთვე ერთვოდა 2003 წლის 24 ნოემბრით დათარიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ გენერალური ასამბლეის ES-10/13 რეზოლუციის შესაბამისად მომზადებული ანგარიშის (A/ES-10/248) ინგლისური და ფრანგული ტექსტი, რომელიც ES-10/14 რეზოლუციაშიც არის მოხსენიებული.

2. სასამართლოს წესდების 66-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, სამდივნომ 2003 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული წერილით საკონსულტაციო დასკვნის გამოცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით შეტყობინება გაუგზავნა ყველა სახელმწიფოს, რომელთაც შეეძლოთ სასამართლოს წინაშე წარდგენა.

3. ისრაელის მთავრობამ სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრით დათარიღებული წერილით აცნობა, საკუთარი პოზიცია საკონსულტაციო დასკვნის გამოცემის მოთხოვნასა და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით.

4. სასამართლომ 2003 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდი ალბათობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი წევრი სახელმწიფოები სტატუტის 66-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად შეძლებდნენ სამართლებრივ შეკითხვასთან დაკავშირებულ საკითხზე სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდებას და სტატუტის 66-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის მოთხოვნების დაცვით სასამართლოსთვის წერილობითი პოზიციის მიწოდების საბოლოო ვადად 2004 წლის 30 იანვარი განსაზღვრა. სასამართლომ იმავე ბრძანებით გადაწყვიტა, რომ ES-10/14 რეზოლუციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშის დებულებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გენერალურმა ასამბლეამ პალესტინას დამკვირვებლის სპეციალური სტატუსი მიანიჭა და რომ რეზოლუცია, რომლითაც სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის მომზადება, პალესტინის თანასპონსორობით იქნა წარმოდგენილი, მითითებულ ვადაში წერილობითი პოზიციის წარმოდგენა პალესტინასაც შეეძლო.

5. სასამართლომ ზემოხსენებული ბრძანებით ასევე გადაწყვიტა, რომ სასამართლოს წესების 105-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად გაემართა საჯარო მოსმენა, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის წევრ სახელმწიფოებს შეეძლებოდათ ზეპირი მოხსენებისა და კომენტარების წარმოდგენა იმის მიუხედავად, ადრე მანამდე სასამართლოსთვის უკვე გაგზავნილი ჰქონდათ თუ არა პოზიცია წერილობითი ფორმით. ზეპირი მოსმენის თარიღად 2004 წლის 23 თებერვალი განისაზღვრა. სასამართლომ

ზემოხსენებული ბრძანებით გადაწყვიტა, რომ წინა პარაგრაფში (იხილეთ მე-4 პარაგრაფი) მოცემული მიზეზების გამო პალესტინასაც შეეძლო სასამართლოსთვის პოზიციის ზეპირად წარდგენა. და ბოლოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის წევრ სახელმწიფოებს, ისევე როგორც პალესტინას გაეგზავნათ მოწვევა ზეპირ მოსმენაზე დასასწრებად. მოსმენაზე დასწრების დადასტურების საბოლოო ვადად 2004 წლის 13 თებერვალი განისაზღვრა. სამდივნომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მათ 2004 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული წერილით აცნობა და დანართის სახით ბრძანების ასლიც გაუგზავნა.

6. არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი შუამდგომლობების საკითხზე სასამართლომ სტატუტის 66-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვიტა, რომ, ამ ორ ორგანიზაციას შეეძლო განსახილველ სამართლებრივ შეკითხვაზე სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდებინა. შესაბამისად, მათ უფლება მიეცათ 2003 წლის 19 დეკემბრის ბრძანების მოთხოვნების დაცვით და მითითებულ ვადაში გაეგზავნათ წერილობითი მოხსენება და მონაწილეობა მიეღოთ ზეპირ მოსმენებში.

7. სტატუტის 65-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სასამართლოს გაუგზავნა დოკუმენტები, რომლებსაც შეეძლო ნათელი მოეფინა განსახილველი შეკითხვისთვის.

8. სასამართლოს შემადგენლობასთან დაკავშირებით გამოცემულ 2004 წლის 30 იანვრის ბრძანებით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისრაელის მთავრობის 2003 წლის 31 დეკემბრის წერილი და სასამართლოს პრეზიდენტისთვის სასამართლოს წესების 34-ე მუხლის შესაბამისად 2004 წლის 15 იანვარს გაგზავნილი კონფიდენციალური წერილები არ შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც დაუშვებელს გახდიდა განხილვაში მოსამართლე ელარაბის მონაწილეობას.

9. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლომ წერილობითი მოხსენებები მიიღო შემდეგი სახელმწიფოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან: გვინეა, საუდის არაბეთი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, ეგვიპტე, კამერუნი, რუსეთის ფედერაცია, ავსტრია, პალესტინა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იორდანია, ქუვეითი, ლიბანი, კანადა, სირია, შვეიცარია, ისრაელი, იემენი, ამერიკის შეერთებული შტატები, მაროკო, ინდონეზია, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, საფრანგეთი, იტალია, სუდანი, სამხრეთ აფრიკა, გერმანია, იაპონია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო, პაკისტანი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ირლანდია საკუთარი პოზიციით, ირლანდია ევროპის კავშირის პოზიციით, კვიპროსი, ბრაზილია, ნამიბია, მალტა, მალაიზია, ჰოლანდია, კუბა, შვედეთი, ესპანეთი, ბელგია, პალაუ, მიკრონეზიის სახელმწიფოთა ფედერაცია, მარშალის კუნძულები, სენეგალი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ მოხსენებების მიღების შემდეგ სამდივნომ მათი ასლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის წევრებს, პალესტინას,

არაბ სახელმწიფოთა ლიგასა და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციას გადაუგზავნა.

10. სასამართლოს სამდივნომ ამ სახელმწიფოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისგან უამრავი წერილი მიიღო, განსაკუთრებით კი ზეპირ მოსმენებთან დაკავშირებით. სასამართლოს სამდივნომ 2004 წლის 20 თებერვლის წერილით აცნობა, ზეპირი მოსმენების დეტალური განრიგის შესახებ მათ, ვინც წინასწარ განსაზღვრული ვადის დაცვით დაადასტურეს ზეპირ მოსმენებზე დასწრებისა და მასში მონაწილეობის სურვილი.

11. სასამართლოს წესდების 106-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წერილობითი მოხსენებები ზეპირი მოსმენების გახსნისთანავე გაესაჯაროებინა.

12. 2004 წლის 23-25 თებერვლის განმავლობაში ზეპირი მოხსენებები სასამართლომ ამ თანმიმდევრობით მოისმინა:

პალესტინას
წარმომადგენდა:

მისი აღმატებულება ბატონი ნასერი ალ-კიდვა,
ელჩი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში
პალესტინის მუდმივი დამკვირვებელი,

ქალბატონი სტეფანი კური, წევრი,
მოლაპარაკებების დამხმარე ქვედანაყოფი,
მომხსენებელი,

ბატონი ჯეიმს კროუფორდი, უეველის
საერთაშორისო სამართლის პროფესორი,
კემბრიჯის უნივერსიტეტი, საერთაშორისო
სამართლის ინსტიტუტის წევრი, მომხსენებელი და
ადვოკატი,

ბატონი ჯორჯ აბი-სააბი, საერთაშორისო
სამართლის პროფესორი, ჟენევის საერთაშორისო
მეცნიერებათა ინსტიტუტი, საერთაშორისო
სამართლის ინსტიტუტის წევრი, მომხსენებელი და
ადვოკატი,

ბატონი ვოგან ლოუი, ჩიჩელეს საერთაშორისო
სამართლის პროფესორი, ოქსფორდის
უნივერსიტეტი, მომხსენებელი და ადვოკატი,

	ბატონი ჟან სალმონი, საერთაშორისო სამართლის პროფესორ ემერიტუსი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, მომხსენებელი და ადვოკატი,
ალჟირის რესპუბლიკას წარმოადგენდა:	ბატონი აჰმედ ლარაბა, საერთაშორისო სამართლის პროფესორი,
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას წარმოადგენდა:	ბატონი აზიზ ფაჰადი, საგარეო ურთიერთობების მინისტრის მოადგილე, დელეგაციის მეთაური,
საუდის არაბეთის სამეფოს წარმოადგენდა:	მისი აღმატებულება ბატონი ფავზი ა. შობოკში, ელჩი, ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საუდის არაბეთის მუდმივი წარმომადგენელი და ელჩი, დელეგაციის წარმომადგენელი,
ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას წარმოადგენდა:	ბატონი ლიაკატ ალი ჩოუდური, ნიდერლანდების სამეფოში ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი,
ბელიზეს წარმოადგენდა:	ბატონი ჟან-მარი სორელი, პარიზი 1 (პანთეონ სორბონის) უნივერსიტეტის პროფესორი,
კუბის რესპუბლიკას წარმოადგენდა:	მისი აღმატებულება ბატონი ბელარდო მორენო ფერნანდესი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე,
ინდონეზიის რესპუბლიკას წარმოადგენდა:	მისი აღმატებულება ბატონი მოჰამედ იუსუფი, ნიდერლანდების სამეფოში ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი, დელეგაციის მეთაური,
იორდანის კაშემიტურ სამეფოს წარმოადგენდა:	მისი აღმატებულება ელჩი ზეიდ რაად ზეიდ ალ-ჰუსეინი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის ოფისში იორდანის კაშემიტური სამეფოს მუდმივი წარმომადგენელი, დელეგაციის მეთაური,
	სერ არტურ ვატსი, კ. ს. მ. გ., იორდანის კაშემიტური სამეფოს მთავრობის უფროსი სამართლებრივი ექსპერტი, მალაიზიას წარმოადგენდა:

მისი აღმატებულება დატუკ სერი სეიდ ჰამიდ ალბარი, მაღაიზიის საგარეო საქმეთა მინისტრი, დელეგაციის მეთაური,

მადაგასკარის
რესპუბლიკას
წარმოადგენდა:

მისი აღმატებულება ბატონი ალფრედ რამბელოსონი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის ოფისსა და სპეციალიზირებულ ორგანოებში მადაგასკარის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი,

სენეგალის რესპუბლიკას
წარმოადგენდა:

მისი აღმატებულება ბატონი სალიუ კისე, ნიდერლანდების სამეფოში სენეგალის რესპუბლიკის ელჩი, დელეგაციის მეთაური,

სუდანის რესპუბლიკას
წარმოადგენდა:

მისი აღმატებულება ბატონი აბუელგასიმ ა. ადრისი, ნიდერლანდების სამეფოში სუდანის რესპუბლიკის ელჩი,

არაბულ სახელმწიფოთა
ლიგას წარმოადგენდა:

ბატონი მაიკლ ბოთე, სამართლის პროფესორი, სამართლებრივი გუნდის მეთაური,

ისლამური
კონფერენციის
ორგანიზაციას
წარმოადგენდა:

მისი აღმატებულება ბატონი აბდელუაჰედ ბელკეზიზი, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის გენერალური მდივანი,

ქალბატონი მონიკ შემიე-გენდრო, საჯარო სამართლის პროფესორი, პარიზის VII-დენის დიდეროს უნივერსიტეტი, მომხსენებელი.

13. საკონსულტაციო დასკვნის გამოცემის შესახებ მოთხოვნის მიღების შემთხვევაში სასამართლო პირველ რიგში განიხილავს, აქვს თუ არა სამართლებრივი შეკითხვის განხილვაზე იურისდიქცია და თუკი პასუხი დადებითია, არსებობს თუ არა რაიმე მიზეზი, რის გამოც სასამართლომ იურისდიქციის განხორციელებისგან თავი უნდა შეიკავოს (იხილეთ *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996 (1), გვ. 232, para. 10).

14. ამრიგად, სასამართლო თავდაპირველად განიხილავს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ გენერალური ასამბლეის მიერ 2003 წლის 3 დეკემბერის მოთხოვნის განხილვაზე იურისდიქციის საკითხს. ამ საკითხზე სასამართლოს უფლებამოსილება გამომდინარეობს სტატუტის 65-ე მუხლის 1-ლ

პარაგრაფიდან, რომლის თანახმადაც, სასამართლოს 'შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად ან ამ დოკუმენტის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საპასუხოდ ნებისმიერ სამართლებრივ შეკითხვაზე გამოსცეს საკონსულტაციო დასკვნა'. სასამართლოს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა განემარტა, რომ:

'სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნა ეკუთვნოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს, შეკითხვა უნდა იყოს სამართლებრივი ხასიათის და გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეკითხვა გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს ეკუთვნის, ის შინაარსობრივად არ გასცდეს მოთხოვნის გამცემი ორგანოს საქმიანობის სფეროს'. (*Application for Review of Judgment No. 273 of the United Nations Administrative Tribunal, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1982*, გვ. 333-334, para. 21.)

15. სასამართლო თავად წყვეტს, საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნა უფლებამოსილ ორგანოსა თუ დაწესებულებას ეკუთვნის თუ არა. ამ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ გენერალური ასამბლეა, რომელიც მოითხოვს მოცემულ საკითხზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 96-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია, რომ ასეთი შეკითხვით მიმართოს სასამართლოს. ამ დებულების თანახმად: 'გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს შეუძლიათ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიმართონ ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით.'

16. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული დებულების მიხედვით გენერალურ ასამბლეას შეუძლია 'ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე' მოითხოვოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადება, წარსულში სასამართლო ცალკეულ შემთხვევებში დაინტერესდა, თუ რამდენად იყო სამართლებრივი შეკითხვა კავშირში გენერალური ასამბლეის საქმიანობასთან (*Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania, I.C.J. Reports 1950*, გვ. 70; *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, I.C.J. Reports 1996 (I)*, გვ. 232 და 233, paras. 11 და 12).

17. სასამართლო ამ შემთხვევაშიც განიხილავს აღნიშნულ საკითხს. სასამართლო მიიჩნევს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-10 მუხლის თანახმად გენერალური ასამბლეის უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება წესდებით გათვალისწინებული 'ნებისმიერი შეკითხვა და საკითხი. ამავე დოკუმენტის მე-11 მუხლის მე-2 პარაგრაფი არაორაზროვნად ითვალისწინებს, რომ 'საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მიერ წამოწეული საკითხი...' გენერალური ასამბლეის კომპეტენციას განეკუთვნება და შესაბამისი მუხლებით გაწერილი პროცედურის დაცვით მას შეუძლია რეკომენდაციების გამოცემა. ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის

საკითხი გენერალური ასამბლეის წინაშე რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ ასამბლეის მეათე საგანგებო სესიაზე დააყენა. სწორედ ამისთვის იქნა მოწვეული ეს სესია. 1997 წლის 25 აპრილს მიღებული ES-10/2 რეზოლუციით განისაზღვრა, რომ აღნიშნული საკითხი საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

*

18. ამ შეკითხვის განხილვას პროცესში წამოწეულ იურისდიქციასთან დაკავშირებული პრობლემების დეტალურ განხილვამდე სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს აღწეროს ის მოვლენები, რომლებიც წინ უძღვოდა ES-10/14 რეზოლუციის მიღებას, რომლითაც გენერალურმა ასამბლემ მოითხოვა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო დასკვნის მომზადება.

19. გენერალური ასამბლეის მე-10 საგანგებო სესია, რომლის ფარგლებშიც ეს რეზოლუცია მიიღეს, პირველად მოიწვიეს 1997 წლის 7 და 21 მარტს უშიშროების საბჭოს მიერ აღნიშნული საკითხის განხილვაზე უარის თქმის შემდეგ ვინაიდან მუდმივმა წევრმა უარყოფითი ხმა დააფიქსირა. ამრიგად, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობის საკითხზე ორი რეზოლუციის სამუშაო ვერსია (იხილეთ S/1997/199 და S/PV.3747, ისევე როგორც S/1997/241 და S/PV.3756) არ იქნა მიღებული. ამის შემდეგ, არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა 1997 წლის 31 მარტის წერილით მოითხოვა '377A(V) რეზოლუციის 'გაერთიანება მშვიდობისთვის' შესაბამისად გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო 'ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და დანარჩენ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის უკანონო ქმედებების განხილვა' (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის განკუთვნილი წერილი დათარიღებული იყო 1997 წლის 31 მარტით; მას ხელს აწერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კატარის მუდმივი წარმომადგენელი; A/ES-10/1, 1997 წლის 22 აპრილი; დანართი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრების უმეტესობის მონაწილეობით, რომლებიც უერთდებოდნენ ამ მოთხოვნას, გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის პირველი შეხვედრა 1997 წლის 24 აპრილს ჩატარდა (იხილეთ A/ES-10/1, 1997 წლის 22 აპრილი). ES-10/2 რეზოლუცია იმავე დღეს იქნა მიღებული; ამრიგად, გენერალურმა ასამბლემ არაორაზროვნად დააფიქსირა, რომ:

'ისრაელი, როგორც ოკუპანტი ძალა, განმეორებით არღვევს საერთაშორისო სამართალს და არ იცავს უშიშროების საბჭოსა თუ გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რელევანტურ რეზოლუციებს, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის პროცესის ეგიდით მიღწეულ შეთანხმებებს. ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას'.

გენერალურმა ასამბლეამ ამავე რეზოლუციით დაგმო ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და დანარჩენ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებში 'ისრაელის უკანონო ქმედებები', კონკრეტულად კი ამ ტერიტორიებზე დასახლებების მშენებლობა. მეათე საგანგებო სესია მხოლოდ დროებით შეჩერდა და შემდგომში ხელახლა 11-ჯერ იქნა მოწვეული (1997 წლის 15 ივლისს, 1997 წლის 13 ნოემბერს, 1998 წლის 17 მარტს, 1999 წლის 5 თებერვალს, 2000 წლის 18 ოქტომბერს, 2001 წლის 20 დეკემბერს, 2002 წლის 7 მაისს, 2002 წლის 5 აგვისტოს, 2003 წლის 19 სექტემბერს, 2003 წლის 20 ოქტომბერს და 2003 წლის 8 დეკემბერს).

20. არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა 2003 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული წერილით არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნების სახელით მოითხოვა უშიშროების საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ ჩატარება, რათა განხილული ყოფილიყო 'ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მძიმე და განგრძობადი დარღვევები და მიეღო ყველა საჭირო ზომა ამ ქმედებების აღმოფხვრისათვის' (გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სირიის არაბული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის მიერ უშიშროების საბჭოს პრეზიდენტისთვის 2003 წლის 9 ოქტომბერს მიწერილი წერილი, S/2003/973, 2003 წლის 9 ოქტომბერი). უშიშროების საბჭოს მიერ განსახილველად წერილს ერთვოდა რეზოლუციის სამუშაო ვერსია, რომელიც გმოზდა ისრაელის მიერ 1949 წლის საზავო შეთანხმებით გათვალისწინებული ზოლის მიღმა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობას. 'ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციის, მათ შორის პალესტინის საკითხის გახილვის მიზნით' უშიშროების საბჭომ 4841-ე და 4842-ე შეხვედრები 2003 წლის 14 ოქტომბერს გამართა. იმავე დღეს საბჭომ მიიღო რეზოლუციის ახალი სამუშაო ვერსია, რომელიც გვინეამ, მალაიზიამ, პაკისტანმა და სირიის არაბულმა რესპუბლიკამ მოამზადა და რომელიც გმოზდა კედლის მშენებლობას. ღია დებატების შემდეგ კენჭისყრაზე სწორედ ეს ვერსია იქნა წარმოდგენილი. თუმცა, საბჭოს მუდმივი წევრის მხრიდან უარყოფითი ხმის დაფიქსირების გამო რეზოლუცია არ იქნა მიღებული (S/PV/4841 და S/PV/4842).

არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა 2003 წლის 15 ოქტომბერს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნების სახელით მოითხოვა გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის ეგიდით შეხვედრის ჩატარება, რათა განეხილათ 'ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და დანარჩენ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის უკანონო ქმედებები' (A/ES-10/242); ამ მოთხოვნას უერთდებოდა არამოკავშირეთა მოძრაობა (A/ES-10/243) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის ჯგუფი (A/ES-10/244). მეათე საგანგებო სესიის მუშაობა 2003 წლის 20 ოქტომბერს განახლდა.

21. გენერალურმა ასამბლეამ 2003 წლის 27 ოქტომბერს გამოსცა ES-10/13 რეზოლუცია, რომლითაც აღინიშნა, რომ

‘ისრაელი ვალდებულია შეაჩეროს 1949 წლის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოლის მიღმა და საერთაშორისო სამართლის დარღვევით ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო კედლის მშენებლობა და აღმოფხვრას უკვე დასრულებული ნაწილით შექმნილი მდგომარეობა ’ (1-ლი პარაგრაფი).’

მე-3 პარაგრაფში გენერალური ასამბლეა გენერალურ მდივანს ავალებს, რომ

‘პერიოდული ანგარიშით აცნობოს რეზოლუციის ... მოთხოვნების შესრულების პროგრესის შესახებ. ამასთან, რეზოლუციის 1-ლი პარაგრაფის შესრულების საკითხზე პირველი ანგარიში გენერალურ ასამბლეას უნდა მიეწოდოს ერთი თვის ვადაში...’

გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის მსვლელობა დროებით შეჩერდა და 2003 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნდა გენერალური მდივნის მიერ გენერალური ასამბლეის ES-10/13 რეზოლუციის შესაბამისად მომზადებული ანგარიში (შემდგომში ‘გენერალური მდივნის ანგარიში’) (A/ES-10/248).

22. 2003 წლის 19 ნოემბერს უშიშროების საბჭომ მიიღო 1515 (2003) რეზოლუცია, რომლითაც ‘მხარი დაუჭირა ორივე სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის სამუდამოდ მოგვარების საკითხზე კვარტეტის მოქმედებაზე დაფუძნებულ მონახაზს’. კვარტეტი შედგება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან. რეზოლუცია

‘მოუწოდებს მხარეებს, რომ კვარტეტთან თანამშრომლობით შეასრულონ მონახაზის მოთხოვნები და გამოახონ მშვიდობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით ამ ორი სახელმწიფოს თანაცხოვრების ხედვა.’

არც ‘მონახაზი’ და არც 1515(2003) რეზოლუცია კედლის მშენებლობის საკითხს არ მოიხსენიებს. აღნიშნული საკითხი უშიშროების საბჭოს ამ კონტექსტში არ განუხილავს.

23. ცხრამეტი დღის შემდეგ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნების სახელით არაბული ჯგუფის პრეზიდენტის მოთხოვნისა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქუვეითის მუდმივი წარმომადგენლის 2003 წლის 1-ლი დეკემბრის წერილი გენერალურ ასამბლეას, 2003 წლის 2 დეკემბერი, A/ES-10/249) და ES-10/13 რეზოლუციის შესაბამისად გენერალურმა ასამბლემ 2003 წლის 8 დეკემბერს კვლავ განაახლა მეათე საგანგებო სესიის ეგიდით მუშაობა. იმავე დღეს გამართულ შეხვედრაზე მიიღეს ES-10/14 რეზოლუცია, რომლითაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის მომზადება.

*

24. ვინაიდან უკვე აღწერა ფაქტები, რომლებიც ES-10/14 რეზოლუციის მიღებას უძღვოდა წინ, ამჯერად სასამართლო იურისდიქციის საკითხზე წამოჭრილი პრობლემების განხილვას შეუდგება. პირველ რიგში, ისრაელი ამტკიცებს, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციაზე, მათ შორის პალესტინის საკითხზე უშიშროების საბჭოს აქტიური მუშაობის გათვალისწინებით, ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნის გაგზავნის დროს გენერალური ასამბლეა წესდებით დადგენილი უფლებამოსილების მიღმა, *ultra vires* მოქმედებდა.

25. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნის მომზადება და გაგზავნა წესდების მიხედვით გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებას განეკუთვნება (იხილეთ 15-17 პარაგრაფები). თუმცა, წესდების მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თანახმად:

‘გენერალურ ასამბლევას უფლება არ აქვს გამოსცეს რეკომენდაცია იმ დავასა თუ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელზეც უშიშროების საბჭო წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს, თუკი ამას თავად უშიშროების საბჭო არ მოითხოვს.’

‘ნებისმიერ დავასა თუ სიტუაციაზე’ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოსათვის მიმართვა ‘რეკომენდაციას’ არ წარმოადგენს. თუმცა, ისრაელი ამტკიცებს, რომ ES-10/14 რეზოლუციის მიღებისას გენერალური ასამბლეა მოქმედებდა წესდების მე-12 მუხლის დარღვევით *ultra vires*. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მუხლის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილოს და მიმოიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები და პრაქტიკა.

26. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 24-ე მუხლის მიხედვით უშიშროების საბჭოს ‘საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე პირველადი ვალდებულება’ გააჩნია. ამრიგად, ის უფლებამოსილია დაავალდებულოს სახელმწიფოები, რომ ‘დაიცვან მაგალითად, მის მიერ წესდების VII თავის საფუძველზე ... გამოცემული ბრძანებები და მითითებები’ და ამრიგად, ‘მოითხოვოს იძულებითი ზომების რეჟიმის ხელშეწყობა’ (*Certain Expenses of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1962*, გვ. 163). თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 24-ე მუხლი მხოლოდ უპირველეს ვალდებულებაზე საუბრობს. ეს უფლებამოსილება აუცილებლად ექსკლუზიური ხასიათის არ არის. გენერალურ ასამბლევას ნამდვილად აქვს უფლებამოსილება, *inter alia*, წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად სხვადასხვა სიტუაციაში გამოსცეს ‘რეკომენდაციები დავის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით მისაღები ზომების შესახებ’ (*ibid.*).

‘ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც მე-14 მუხლი გენერალური ასამბლეის უფლებამოსილების საკითხზე ითვალისწინებს, მე-12 მუხლის დებულებას შეეხება, რომლის თანახმადაც, ასამბლევას უფლება

არ აქვს გამოსცეს რეკომენდაცია ცალკეული ზომების შესახებ, თუკი მოცემულ საკითხზე უშიშროების საბჭო მუშაობს, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ამას თავად საბჭო მოითხოვს.’ (I.C.J. Reports 1962, გვ. 163.)

27. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკას, მათ შორის გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო მე-12 მუხლს ისე განმარტავდა და იყენებდა, რომ ასამბლევას რეკომენდაციის გამოცემა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხზე არ შეეძლო, თუკი მოცემული დავა ან სიტუაცია იმავდროულად საბჭოს დღის წესრიგში იდგა. ამრიგად, ასამბლევამ მეოთხე სესიაზე უარი განაცხადა ინდონეზიის საკითხზე ცალკეული ზომების გატარების შესახებ რეკომენდაციის გამოცემისგან, *inter alia* იმის გამო, რომ საბჭო კვლავაც განაგრძობდა მუშაობას (*Official Records of the General Assembly, Fourth Session, Ad Hoc Political Committee, Summary Records of Meetings, 27 September-7 December 1949, 56th Meeting, 3 December 1949*, გვ. 339, para. 118). რაც შეეხება საბჭოს, ცალკეულ შემთხვევებში მან დღის წესრიგიდან ამოიღო ცალკეული სიტუაციები, რათა გენერალური ასამბლეისთვის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მიეცა (მაგალითად, ესპანეთის საკითხზე (*Official Records of the Security Council, First Year: Second Series, No. 21, 79th Meeting, 4 November 1946*, გვ. 498), ბერძული საზღვრის ინციდენტთან დაკავშირებით, (*Official Records of the Security Council, Second Year, No. 89, 202nd Meeting, 15 September 1947*, გვ. 2404-2405) და ტაივანის კუნძულის (ფორმოსას) შემთხვევაზე (*Official Records of the Security Council, Fifth Year, No. 48, 506th Meeting, 29 September 1950*, გვ. 5)). კორეის რესპუბლიკის შემთხვევაში საბჭომ 1951 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომ განსახილველ საკითხთა დღის წესრიგიდან ამოეღო საკითხი, რათა ასამბლევას გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მისცემოდა (*Official Records of the Security Council, Sixth Year, S/PV.531, 53 1st Meeting, 31 January 1951*, pp. 11 -12, para. 57).

თუმცა, მე-12 მუხლის ინტერპრეტაცია თანდათანობით შეიცვალა. გენერალურმა ასამბლევამ 1961 წელს კონგოსთან დაკავშირებით (1955 (XV) და 1600 (XVI) რეზოლუციები) და 1963 წელს პორტუგალიური კოლონიების საკითხზე (1913(XVIII) რეზოლუცია) თავი უფლებამოსილად ჩათვალა, რომ მიეღო რეკომენდაციები, იმ პირობებშიც კი, როდესაც ზემოხსენებული საკითხები უშიშროების საბჭოს დღის წესრიგშიც იდგა, თუმცა საბჭო იმ დროისთვის რეზოლუციებს არ იღებდა. პერუს წარმომადგენლის მიერ გენერალური ასამბლეის ოცდამესამე სესიაზე გამოთქმული პროტესტის საპასუხოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლებრივმა მრჩეველმა დაადასტურა, რომ გენერალური ასამბლეის განმარტებით, წესდების მე-12 მუხლის მნიშვნელობისთვის ფრაზა ‘უფლებამოსილებას არ ახორციელებს’ უნდა განიმარტოს, როგორც ‘მოცემულ მომენტში უფლებამოსილებას არ ახორციელებს’ (General Assembly, Twenty-third Session, Third Committee, 1637th meeting, A/C.3/ISR. 1637, para. 9). ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ თანდათანობით შეიმჩნევა ტენდენცია, რომ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან

დაკავშირებულ ერთსა და იმავე საკითხს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო პარალელურ რეჟიმში განიხილავენ (მაგალითად, იხილეთ კვიპროსის, სამხრეთ აფრიკის, ანგოლის, სამხრეთ როდეზიისა და უფრო მოგვიანებით ბოსნია-ჰერცეგოვინასა და სომალის შემთხვევები). ხშირად, უშიშროების საბჭო ასეთ სიტუაციებში საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო გენერალური ასამბლეა საკითხს უფრო ზოგად ჭრილში განიხილავს და ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური ასპექტებითაც ინტერესდება.

28. სასამართლო მიიჩნევს, რომ გენერალური ასამბლეს პრაქტიკა, რომელიც თანდათანობით ჩამოყალიბდა, შესაბამისობაშია წესდების მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნებთან.

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით ES-10/14 რეზოლუციის მიღებით გენერალურ ასამბლეს წესდების მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ დაურღვევია. შესაბამისად, სასამართლო ადასტურებს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვით გენერალურ ასამბლეს უფლებამოსილებისთვის არ გადაუმეტებია.

29. თუმცა, ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან სასამართლოს წინაშე გამოითქვა მოსაზრებები, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ აღნიშნული მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს 377(V) რეზოლუციით გათვალისწინებულ წინაპირობებს, რომლის საფუძველზეც მეათე საგანგებო სესია ჩატარდა და რომლის შესაბამისადაც გენერალური ასამბლეა შემდგომშიც მოქმედებდა. ამ კუთხით, აღინიშნა, რომ 'უშიშროების საბჭოს არასდროს მოუმზადებია ან განუხილავს თუნდაც რეზოლუციის სამუშაო ვერსია, რომლის საფუძველზეც თავად საბჭო სთხოვდა სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებას განსახილველ საკითხზე' და შესაბამისად, ვინაიდან საბჭოსთვის განსახილველად არასდროს წარუდგენიათ აღნიშნული კითხვა, გენერალური ასამბლეა თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად უშიშროების საბჭოს უმოქმედობას ვერ დაეყრდნობა. ამასთან, სასამართლოს წინაშე გამოითქვა მოსაზრება, რომ გენერალური ასამბლეს მიერ ES-10/14 რეზოლუციის მიღებამდე უშიშროების საბჭოს მიერ 1515(2003) რეზოლუციის (რომლითაც უშიშროების საბჭომ 'მონახაზს' მხარი დაუჭირა) მიღების ფაქტი ცხადყოფს, რომ უშიშროების საბჭო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით კვლავაც ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას. ამრიგად, სამართლებრივად გენერალურ ასამბლეს მის ნაცვლად მოქმედების უფლება არ ჰქონდა. მეათე საგანგებო სესიაზე გამოყენებულ პროცედურასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა გაჩნდა; განსაკუთრებით აღინიშნა სესიის 'არაორდინალური ხასიათი' და რეგულარული სესიის პარალელურად, აღნიშნული საგანგებო სესიის საპეციალურად საკონსულტაციო დასკვნის მოსამზადებლად სასამართლოსთვის მოთხოვნის გაგზავნის მიზნით მოწვევის ფაქტის კანონიერების საკითხი.

30. სასამართლოს სურს კიდევ ერთხელ მიუთითოს 377(V) რეზოლუციაზე, რომლის მიხედვითაც:

‘თუკი უშიშროების საბჭო ცალკეულ საკითხზე მუდმივი წევრების არაერთსულოვნების გამო ვერ ახორციელებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით თავის პირველად პასუხისმგებლობას, მაშინ გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია მშვიდობის დარღვევის მუქარის, მშვიდობის დარღვევის ან აგრესიის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განიხილოს აღნიშნული საკითხი და კოლექტიური ზომების გატარების შესახებ რეკომენდაციები მისცეს წევრ სახელმწიფოებს...’

რეზოლუციით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა. კერძოდ, მუდმივი წევრი სახელმწიფოს მიერ უარყოფითი ხმის დაფიქსირების გამო საბჭო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად თავის პირველად პასუხისმგებლობას ვერ უნდა ასრულებდეს და განსახილველი სიტუაცია მშვიდობის დარღვევის მუქარას, მშვიდობის დარღვევასა და აგრესიის შემთხვევას უნდა უტოლდებოდეს. ამრიგად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, სახეზე იყო თუ არა ზემოხსენებული ელემენტები გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის ჩატარების დროს, კერძოდ, როდესაც ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება საკონსულტაციო დასკვნის მომზადების თხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ.

31. 18-23 პარაგრაფებში აღწერილი მოვლენების ჭრილში სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წელს მეათე საგანგებო სესიის მოწვევის დროისთვის ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ დასახლებების მშენებლობის საკითხზე უშიშროების საბჭომ გადაწყვეტილების მიღება მუდმივი წევრი სახელმწიფოს მიერ დაფიქსირებული უარყოფითი ხმის გამო ვერ შეძლო; ამასთან, როგორც ES-10/02 რეზოლუციაში აღინიშნა (იხილეთ მე-19 პარაგრაფი), იმ დროისთვის არსებობდა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევის საფრთხე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 20 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესია იმავე მიზეზით იქნა ხელახლა მოწვეული, რითაც 1997 წელს (იხილეთ პალესტინისა და ისრაელის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებები, A/ES-10/PV.21, გვ. 2 და 5), მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ 2003 წლის 14 ოქტომბერს მუდმივი წევრი სახელმწიფოს მიერ დაფიქსირებული უარყოფითი ხმის გამო კვლავაც არ მიიღო რეზოლუცია ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ დასახლებების მშენებლობის საკითხზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭომ კვლავაც ვერ შეძლო 377 A (V) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედება. სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ 2003 წლის 20 ოქტომბერსა და 2003 წლის 8 დეკემბერს შორის არსებულ პერიოდში ვითარება შეიცვალა, რადგან საბჭომ არც კედლის მშენებლობის საკითხი განიხილა და არც მასთან დაკავშირებული რეზოლუცია მიიღო. ამრიგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2003 წლის 8 დეკემბრამდე საბჭოს

მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეცვლილა, რადგან 2003 წლის 14 ოქტომბრის უარყოფითი ხმის საკითხზე ხელახალი კენჭისყრა არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, მოცემულ პერიოდში მეათე საგანგებო სესია 377 A (V) რეზოლუციის მოთხოვნების დაცვით იყო ჩატარებული და სწორად მიიღო გადაწყვეტილება ამჟამად სასამართლოს განსახილველ საკითხზე.

32. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საგანგებო სესიის მსვლელობისას გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო იმ საკითხზე, რომლის განსახილველადაც თავად ეს სესია იქნა მოწვეული და რომლის განხილვაც, ზოგადად გენერალური ასამბლეის კომპეტენციას განეკუთვნება; მათ შორის, საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა. ამ კუთხით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომ სასამართლოსთვის მოთხოვნის გაგზავნის მართებულობის საკითხი განსახილველად უშიშროების საბჭოს წინაშე რომ არ დაყენებულა.

33. ახლა განვიხილავთ ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის სხვა თავისებურებებს. სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სესია 'არაორდინალური' ხასიათის იყო; კერძოდ, ის, რომ სესია 1997 წლის აპრილში იქნა მოწვეული და მას შემდეგ თერთმეტჯერ ჩატარდა, არანაირ გავლენას არ ახდენს გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი მოთხოვნის მართებულობის საკითხზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ მაგალითისთვის, გენერალური ასამბლეის მეშვიდე საგანგებო სესია 1980 წლის 22 ივლისს იქნა მოწვეული და შემდგომში ოთხჯერ (1982 წლის 20 აპრილს, 1982 წლის 25 ივლისს, 1982 წლის 16 აგვისტოს და 1982 წლის 24 სექტემბერს) ჩატარდა და ამ სესიის ეგიდით გენერალური ასამბლეის მიღებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი სადავო არ გამხდარა. კითხვები არც მეათე საგანგებო სესიის დროს მიღებული რეზოლუციის მიმართ გაჩენილა.

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელის მთავრობას მოჰყავს არგუმენტი, რომ გენერალური ასამბლეის რეგულარული სესიის მსვლელობის პარალელურად მეათე საგანგებო სესიის ხელახლა ჩატარება არ იყო მართებული. სასამართლოს სურს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესიის რეგულარული სესიის პარალელურად მოწვევის შესაძლებლობა წესდებით არ არის გათვალისწინებული; თუმცა, ამავდროულად, არ არსებობს ორგანიზაციის ერთი წესიც კი, რომელიც საგანგებო სესიის მოწვევის პროცესში შეიძლება დარღვეულიყო და შესაბამისად, ბათილი გაეხადა საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნით სასამართლოსთვის გაგზავნილი მოთხოვნა.

35. და ბოლოს, მეათე საგანგებო სესია გენერალური ასამბლეის პროცედურული წესების მე-9(b) წესის დაცვით იქნა მოწვეული. შეხვედრებიც მოქმედი მოთხოვნების დაცვით ჩატარდა. სასამართლომ *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding the Security Council Resolution (1970)* [უშიშროების საბჭოს 276 (1970) რეზოლუციის მოთხოვნების უგულებელყოფით ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში)]

სამხრეთ აფრიკის განგრძობითი ყოფნის სამართლებრივი შედეგების შესახებ] 1971 წლის 21 ივნისის საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ:

‘არსებობს პრეზუმფცია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადოდ შექმნილი ორგანოს რეზოლუცია, რომელიც ამ ინსტიტუციის პროცედურული წესების დაცვით არის მიღებული და რომელიც ამ ორგანოს პრეზიდენტმა მიღებულად გამოაცხადა, ნამდვილია და ფორმალური მოთხოვნების დაცვით არის მიღებული’ (*Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding the Security Council Resolution (1970), I.C.J. Reports 1971, გვ. 22, para. 20*).

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია ინფორმაცია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომელიც მოცემულ საქმეში ამ პრეზუმფციას გააბათილებდა.

36. ახლა სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განხილავს, კერძოდ კი - არგუმენტს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ სასამართლოსთვის გენერალური ასამბლეის მიერ გაგზავნილი მოთხოვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 96-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და სასამართლოს სტატუტის 65-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობისთვის ‘სამართლებრივ შეკითხვას’ არ წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ამ ორი დებულების მიზნებისთვის ‘სამართლებრივ შეკითხვად’ რომ ჩაითვალოს, ფორმულირება გონივრულად ზუსტი უნდა იყოს, რადგან სხვაგვარად სასამართლო ვერ შეძლებს პასუხის მომზადებას. გამოითქვა ისეთი მოსაზრებაც, რომ შეუძლებელია სასამართლომ ზუსტად დაადგინოს, შეკითხვის სამართლებრივი ასპექტები. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი.

პირველ რიგში, კედლის მშენებლობის ‘სამართლებრივ შედეგებთან’ დაკავშირებით აღინიშნა, რომ შესაძლებელია ამ ფორმულირების სულ ცოტა ორგვარი ინტერპრეტაცია და ორივე შემთხვევაში, შეკითხვის ხასიათიდან გამომდინარე სასამართლო არ არის უფლებამოსილი დააფიქსიროს პოზიცია დასმულ საკითხზე. შეკითხვის პირველი ინტერპრეტაციის მიხედვით, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ კედლის მშენებლობა და შესაბამისად, კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგებიც უკანონოა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მრავალი მიზეზის გამო უარი უნდა ეთქვა შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე მათ შორის, იურისდიქციასთან და მართებულობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. იურისდიქციის საკითხზე აღინიშნა, რომ თუკი გენერალურ ასამბლეას სურდა, რომ კედლის მშენებლობის კომპლექსურ და სენსიტიურ საკითხზე სასამართლოსგან მოსაზრება მიეღო, მაშინ მას კითხვის ფორმულირებაც უფრო გარკვევით და მკაფიოდ უნდა ჩამოეყალიბებინა (იხილეთ *Exchange of Greek and Turkish Populations, Advisory Opinion, 1925, P.C.I.J., Series B, No. 10, გვ. 17*). კითხვის მეორე შესაძლო ინტერპრეტაციის მიხედვით, სასამართლომ უნდა ჩათვალოს, რომ კედლის მშენებლობა უკანონოა და დააფიქსიროს თავისი მოსაზრება ამ უკანონობის

სამართლებრივ შედეგებზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლოს ამ შემთხვევაშიც უარი უნდა განეცხადებინა შეკითხვის განხილვასა და პასუხზე, რადგან თავად შეკითხვა საექვო ვარაუდებზეა აგებული და ცალკეული ქმედებების უკანონო ხასიათზე აპელირებისა და მისი საფუძვლიანად შეფასების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი სამართლებრივი შედეგების განხილვა.

მეორე ძირითადი არგუმენტი თავად შეკითხვას შეეხება. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარდგენილი შეკითხვა 'სამართლებრივი' ხასიათის არ არის, რადგან ის არაზუსტი და აბსტრაქტული ხასიათისაა. კერძოდ, აღინიშნა, რომ შეკითხვა არ აზუსტებს, ვისთვის უნდა შეაფასოს თუ არა სასამართლომ კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგები: 'გენერალური ასამბლეისა თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებისთვის', 'გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისთვის', 'ისრაელისთვის', 'პალესტინისა' თუ 'ზემოთ რამდენიმე მოყვანილი სუბიექტისათვის თუ სხვა დაწესებულებებისთვის'?

37. გენერალური ასამბლეის მოთხოვნის ფორმულირების ბუნდოვანების საკითხსა და შეკითხვის 'სამართლებრივ ხასიათთან' დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ შეკითხვა უკავშირდება საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების, მათ შორის, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ 1949 წლის ჟენევის კონვენციისა (შემდგომში 'ჟენევის მეოთხე კონვენცია') და უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი ფაქტობრივი მდგომარეობის სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, გენერალური ასამბლეისგან მიიღებულ შეკითხვასთან დაკავშირებით აუცილებელია სასამართლოს მიერ *Western Sahara* [დასავლეთ საჰარის] საკონსულტაციო დასკვნაში გამოთქმული მოსაზრების მოხმობა: '[შეკითხვა] სამართლებრივი ტერმინოლოგიით არის ჩამოყალიბებული და საერთაშორისო სამართლის პრობლემებს უკავშირდება'; შესაბამისად, [შეკითხვა] სამართალზე დაფუძნებულ პასუხს მოითხოვს; სწორი არ იქნებოდა, პასუხი სამართალს რომ არ ემყარებოდა. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ შეკითხვა ნამდ ვი ლად სამართლებრივი ხასიათისაა (იხილეთ *Western Sahara, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1975*, გვ. 18, para. 15).

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ შეკითხვის ფორმულირების ორაზროვნება სასამართლოს იურისდიქციაზე გავლენას არ ახდენს. უფრო მეტიც, ასეთი ბუნდოვანება მოითხოვს ინტერპრეტაციის გზით მის დაკონკრეტებას და განმარტებას. სასამართლო ასე ბევრ სხვა შემთხვევაშიც მოქცეულა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედმა სასამართლომ და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ რიგ შემთხვევებში მოამზადეს საკონსულტაციო დასკვნები ისეთ შეკითხვებზე, რომელიც ზუსტად და არაორაზროვნად არ იყო ჩამოყალიბებული (*Interpretation of the Greco-Turkish Agreement of 1 December 1926 (Final Protocol, Article IV), Advisory Opinion, 1928, P.C.I.J., Series B, No. 16 (I)*, გვ. 14-16), ან არ შეეხებოდა 'წმინდად სამართლებრივ საკითხებს' (*Interpretation of the Agreement of 25 March 1951 between the WHO and*

Egypt, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1980, გვ. 87-89, paras. 34-36). სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნაში ადრეც აღუნიშნავს, რომ 'განსახილველი შეკითხვა არასწორად და ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული' (*Application for Review of Judgment No. 273 of the United Nations Administrative Tribunal, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1982*, გვ. 348, para. 46).

შესაბამისად, სასამართლომ არაერთხელ ჩათვალა საჭიროდ შეკითხვის ფორმულირების შეცვლა (იხილეთ ზემოთ ხსენებული სამი საკონსულტაციო დასკვნა; აგრეთვე იხილეთ *Jaworzina, Advisory Opinion, 1923, P.C.I.J., Series B, No. 8; Admissibility of Hearings of Petitioners by the Committee on South West Africa, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1956*, გვ. 25; *Certain Expenses of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1962*, გვ. 157-162).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მხოლოდ იმ მეთოდის გამოყენებით შემოიფარგლება, რომლისთვისაც ადრეც ხშირად მიუმართავს; კერძოდ, 'მოახდენს არსებული პრინციპებისა და წესების იდენტიფიცირებას, მათ ინტერპრეტაციას და არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგებას... და ამრიგად, მისთვის გაგზავნილ შეკითხვაზე სამართლებრივი პასუხის გაცემას' (*Legality of the Treat or Use of Nuclear Weapons, I.C.J. Reports 1996(I)*, გვ. 234, para. 13).

39. ამ შემთხვევაში, თუკი გენერალურმა ასამბლეამ სასამართლოს კედლის მშენებლობით გამოწვეული 'სამართლებრივი შედეგების' განხილვა სთხოვა, მაშინ თავად შეკითხვის ფორმულირებაც მიუთითებს, რომ აუცილებელია შეფასდეს, არღვევს თუ არა კედლის მშენებლობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. ამრიგად, უპირველეს ყოვლისა სასამართლომ უნდა დაადგინოს, დაირღვა ან/და კიდევ ირღვევა თუ არა წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით კედლის მშენებლობით საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები.

40. სასამართლო არ ეთანხმება იმ არგუმენტს, რომ შეკითხვა აბსტრაქტული ხასიათისაა და რომ ეს სასამართლოს იურისდიქციაზე გავლენას ახდენს. პრობლემა არა იურისდიქციის, არამედ შეკითხვის განხილვის მართებულების საკითხი რომ ყოფილიყო, სასამართლომ *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღების გამოყენების ან მათი გამოყენების მუქარის კანონიერების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში უკვე აღნიშნა, რომ არგუმენტი, რომ სასამართლომ ბუნდოვნად ჩამოყალიბებული შეკითხვები არ უნდა განიხილოს, 'დაუსაბუთებელი მოსაზრებაა' და რომ 'სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და საკონსულტაციო დასკვნა მოამზადოს ნებისმიერ სამართლებრივ შეკითხვაზე, იმის მიუხედავად ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული თუ არა' (*I.C.J. Reports 1996 (1)*, გვ. 236, para. 15; *Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations (Article 4 of the Charter), Advisory Opinion, 1948, I.C.J. Reports 1947-1948*, გვ. 61; *Effect of Awards of Compensation Made by the United Nations Administrative Tribunal, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1954*, გვ. 51; *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council*

Resolution 276 (1970), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1971, გვ. 27, para. 40). სასამართლო მიიჩნევს, რომ კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული შეკითხვა აბსტრაქტული ხასიათის არ არის და ასეც რომ ყოფილიყო, თავად სასამართლო დაადგენდა, თუ ვისთვის უნდა ქმნიდეს სამართლებრივ შედეგებს ცალკეული ფაქტობრივი მოცემულობა.

41. ამასთან, სასამართლო ვერ გაიზიარებს ამ შემთხვევის განხილვის დროს დაფიქსირებულ მოსაზრებას, რომ სასამართლოს იურისდიქცია არ აქვს შეკითხვის 'პოლიტიკური' ხასიათის გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართლებრივ შეკითხვას შესაძლოა პოლიტიკური ასპექტებიც ჰქონდეს,

‘ისევე როგორ სხვა ყველაფერი, საერთაშორისო რეალობიდან გამომდინარე შემთხვევებსაც ბევრი ასპექტი გააჩნია. თუმცა, მართებული არ იქნებოდა მხოლოდ ამ საფუძვლით შეკითხვის 'სამართლებრივი ხასიათის' უგულებელყოფა და სასამართლოს 'სტატუტით აღიარებული კომპეტენციის განხორციელებაზე უარის თქმა (*Application for Review of Judgment No. 158 of the United Nations Administrative Tribunal, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1973, გვ. 172, para. 14*). რა პოლიტიკური ასპექტებიც არ უნდა იკვეთებოდეს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში, შეკითხვის სამართლებრივი ხასიათის უარყოფა დაუშვებელი იქნებოდა, ვინაიდან ამ გზით სასამართლო ვერ განახორციელებდა მართლმსაჯულებას, კერძოდ - ვერ შეაფასებდა სახელმწიფოების ქმედებების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს (*Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations (Article 4 of the Charter), Advisory Opinion, 1948, I.C.J. Reports 1947-1948, გვ. 61-62; Competence of the General Assembly for the Admission of a State to the United Nations, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1950, გვ. 6-7; Certain Expenses of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1962, გვ. 155*).’ (*Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996 (I), გვ. 234, para. 13*).

საკონსულტაციო დასკვნაში *Interpretation of the Agreement of 25 March 1951 between the WHO and Egypt* [ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და ეგვიპტეს შორის გაფორმებულ 1951 წლის 25 მარტის შეთანხმების ინტერპრეტაციის შესახებ] სასამართლომ აღნიშნა, რომ:

‘ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეკითხვის პოლიტიკური ასპექტები აშკარად არის გამოხატული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ დასმული საკითხის მიმართ მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესახებ რჩევა მიიღოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსგან...’ (*I.C.J. Reports 1980, გვ. 87, para. 33*).

ამასთან, სასამართლომ *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ:

‘სასამართლოს იურისდიქციის საკითხზე გავლენას ვერ მოახდენს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მოთხოვნის განმაპირობებელ ფაქტორებთან და თავად დასკვნის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები’ (I.C.J. Reports 1996 (I), გვ. 234, para. 13).

სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლის გამოც საჭირო იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

*

42. შესაბამისად, სასამართლოს აქვს იურისდიქცია გამოსცეს გენერალური ასამბლეის ES-10/14 რეზოლუციით მოთხოვნილი საკონსულტაციო დასკვნა.

43. თუმცა, ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების პროცესში აღინიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნის განსაკუთრებული ასპექტების გამო სასამართლომ უარი უნდა თქვას იურისდიქციის განხორციელებაზე, რადგან სასამართლოს მხრიდან სხვაგვარი ქმედება არამართებული და მართლმსაჯულების ფუნქციებთან შეუთავსებელი იქნებოდა.

44. სასამართლომ წარსულშიც არაერთხელ მოიხმო სტატუტის 65-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რომლის საფუძველზეც ‘სასამართლო უფლებამოსილია მოამზადოს საკონსულტაციო დასკვნა ...’ (ტექსტი შეცვლილია), ისე უნდა განიმარტოს, რომ სასამართლომ აქვს იურისდიქციის განხორციელებაზე უარის თქმის დისკრეცია, მაშინაც კი, თუკი იურისდიქციის განხორციელებისთვის საჭირო წინაპირობები სახეზეა (*Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996 (I)*, გვ. 234-235, para. 13). თუმცა, სასამართლო იმ გარემოებასაც ითვალისწინებს, რომ მოთხოვნილ საკონსულტაციო დასკვნაზე მომზადებული პასუხი ‘ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის ნაწილია და როგორც წესი, ამ უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლომ უარი არ უნდა თქვას (*Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania, First Phase, Advisory opinion, I.C.J. Reports 1950*, გვ. 71; მაგალითისთვის, აგრეთვე იხილეთ *Difference Relating to Immunity From Legal Process of a Special Rapporteur of the Commission on Human Rights, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1999(I)*, გვ. 78-79, para. 29). სასამართლომ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ‘მირითადი მართლმსაჯულების ორგანომ’ (წესდების 92-ე მუხლი) იურისდიქციის განხორციელებაზე უარის თქმისგან თავი უნდა შეიკავოს. სასამართლოს პრეცედენტების გათვალისწინებით, საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარის თქმა მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევებში იქნება

დასაშვები (*Certain Expences of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1962*, გვ. 155; მაგალითისთვის, აგრეთვე იხილეთ *Difference Relating to Immunity From Legal Process of a Special Rapporteur of the Commission on Human Rights, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1999(I)*, გვ. 78-79, para. 29).

თუმცა, საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარის თქმის დისკრეციული უფლებამოსილება პრაქტიკაში სასამართლოს არასდროს გამოუყენებია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად *Legality of the Use by a State Nuclear Weapons in Armed Conflict* [სახელმწიფოების მიერ შეიარაღებულ კონფლიქტებში ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარის თქმის საფუძველს იურისდიქციის არქონა და არა მართლმსაჯულების განხორციელების არამართებულობის საკითხი წარმოადგენდა (იხილეთ *I.C.J. Reports 1996(1)*, გვ. 235, para. 14). მისმა წინამორბედმა, მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლომ იურისდიქციის განხორციელებაზე უარი მხოლოდ ერთ შემთხვევაში განაცხადა (*Status of Eastern Carelia* [აღმოსავლეთ კარელიის სტატუსის შესახებ], *Advisory Opinion, 1923, P.C.I.J., Series B, No. 5*). თუმცა, მაშინაც, შეკითხვაზე პასუხის მომზადებაზე უარის მიზეზით

‘ამ კონკრეტული შემთხვევის ძალიან განსაკუთრებული გარემოებები გახდა. კერძოდ, შეკითხვა უშუალო კავშირში იყო სასამართლოს მიერ განსახილველ სახელმწიფოთაშორის დავასთან, რომლის ერთ-ერთმა სახელმწიფომ, რომელიც არ იყო მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლოს სტატუტის მხარე ან ერთა ლიგის წევრი, თავისი პროტესტი დააფიქსირა სასამართლოს იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით და უარი განაცხადა განხილვაში რაიმე ფორმით მონაწილეობაზე’ (*Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, I.C.J. Reports 1996(I)*, გვ. 235-236, para. 14).

45. ეს გარემოებები სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნა. ზემოთ მოყვანილი ‘განსაკუთრებული აუცილებლობის’ შემთხვევების თავისებურებების გათვალისწინებით ის თავად გადაწყვეტს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მიზანშეწონილობის საკითხს. ამრიგად, პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სასამართლო დეტალურად განიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა არგუმენტს.

*

46. პირველი არგუმენტის თანახმად, სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არ უნდა განახორციელოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების უფლებამოსილება, ვინაიდან მოთხოვნა შეეხება ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ დავას, რომლის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ

განხილვის შესახებაც ისრაელს თანხმობა არ განუცხადებია. ამ მოსაზრების მიხედვით, გენერალური ასამბლეის მიერ მომზადებული შეკითხვის საგანი 'ისრაელისა და პალესტინის უფრო ზოგადი დავის განუყოფელი ნაწილია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ტერორიზმი, უსაფრთხოება, საზღვრები, დასახლებები, იერუსალიმი და სხვა'. ისრაელი აღნიშნავს, რომ მას არასდროს განუცხადებია თანხმობა ამ ფართო დავის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილვაზე; პირიქით, მხარეები საგანგებოდ შეთანხმდნენ, რომ ეს დავა მოლაპარაკებების გზით უნდა გადაჭრილიყო და საჭიროების შემთხვევაში მას შემდგომში არბიტრაჟი განიხილავდა. შესაბამისად, ისრაელი მიიჩნევს, რომ სასამართლომ უარი უნდა თქვას ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე, *inter alia*, მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლოს *Status of Eastern Carelia* [აღმოსავლეთ კარელიის სტატუსის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაზე დაყრდნობით.

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციაზე თანხმობის განუცხადებლობა გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნების მომზადების უფლებამოსილებაზე. სასამართლომ 1950 წლის საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ:

‘დავის მხარე სახელმწიფოთა თანხმობა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის საფუძველსა და წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა საკონსულტაციო დასკვნის მომზადების უფლებამოსილება განსხვავებულია და თანხმობის არსებობა საჭირო არ არის, მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს მიერ განსახილველად მიღებული მოთხოვნა ნამდვილ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივ შეკითხვას შეეხება. სასამართლოს დასკვნა მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა: მას, როგორც ასეთი, შესასრულებლად სავალდებულო ძალა არ აქვს. ამრიგად, ვერცერთი სახელმწიფო (მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი თუ არა) ვერ აუკრძალავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან მიღებულ შეკითხვაზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადებას. სასამართლო დასკვნას აწვდის არა სახელმწიფოებს, არამედ ორგანოს, რომელმაც ასეთი დასკვნის მომზადება მოითხოვა; პასუხი, რომელიც სასამართლომ (თავად ‘გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანომ’) მოამზადა, ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის ფორმას წარმოადგენს და ამგვარი საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია’ (*Interpretation of the Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania, First Phase, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1950*, გვ. 71; აგრეთვე იხილეთ *Western Sahara, I.C.J. Reports 1975*, გვ. 24, para. 31).

აქედან გამომდინარე, იმ საფუძველით, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მას იურისდიქცია არ ჰქონდა ზემოხსენებულ შემთხვევებში სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარი არ განუცხადებია.

თუმცა, საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მიზანშეწონილობის კონტექსტში სასამართლომ მაინც განიხილა იმ დაინტერესებული სახელმწიფოს პოზიციები, რომლებსაც უშუალოდ შეეხებოდათ გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი შეკითხვა. *Western Sahara* [დასავლეთ საჰარის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში 1950 წლის საკონსულტაციო დასკვნის კომენტარებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ 'სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი თანხმობის არარსებობა შესაძლოა გახდეს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარის თქმის საფუძველი, თუკი საქმის თავისებურებების გათვალისწინებით მართლმსაჯულების განხორციელება არამართებული იქნებოდა.' სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ:

‘ცალკეულ შემთხვევებში ... დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობის არარსებობის პირობებში, შესაძლოა, სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის მომზადება შეუსაბამოა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციებთან. ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, თუკი იკვეთება, რომ სასამართლოს მიერ მომზადებული პასუხი არღვევს ზოგად პრინციპს, რომ სახელმწიფო ვალდებული არ არის, რომ მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დავა სასამართლომ მისი თანხმობის გარეშე განიხილოს’ (*Western Sahara, I.C.J. Reports 1975*, გვ. 25, paras. 32-33).

მოცემულ საქმეში იყენებს რა *Western Sahara* [დასავლეთ საჰარის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში ჩამოყალიბებულ პრინციპს, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სამართლებრივ აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობდა, თუმცა ის გენერალური ასამბლეის სამუშაო პროცესში წარმოიშვა და გენერალური ასამბლეის მიერ განსახილველ საკითხებს შეეხებოდა. ეს დავა ორმხრივ ურთიერთობებში, დამოუკიდებლად არ წარმოშობილა (*Ibid.*, გვ. 25, para. 34).

48. რაც შეეხება საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესახებ მოთხოვნას, სასამართლო აღიარებს, რომ ისრაელსა და პალესტინას არაერთხელ დაუფიქსირებიათ რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ისრაელის მიერ კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. სასამართლოსაც, პასუხის მომზადება სწორედ ამ კითხვაზე ეთხოვა. თუმცა, როგორც სასამართლომ თავადვე აღნიშნა, 'სამართლებრივ საკითხებზე უთანხმოება თითქმის ყველა საკონსულტაციო დასკვნის შემთხვევაში არსებობდა' (*Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1971*, გვ. 24, para. 34).

49. ამასთან, სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სამართლებრივი შეკითხვა რომელზეც სასამართლოს დასკვნის მომზადება ეთხოვა, მხოლოდ ისრაელისა და პალესტინის ორმხრივ ურთიერთობებს შეეხება. საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის

გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ კედლის მშენებლობა უშუალო კავშირშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნქციებთან. ამ ორგანიზაციის პასუხისმგებლობა პალესტინასთან დაკავშირებით მიღებულ დანაწილებისა და მანდატის შესახებ რეზოლუციის ტექსტიდანაც გამომდინარეობს (იხილეთ 70-ე და 71-ე პარაგრაფები). გენერალურმა ასამბლეამ ეს პასუხისმგებლობა განმარტა, როგორც ‘პალესტინის საკითხის ყველა ასპექტის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოთხოვნების დაცვით მოგვარებამდე’ ორგანიზაციის მუდმივი საზრუნავი (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2002 წლის 3 დეკემბრის 57/107 რეზოლუცია). ეს პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუციურ ჩარჩოებში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციებშიც გამოიკვეთა. ამასთან, შეიქმნა რამდენიმე დამხმარე ორგანო, რომლებსაც საგანგებოდ დაევალით პალესტინელი ხალხის განუსხვისებელი უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა.

50. სასამართლოს მიერ მიღებული მოთხოვნის მიზანია საკონსულტაციო დასკვნის მომზადება, რომელიც, გენერალური ასამბლეის მოსაზრებით მას დაეხმარება თავისი ფუნქციების განხორციელების პროცესში. სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის მომზადება განსაკუთრებით აქტუალურ საკითხზე. შეკითხვა შინაარსობრივად ორმხრივ დავაზე გაცილებით ფართოა. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადება წინააღმდეგობაში მოვა სამართლებრივი დავების მოგვარების თანხმობაზე დაფუძნების პრინციპთან. ამრიგად, სასამართლოს არ შეუძლია ამ საფუძვლით განახორციელოს მისთვის მინიჭებული დისკრეცია და უარი განაცხადოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე.

*

51. ამჯერად, სასამართლო შეუდგება სხვა არგუმენტის განხილვას, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ იურისდიქციის განხორციელებაზე უარი უნდა განაცხადოს. ცალკეულმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ კედლის მშენებლობის კანონიერებისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო დასკვნის მომზადება ხელს შეუშლის ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკურ პროცესს და ამ მიზნით წარმართულ მოლაპარაკებებს. კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ საკონსულტაციო დასკვნა დააკნინებდა ‘მონახაზის’ (იხილეთ 22-ე პარაგრაფი) პირობებს, რომლითაც ისრაელსა და პალესტინას მოეთხოვებათ სხვადასხვა ეტაპზე შეასრულონ ამ დოკუმენტით გათვალისწინებული რიგი ვალდებულებები. სასამართლომ სახელმწიფოების მხრიდან მიიღო არგუმენტები, რომ საკონსულტაციო დასკვნა გაართულებდა ‘მონახაზით’ გათვალისწინებული მოლაპარაკებების ჩატარებას. ამრიგად, სასამართლომ უნდა განახორციელოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და უარი განაცხადოს ამ შეკითხვაზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე.

მსგავსი არგუმენტები სასამართლომ წარსულში რამდენჯერმე უკვე განიხილა. მაგალითად, სასამართლომ *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის კანონიერების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა:

‘[...] სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის მომზადებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებებზე და შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგო შედეგები გამოიწვიოს. სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ რა შინაარსისაც არ უნდა იყოს საკონსულტაციო დასკვნის საბოლოო ტექსტი, ის მაინც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს გენერალური ასამბლეის ეგიდით გამართულ განხილვებში და აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებების ჭრილში დამატებითი ელემენტი იქნება. ამასთან, საკონსულტაციო დასკვნის მნიშვნელობა და აქტუალობა სხვა სუბიექტების მიერ მის აღქმასა და შეფასებაზეა დამოკიდებული. სასამართლოს სხვაგვარი მოსაზრებებიც მოუსმენია. თუმცა, არ არსებობს გამოკვეთილი კრიტერიუმი, რომლის გათვალისწინებითაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ შეხედულებებს’ (*I.C.J. Reports 1996(I)*, გვ. 237, para. 17; აგრეთვე იხილეთ *Western Sahara*, *I.C.J. Reports 1975*, გვ. 37, para. 73).

52. ამ შეკითხვის განხილვის პროცესის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შემთხვევაში, სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში ცალკეული გარემოებები, კერძოდ:

‘სამშვიდობო პროცესის ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი: ფუნდამენტური პრინციპი, რომ მუდმივი სტატუსი მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს; და რომ გარდამავალ პერიოდში სამშვიდობო პროცესის წარმატებით დასრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეებმა უსაფრთხოების სფეროში თავიანთი ვალდებულებები პირნათლად შეასრულონ’.

53. სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ უშიშროების საბჭოს მიერ 1515(2003) რეზოლუციით მოწონებული ‘მონახაზი’ (იხილეთ 22-ე პარაგრაფი) ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარებისთვის წარმართული მოლაპარაკებების ჩარჩოს წარმოადგენს. თუმცა, ამავდროულად, ადვილი სათქმელი არ არის, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს სასამართლოს მიერ მომზადებულმა საკონსულტაციო დასკვნამ ამ მოლაპარაკებებზე. შეკითხვის განხილვის პროცესში მონაწილეებმა ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები დააფიქსირეს. სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს გარემოება იურისდიქციის განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველად უნდა ჩაითვალოს.

54. სასამართლომ რამდენიმე მონაწილისგან მოისმინა არგუმენტები, რომ კედლის მშენებლობის საკითხი ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მხოლოდ ერთი

ასპექტია, რომლის გადაწყვეტაც ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებლად ამ საკონსულტაციო დასკვნის განხილვის ფარგლებში შეუძლებელი იქნება. სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ამ საფუძვლით უარი უნდა თქვას პასუხის მომზადებაზე. მართლაც, სასამართლო აღიარებს, რომ კედლის მშენებლობის საკითხი ზოგადი კონტექსტის მხოლოდ ერთი ნაწილია. ამ ფაქტორს სასამართლო აუცილებლად გაითვალისწინებს, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს საკონსულტაციო დასკვნის საბოლოო ტექსტი. ამავდროულად, გენერალურმა ასამბლეამ არჩია სასამართლოსათვის ეთხოვა განსახილველი შეკითხვის მომზადება მხოლოდ კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებზე. შესაბამისად, განხილვის პროცესში სასამართლოც მხოლოდ იმ ასპექტებს გაითვალისწინებს, რომელიც პასუხის მოსამზადებლად აუცილებელი იქნება.

*

55. სასამართლო განხილვის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ სასამართლომ იურისდიქციის განხორციელებაზე უარი უნდა განაცხადოს, რადგან მას ხელი არ მიუწვდება ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც მას საკონსულტაციო დასკვნის მომზადების შესაძლებლობას მისცემდა. კერძოდ, *Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania* [ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაზე დაყრდნობით ისრაელმა წამოაყენა არგუმენტი, რომ სასამართლო ვერ გამოსცემს საკონსულტაციო დასკვნას იმ ფაქტობრივ საკითხებზე, რომელთა შეფასებისთვისაც აუცილებელია კონფლიქტის ყველა მხარის პოზიციების გათვალისწინება. ისრაელი ამტკიცებს, რომ თუკი სასამართლო საკონსულტაციო დასკვნის მომზადებას გადაწყვეტს, ის იძულებული იქნება არსებით ფაქტებთან დაკავშირებით სპეკულაციას მიმართოს და სამართლებრივი არგუმენტები ვარაუდებზე დაყრდნობით მიუსადაგოს. ამასთან, ისრაელი აღნიშნავს, რომ სასამართლო კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებს სრულფასოვნად ვერ შეაფასებს, თუკი მხედველობაში არ მიიღებს იმ უსაფრთხოების გამოწვევებს, რომლის საპასუხოდაც თავად ეს კედელი შენდება და მის გავლენას პალესტინელებზე. ყოველივე ამის შეფასება სახელმწიფოთაშორის დავებშიც კი რთულია და საკონსულტაციო დასკვნის მომზადება კიდევ უფრო რთული იქნება. ამასთან, საჭირო ინფორმაციაზე ხელი ისრაელს მიუწვდება და მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ შეკითხვის შინაარსობრივი ნაწილის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამრიგად, ისრაელი მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივი საკითხების დაზუსტება შეუძლებელი იქნება, სასამართლომ უნდა გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და უარი განაცხადოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს, საკონსულტაციო დასკვნის მოსამზადებლად სახეზეა თუ არა საკმარისი მტკიცებულებები. *Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania* [ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის

შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში (*I.C.J. Report 1950*, გვ. 72) და შემდგომში *Western Sahara* [დასავლეთ საჰარის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანია, დადგინდეს:

‘აქვს თუ არა სასამართლოს სადავო ფაქტობრივ შეკითხვაზე სამართლებრივი დასკვნის გასაკეთებლად საკმარისი ინფორმაცია და მტკიცებულებები, რომელზე პასუხის გაცემაც აუცილებელი იქნება სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კომპეტენციის ფარგლებში საკონსულტაციო დასკვნის მომზადება’ (*Western Sahara, I.C.J. Reports 1975*, გვ. 28-29, para. 46).

ამრიგად, *Status of Eastern Carelia* [აღმოსავლეთ კარელიის სტატუსის შესახებ] შემთხვევის განხილვის პროცესში მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედმა სასამართლომ უარი განაცხადა საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე, *inter alia* იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული შეკითხვა ‘ფაქტობრივ ასპექტებს უკავშირდება, რომელთა შეფასებაც ორივე მხარის პოზიციების მოსმენის გარეშე შეუძლებელი იქნება’ (*Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania, I.C.J. Reports 1950*, გვ. 72; *Status of Eastern Carelia, P.C.I.J., Series B, No. 5*, გვ. 28). ამასთან, სასამართლომ *Western Sahara* [დასავლეთ საჰარის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ ფაქტობრივ გარემოებებთან კავშირში სასამართლოს ხელი მიუწვდებოდა ბევრ მტკიცებულებაზე (*I.C.J. Reports 1975*, გვ. 29, para. 47).

57. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ხელი მიუწვდება გენერალური მდივნის ანგარიშზე, ისევე როგორც საკმაოდ მოცულობით დოსიეებზე. ეს დოკუმენტები მოიცავენ ინფორმაციას არა მხოლოდ კედლის მშენებლობის მიმართულებასა და მდებარეობაზე, არამედ მისი მშენებლობით გამოწვეული ჰუმანიტარული და სოციო-ეკონომიკური გავლენის შესახებ. გენერალურმა მდივანმა სასამართლოს აგრეთვე მიაწოდა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას ავსებდა კიდევ უფრო განახლებული მონაცემებით. ამასთან, სასამართლომ წერილობითი დოკუმენტები სხვა მონაწილეებისგანაც მიიღო. ეს მასალა შეიცავდა გენერალური ასამბლეის მიერ მომზადებულ შეკითხვაზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის წერილობითი განცხადება მხოლოდ იურისდიქციისა და სამართლებრივი მართებულობის საკითხებს შეეხებოდა, ის სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასაც შეიცავდა, მათ შორის, უსფართხოების პრობლემებს. დოკუმენტს თან ახლდა დანართებიც; აღსანიშნავია ისრაელის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების მნიშვნელობაც.

58. სასამართლო მიიჩნევს, რომ მას ხელი მიუწვდება საკმარის ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე, რათა გენერალური ასამბლეის მიერ დასმულ შეკითხვაზე საკონსულტაციო დასკვნა მოამზადოს. ამასთან, ის გარემოება, რომ პოლიტიკური და სუბიექტური ასპექტების გათვალისწინებით სხვებს შეუძლიათ ამ ფაქტების

სხვაგვარი ინტერპრეტაცია და შეფასება, საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს იმისთვის, რომ სასამართლომ მართლმსაჯულების ფუნქციები არ განახორციელოს. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა, რომელიც სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარის თქმას აიძულებდა.

*

59. რამდენიმე მონაწილემ წერილობით მოხსენებაში დააფიქსირა არგუმენტი, რომ სასამართლომ კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე უარი უნდა განაცხადოს, რადგან მას არანაირი გამოყენება ან სასარგებლო დანიშნულება არ ექნება. ეს სახელმწიფოები დაობდნენ, რომ სასამართლოს მიერ მომზადებული საკონსულტაციო დასკვნის მიზანია ორგანოს ან დაწესებულებას, რომელსაც ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე განმარტება სჭირდება, შემდგომი რეაგირების მიზნით მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, გენერალურ ასამბლეას სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა არ სჭირდება, რადგან მან უკვე აღიარა, რომ კედლის მშენებლობა უკანონოა; ხოლო რაც შეეხება მის სამართლებრივ შედეგებს, ასამბლემ მოითხოვა, რომ ისრაელმა შეწყვიტოს მშენებლობა და აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. ამასთან, გენერალურ ასამბლეას არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ გამოიყენებს ამ საკონსულტაციო დასკვნას.

60. პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მიზანია საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს ორგანოს, რომელსაც შემდგომი რეაგირებისთვის ესაჭიროება სამართლებრივი განმარტება რიგ საკითხებზე. *Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide* [გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და პასუხისმგებელ პირთა დასჯის შესახებ კონვენციასთან მიმართებით გაკეთებული დათქმების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ აღნიშნა, რომ: 'საკონსულტაციო დასკვნის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიაწოდოს რჩევა სწორი რეაგირების შესახებ' (*I.C.J. Reports 1951*, გვ. 19). ანალოგიურად, სასამართლომ *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding the Security Council Resolution (1970)* [უშიშროების საბჭოს 276 (1970) რეზოლუციის მოთხოვნების უგულებელყოფით ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში) სამხრეთ აფრიკის განგრძობითი ყოფნის სამართლებრივი შედეგების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ: 'შეკითხვა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანომ მოამზადა, თავად ამ ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მის სამართლებრივ შედეგებს შეეხება' (*I.C.J. Reports 1971*, გვ. 24, para. 32). სასამართლომ სხვა საქმეში მიიჩნია, მიიჩნია, რომ მის მიერ მისაღებ საკონსულტაციო დასკვნის სახით 'დასავლეთ საჰარის დეკოლონიზაციის პროცესის შესახებ გენერალური ასამბლეისთვის სამართლებრივი რჩევა უნდა მიეცა' (*Western Sahara* [დასავლეთ საჰარის შესახებ] *I.C.J. Reports 1975*, გვ. 37, para. 72).

61. ცალკეული მონაწილეების მიერ გამოყენებულ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ გენერალურ ასამბლეას არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ გამოიყენებდა კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო დასკვნას, სასამართლო მიუთითებს *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღების გამოყენების მუქარის ან მათი გამოყენების კანონიერების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაზე:

‘ცალკეულმა სახელმწიფოებმა აღნიშნეს, რომ გენერალურ ასამბლეას სასამართლოსთვის არ განუმარტავს, თუ კონკრეტულად რა მიზნით ითხოვდა საკონსულტაციო დასკვნის მომზადებას. თუმცა, თავად სასამართლო ვერ შეაფასებს, თავისი ფუნქციების განხორციელებისთვის ესაჭიროება თუ არა გენერალურ ასამბლეას საკონსულტაციო დასკვნა. გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს თავისი საქმიანობის ფარგლებში თავადვე შეაფასოს საკონსულტაციო დასკვნის საჭიროების საკითხი’ (*I.C.J. Reports 1996(I)*, გვ. 237, para. 16).

62. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია უარი განაცხადოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ გამოცემულ დოკუმენტს არანაირი გამოყენება არ ექნება. საკონსულტაციო დასკვნის საჭიროების საკითხის შეფასების კუთხით სასამართლო ვერ ჩაანაცვლებს იმ ორგანოს, რომელიც ამ დოკუმენტის მომზადებას მოითხოვს; მოცემულ შემთხვევაში - გენერალურ ასამბლეას. ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ გენერალურ ასამბლეას ჯერ არ განუსაზღვრავს თავისივე რეზოლუციის ყველა სამართლებრივი შედეგი. სასამართლომ ამომწურავად უნდა შეაფასოს კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო - გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს შეუძლიათ სასამართლოს მიერ მომზადებულ დოკუმენტზე დაყრდნობით თავად გააკეთონ დასკვნები.

*

63. და ბოლოს, სასამართლო განიხილავს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებულ არგუმენტს. ისრაელმა აღნიშნა, რომ პალესტინას უფლება არ აქვს მიმართოს სასამართლოს თავისივე უკანონო ქმედებების, კერძოდ ისრაელისა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის, შესაკავებლად აღმართული კედლის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. ისრაელი თავის არგუმენტს აფუძნებს პრინციპზე - *nullus commodum capere potest de sua injuria propria* [არავინ უნდა ისარგებლოს თავისივე დარღვევებით], რომელიც საკონსულტაციო დასკვნის განხილვაშიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოთაშორის დავებში. შესაბამისად, ისრაელი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპისა და ‘clean hands’ [სუფთა ხელების] პრინციპის გათვალისწინებით სასამართლო ვალდებულია უარი განაცხადოს გენერალური ასამბლეის მიერ მოთხოვნილ საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე.

64. სასამართლო არ იზიარებს ამ არგუმენტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკონსულტაციო დასკვნის მომზადება გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა და სასამართლო დასკვნას სწორედ გენერალური ასამბლეისთვის, და არა ცალკეული სახელმწიფოსა თუ დაწესებულებისთვის, მოამზადებს.

* *

65. სასამართლო ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მას აქვს გენერალური ასამბლეის მიერ მოთხოვნილი საკონსულტაციო დასკვნის მომზადების იურისდიქცია (იხილეთ 42-ე პარაგრაფი). ამასთან, არ არსებობს აუცილებლობა, რომ დისკრეციის ფარგლებში სასამართლომ უარი განაცხადოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადებაზე.

* * *

66. ამჯერად სასამართლო გენერალური ასამბლეის ES-10/14 რეზოლუციით გათვალისწინებულ შეკითხვას განიხილავს. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს შეკითხვას:

‘საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის, 1949 წლის ჟენევის კონვენციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების გათვალისწინებით, რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ისრაელის, ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო კედლის მშენებლობა, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშშია აღწერილი?’

67. ‘კედელი’ წარმოადგენს კომპლექსურ კონცეფციას, რომლის მხოლოდ ფიზიკურ ნაგებობად გაგება არასწორი იქნებოდა. კედლის შესახებ დეტალური ინფორმაცია 82-ე პარაგრაფშია მოცემული. თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას სხვა აქტორების მათ შორის, ისრაელისა (‘მესერი’) და გენერალური მდივნის (‘ბარიერი’) მიერ გამოყენებულ ტერმინებზეც. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია გენერალური ასამბლეის მიერ შერჩეული ტერმინის გამოყენება.

აქვე, სასამართლო აღნიშნავს, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა კედლის ‘ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო’ მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შეფასება. როგორც შემდგომ სექციებში (იხილეთ 79-84 პარაგრაფები) დეტალურად იქნება აღწერილი, ამ კონსტრუქციის უკვე აშენებული ან სამომავლოდ ასაგები ცალკეული ნაწილები ისრაელის ტერიტორიაზე მდებარეობს. სასამართლოს არ ევალება კედლის ამ ნაწილების მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შეფასება.

68. გენერალური ასამბლეის მიერ ფორმულირებული შეკითხვა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივ საკითხებს შეეხება. თუმცა, გენერალური ასამბლეისთვის ამ მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ დასკვნის მოსამზადებლად, აუცილებელია, პირველ რიგში დადგინდეს, არღვევს თუ არა კედლის მშენებლობა საერთაშორისო სამართალს (იხილეთ 39-ე პარაგრაფი). შესაბამისად, სანამ სამართლებრივი შედეგების ანალიზზე გადავა, სასამართლო პირველ რიგში ამ საკითხის შეფასებას შეუდგება.

69. ამ მიზნით, სასამართლო პირველ რიგში მოკლედ შეაფასებს ზემოხსენებული ტერიტორიების სტატუსს და შემდეგ აღწერს ამ ტერიტორიებზე უკვე დასრულებულ სამუშაოებსა და სამომავლო მშენებლობებს. ბოლოს, სასამართლო მიმოიხილავს რელევანტურ სამართლებრივ ნორმებს და დაადგენს, დაირღვა თუ არა ეს ნორმები კედლის მშენებლობით.

* *

70. პალესტინა ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პაქტის 22-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად ეს ტერიტორია სამანდატოდ დიდ ბრიტანეთს გადაეცა. ამ დებულების თანახმად:

‘შველად თურქულ იმპერიაში შემავალმა ცალკეულმა დასახლებებმა, განვითარების იმ ეტაპს მიაღწია, რომ შესაძლებელია მათი დამოუკიდებელ ერებად ცნობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სანამ ისინი დამოუკიდებლად ფუნქციონირებას შეძლებენ, აუცილებლად გაითვალისწინებენ მათზე მანდატის მქონე სახელმწიფოსგან მიღებულ ადმინისტრაციული ხასიათის რჩევებსა და დახმარებას.’

სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს *International Status of South West Africa* [სამხრეთ დასავლეთ აფრიკის საერთაშორისო სტატუსის შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში ხაზგასმულ გარემოებას. ამ დასკვნაში სასამართლომ (ზოგადად) სამანდატო ტერიტორიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ‘ისინი ადგილობრივი მოსახლეობისა და ზოგადად, კაცობრიობის კეთილდღეობისთვის საერთაშორისო მიზნით საერთაშორისო ინსტიტუციებად შეიქმნა, რათა სამართავად მთელ ცივილიზაციას მინდობოდა’ (*I.C.J. Reports 1950*, გვ. 132). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ‘ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი როლი ორ ძირითად პრინციპს ენიჭებოდა. ეს პრინციპებია: ანექსიის დაუშვებლობა და იმ ხალხთა კეთილდღეობა და განვითარება, რომლებსაც [ჯერ კიდევ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად არსებობა] და ‘სამეურვეოდ მთელ ცივილიზაციას’ გადაეცა’ (*Ibid.*, გვ. 131).

პალესტინის სამანდატო ტერიტორიების საზღვრები არაერთი დოკუმენტით განისაზღვრა; კერძოდ, აღმოსავლეთ საზღვარი გაიწერა 1922 წლის 16 სექტემბრის ბრიტანული მემორანდუმითა და 1928 წლის 20 თებერვლის ანგლო-ტრანსიორდანიული ხელშეკრულებით.

71. 1947 წელს გაერთიანებულმა სამეფომ განაცხადა, რომ 1948 წლის 1-ლ აგვისტომდე სურდა სამანდატო ტერიტორიების სრულად გათავისუფლება. ეს პროცესი შემდგომში 1948 წლის 15 მაისამდე გადაიდო. ამასობაში გენერალურმა ასამბლეამ 1947 წლის 29 ნოემბერს მიიღო 181(II) რეზოლუცია პალესტინის სამომავლო მთავრობის შესახებ, რომლითაც 'მიზანშეწონილად ჩათვალია, რომ გაერთიანებულ სამეფოსა ... და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა სხვა წევრს შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ... პალესტინის [ტერიტორიის] დაყოფის გეგმა'. რეზოლუციის მიხედვით, ტერიტორიები უნდა გადანაწილებულიყო ორ დამოუკიდებელ [ერთ არაბულ და ერთ ებრაულ] სახელმწიფოს შორის, ხოლო [ქალაქ] იერუსალიმში უნდა დაწესებულიყო განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმი. პალესტინის არაბულმა მოსახლეობამ და არაბულმა სახელმწიფოებმა ეს გეგმა არ მოიწონეს და დააფიქსირეს თავიანთი წინააღმდეგობა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ გეგმა დაუბალანსებელი იყო. 1948 წლის 14 მაისს ისრაელმა გენერალური ასამბლეის რეზოლუციაზე დაყრდნობით დამოუკიდებლობა გამოაცხადა; ისრაელსა და რამდენიმე არაბულ სახელმწიფოს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო და პალესტინის დაყოფის გეგმა არ განხორციელდა.

72. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1948 წლის 16 ნოემბრის 62(1982) რეზოლუციით გადაწყვიტა, რომ პალესტინის ყველა სექტორში საზავო რეჟიმი დამყარებულიყო' და ამ მიზნით კონფლიქტის მხარეებს შეთანხმების მიღწევისკენ მოუწოდა. რეზოლუციის შესაბამისად 1949 წელს გაერთიანებული ორგანიზაციის მედიატორობით ისრაელსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის ზავის ხელშეკრულებები გაფორმდა. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება ისრაელსა და იორდანias შორის 1949 წლის 3 აპრილს როდოსზე გაფორმდა. ხელშეკრულების V და VI მუხლებით განისაზღვრა ისრაელისა და არაბული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის საზავო დემარკაციის ზოლი (რუკებზე ამ ზოლის მოსანიშნად გამოყენებული მწვანე ფერის გამო მას ხშირად 'მწვანე ზოლის' სახელით მოიხსენიებენ; შემდგომში 'მწვანე ზოლი'). III მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით 'აკრძალულია რაიმე მიზნით საზავო დემარკაციის ზოლს მიღმა ნებისმიერი სამხედრო ან გასამხედროებული ძალების გადაადგილება ან მისი გადაკვეთა'. VI მუხლის მე-8 პარაგრაფის თანახმად, დაუშვებელია შეთანხმების დებულებების ისე განმარტება, რომ 'ხელი შეუშალოს ან შეაფერხოს მხარეებს შორის პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკებები'. ამასთან, აღინიშნა, რომ 'მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების V და VI მუხლებით გათვალისწინებული საზავო დემარკაციის ზოლზე არ გამორიცხავს ან გავლენას არ ახდენს მომავალში ტერიტორიული საკითხების მგვარებას ან ერთ-ერთი მხარის მიერ ამ საკითხის სადავოდ გახდას'. გათვალისწინებული იქნა აგრეთვე დემარკაციის ზოლის შეთანხმებისამებრ შეცვლის შესაძლებლობა.

73. 1967 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ბრიტანეთის სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (მათ

შორის, მწვანე ზოლის აღმოსავლეთით მდებარე მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირად წოდებული ტერიტორიის) სრული ოკუპაცია.

74. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1967 წლის 22 ნოემბერს ერთხმად მიიღო 242(1967) რეზოლუცია, რომელშიც მოხდა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ტერიტორიის მოპოვების დაუშვებლობის პრინციპის აღიარება და რომლითაც ისრაელს დაევალა 'კონფლიქტის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან შეიარაღებული ძალების გაყვანა' და 'ყველანაირი მოთხოვნის უკან წაღება და საომარი მდგომარეობის შეჩერება'.

75. 1967 წლიდან მოყოლებული [ქალაქ] იერუსალიმის სტატუსის შეცვლის მიზნით ისრაელმა არაერთი ზომა მიიღო. 'სამხედრო უპირატესობის მოპოვების გზით ტერიტორიის შეძენის დაუშვებლობის პრინციპზე' აპელირებით უშიშროების საბჭომ არაერთხელ დაგმო ისრაელის ქმედება და 1971 წლის 25 სექტემბრის 298(1971) რეზოლუციით შემდგომი დაგვარად არაორაზროვნად აღნიშნა, რომ:

'[ქალაქ] იერუსალიმის სტატუსის შეცვლის მიზნით ისრაელის მიერ გატარებული ნებისმიერი სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ზომა, მათ შორის ტერიტორიისა და ქონების ექსპროპრიაცია, მოსახლეობის გადასახლება და კანონმდებლობის მიღება, რომელიც ოკუპირებული ზონის ეროვნულ საზღვრებში შეყვანას ისახავს მიზნად, უკანონოა და გავლენას არ ახდენს ამ ტერიტორიების სტატუსზე.'

მოგვიანებით, 1980 წლის 30 ივლისს ისრაელმა მიიღო ძირითადი კანონი, რომლითაც 'მთლიანი და ერთიანი' იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად განისაზღვრა. უშიშროების საბჭომ 1980 წლის 20 აგვისტოს 478(1980) რეზოლუციით აღიარა, რომ ძირითადი კანონის ამოქმედება არღვევდა საერთაშორისო სამართალს და რომ 'ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის მიერ იერუსალიმის წმინდა ქალაქის სტატუსისა და ხასიათის შეცვლის მიზნით ისრაელის მიერ მიღებული ყველა ზომა მიღების მომენტიდანვე ბათილი იყო'. ამასთან, საბჭომ გადაწყვიტა, რომ 'არ ეღიარებინა 'ძირითადი კანონი' და ისრაელის მიერ ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე განხორციელებული არცერთი ქმედება, რომელიც იერუსალიმის სტატუსის შეცვლის მიზანს ემსახურებოდა'.

76. შემდგომში, 1994 წლის 26 ოქტომბერს ისრაელსა და იორდანას შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამ შეთანხმებით განისაზღვრა ორი სახელმწიფოს საზღვარი. 'ხელშეკრულება მითითებას აკეთებდა მანდატით განსაზღვრულ საზღვრის განმარტებაზე, რომელიც მოცემული იყო I (a) დანართში. ამასთან, შეთანხმება გავლენას არ ახდენდა იმ ტერიტორიების სტატუსზე, რომელზეც კონტროლი ისრაელის სამხედრო მთავრობამ 1967 წლის შემდეგ დაამყარა'. I (a) დანართში მოცემული იყო რუკები. რაც შეეხება ტერიტორიებს, 'რომელზეც კონტროლი ისრაელის სამხედრო მთავრობამ 1967 წლის შემდეგ

დაამყარა', დანართის მიხედვით, მოცემული ზოლი წარმოადგენდა ისრაელსა და იორდანias შორის 'ადმინისტრაციულ საზღვარს'.

77. და ბოლოს, 1993 წლის შემდგომ ისრაელსა და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის მიღწეული რამდენიმე შეთანხმება მხარეთა არაერთ ვალდებულებას ითვალისწინებდა. ეს შეთანხმებები ისრაელს, *inter alia*, ავალდებულებდნენ, რომ პალესტინური ორგანოებისთვის გადაეცა იმ ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის ნაწილი, რომელსაც ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე მისი სამხედრო ძალები და სამოქალაქო ადმინისტრაცია ახორციელებდა. ძალაუფლების გადაცემა მოხდა. თუმცა, შემდგომი ქმედებების გამო ის მხოლოდ ნაწილობრივი და შეზღუდული ხასიათის აღმოჩნდა.

78. სასამართლოს სურს აღნიშნოს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ხმელეთზე წარმოებული ომის სამართლისა და ჩვეულებების დაცვის შესახებ 1907 წლის 18 ოქტომბრის ჰააგის მეოთხე კონვენციაზე თანდართული რეგულაციების (შემდგომში '1907 წლის ჰააგის რეგულაციები') 42-ე მუხლს (იხილეთ 89-ე პარაგრაფი), ტერიტორია ოკუპირებულად ჩაითვლება, თუკი ის მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების რეალურ ძალაუფლებას ექვემდებარება. ოკუპაცია გავრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც უკვე დამყარდა ასეთი ძალაუფლება და შესაძლებელია მისი [ასეთი ძალაუფლების] განხორციელება.

მწვანე ხაზსა (იხილეთ 72-ე პარაგრაფი) და სამანდატო პალესტინის ძველი აღმოსავლეთ საზღვარს შორის მდებარე ტერიტორიის ოკუპაცია ისრაელმა იორდანiasთან 1967 წელს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოახდინა. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ეს ტერიტორიები ოკუპირებულად ითვლება, ხოლო ისრაელი - ოკუპანტ ძალად. ამ ტერიტორიებზე შემდგომში განვითარებულ მოვლენებს (როგორც ეს 75-77 პარაგრაფებშია აღწერილი) ეს მოცემულობა არ შეუცვლია. ეს ტერიტორიები (მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმი) ოკუპირებულ ტერიტორიებად რჩება და ისრაელი კვლავაც ოკუპანტ ძალად ითვლება.

*

79. ეს სწორედ ის ტერიტორიებია, რომელზეც გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით ისრაელმა უკვე დაასრულა ან სამომავლოდ აპირებს კედლის მშენებლობას. ახლა სასამართლო ამ ანგარიშზე დაყრდნობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სამუშაოებს აღწერს. სასამართლო აგრეთვე გამოიყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წერილობითი მოხსენებაში მითითებულ ინფორმაციას გენერალური მდივნის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ (შემდგომში 'გენერალური მდივნის წერილობითი მოხსენება').

80. გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად 'ისრაელის მთავრობა 1996 წლიდან მოყოლებული ცდილობდა შეემუშავებინა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ცენტრალური და ჩრდილოეთ ნაწილიდან ისრაელში შეღწევის აღკვეთას ...' (მე-4 პარაგრაფი). ანგარიშის მიხედვით, ასეთი გეგმა პირველად ისრაელის კაბინეტმა 2001 წლის ივლისში დაამტკიცა. შემდგომში, 2002 წლის 14 აპრილს კაბინეტმა მიიღო სპეციალური კონსტრუქციის მშენებლობის გადაწყვეტილება, რომელსაც ისრაელი 'უსაფრთხოების მესერის' სახელით მოიხსენიებს. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის სამ ზონაში ასაგები კონსტრუქცია სიგრძეში 80 კილომეტრს შეადგენს.

ამ პროექტის ფარგლებში ისრაელის კაბინეტმა დამატებითი ზომები 2002 წლის 23 ივნისს მიიღო, როდესაც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე (მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში) 'განგრძობადი მესერის' მშენებლობის პირველი ეტაპი დაამტკიცა. 2002 წლის 14 აგვისტოს მიღწეულ იქნა საბოლოო შეთანხმება სამუშაოების A ეტაპზე მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ჩრდილოეთ ნაწილში საღების გამშვები პუნქტიდან (იენინის ჩრდილოეთით) ელკანას დასახლებამდე ასაგები 123 კილომეტრი სიგრძის მესერის მიმართულებისა და მდებარეობის შესახებ. B ეტაპის სამუშაოების გეგმა 2002 წლის დეკემბერში დამტკიცდა. პროექტი უნდა განხორციელებულიყო საღების გამშვები პუნქტიდან აღმოსავლეთით შეანისაკენ მწვანე ხაზის ჩრდილოეთ ნაწილის გასწვრივ იორდანის ხეობამდე 40 კილომეტრი სიგრძის ტერიტორიაზე. ამასთან, 2003 წლის 1-ლ ოქტომბერს ისრაელის კაბინეტმა დაამტკიცა კედლის მთელი მიმართულება, რომელიც, გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით 'მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის გასწვრივ 720 კილომეტრზე განლაგებული უწყვეტი კონსტრუქცია იქნება'. 2003 წლის 23 ოქტომბერს ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა დასრულებული და მომავალში ასაგები ფრაგმენტების რუკები. გეგმაზე დატანილი ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე დიდი დასახლების გარშემო აგებული უწყვეტი სექციები (C ეტაპი) იერუსალიმის გარშემო აგებული 'უსაფრთხოების მესერის' ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს შეაერთებს სამხრეთით - ელკანაში A ეტაპზე აგებულ კონსტრუქციასთან. იმავე გეგმის მიხედვით, 'უსაფრთხოების მესერი' გადაიჭიმება 115 კილომეტრზე იერუსალიმის მახლობლად მდებარე ჰარ გილოს დასახლებიდან ჰებრონის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე კარმელის დასახლებამდე (D ეტაპი). თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, ამ სექტორში განსახორციელებელი სამუშაოები 2005 წელს უნდა დასრულდეს. და ბოლოს, სასამართლოს ხელთ არსებულ დოკუმენტებში მოხსენიებულია, რომ ისრაელი გეგმავს 'უსაფრთხოების მესერის' აღმართვას იორდანის ხეობაში დასავლეთის მიმართულებით ქედის გასწვრივ.

81. გენერალური მდივნის წერილობითი მოხსენების თანახმად, ამ სამუშაოების პირველი ნაწილი (A ეტაპი), რომელიც 150 კილომეტრიან კონსტრუქციას მოიაზრებს, ოფიციალური ინფორმაციით 2003 წლის 31 ივლისს დასრულდა. გავრცელებული ინფორმაციით 56,000 პალესტინელი ალყაში მოექცა. პირველ ეტაპზე იერუსალიმის გარშემო აშენდა ორი სექცია, რომლის სიგრძეც მთლიანად

19,5 კილომეტრს შეადგენს. 2003 წლის ნოემბერში მწვანე ხაზის გასწვრივ ნაზლატისაა ბაქა ალ შარქიას მიმართულებით კონსტრუქციის ახალი სექციის მშენებლობა დაიწყო. 2004 წლის იანვარში, როდესაც გენერალურმა მდივანმა სასამართლოს თავისი წერილობითი მოხსენება გუგზავნა, ამ სექციის მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო.

გენერალური მდივნის წერილობითი მოხსენების თანახმად, B ეტაპის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები 2004 წლის იანვარში კიდევ მიმდინარეობდა. ამ მონაკვეთის კონკრეტული ნაწილი, რომელიც მწვანე ხაზის მახლობლად ან მწვანე ხაზიდან სოფელ ალ მუტილლამდეა გადაჭიმული, 2004 წლის იანვრისთვის თითქმის დასრულებული იყო. ამ დროისთვის, უნდა აღინიშნოს კონსტრუქციის კიდევ ორი სექცია. ერთ-ერთი მათგანის მშენებლობა, რომელიც იორდანის საზღვრამდე გრძელდება, 2004 წლის იანვარში დაიწყო; მეორე სექციის მშენებლობა, რომელიც მწვანე ხაზიდან სოფელ ტაისირამდე უნდა გადაიჭიმოს, თითქმის არ დაწყებულა. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აცნობეს, რომ მეორე სექცია, შესაძლოა, საერთოდ არ აშენდეს.

გენერალური მდივნის წერილობით მოხსენებაში აღნიშნულია, რომ C ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოები, რომლებიც A ეტაპზე აგებული სექციის ელკანას დასახლების მახლობლად მდებარე კიდიდან იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ ნუმანამდე უნდა გადაიჭიმოს, 2003 წელს დაიწყო. ეს სექცია სამ ნაწილად იყოფა. უკვე აგებულია C1 სექციის 4 კილომეტრი. სრული სექციის სიგრძე 40 კილომეტრს შეადგენს და გადაჭიმულია *inter alia* სოფლებს ანბითსა და ბუდრუს შორის. ე.წ. 'არიელ სალიენტის' გარშემო უნდა აშენდეს C2 სექცია, რომელიც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ტერიტორიებზე 22 კილომეტრით იქნება შეჭრილი. ეს სექცია ისრაელის დასახლებაში 52,000 ადამიანს მოაქცევს. C3 სექცია მოიცავს ორ "შუა ბარიერს"; ერთ-ერთი მათგანი განლაგებული იქნება ჩრდილოეთიდან სამხრეთით, თითქმის C1 სექციის პარალელურად, რომელიც ამჟამად რანტისა და ბუდრუს შორის შენდება. მეორე სექცია კი აღიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთით, იმ ქედის გასწვრივ, რომელზეც 45-ე გზატკეცილმა უნდა გაიაროს. ეს გზაც ამჟამად შენდება. თუკი ამ ორი ბარიერის მშენებლობა დასრულდება, შეიქმნება ორი შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელშიც 24 დასახლებაში მცხოვრები 72,000 პალესტინელი მოექცევა.

2003 წლის ნოემბერში დაიწყო იერუსალიმის მუნიციპალური საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის გარშემო მშენებლობა. გენერალური მდივნის წერილობითი მოხსენების თანახმად, ამ კონსტრუქციის ტრაექტორია ისრაელისგან მოწყვეტს ელ-ეზარიას გარეუბანში მდებარე სოფელს და მახლობლად მდებარე აბუ დის ორ ნაწილად ყოფს.

გენერალური მდივნის წერილობითი მოხსენების მიხედვით, 2004 წლის 25 იანვარს დასრულდა A ეტაპი და B ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილის მშენებლობა. ნაგებობის სიგრძე 190 კილომეტრს შეადგენს. ამასთან, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ცენტრალური ნაწილის ცალკეულ ზონებსა და იერუსალიმში უკვე

დაიწყო C ეტაპის მშენებლობა. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის სამხრეთ ნაწილში D ეტაპის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

ისრაელის მთავრობამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ტრაექტორია და მშენებლობის განრიგი შესაძლოა შეიცვალოს. მაგალითად, 2004 წლის თებერვალში, ქალაქ ალ-შარქიას მახლობლად 8 კილომეტრიანი სექცია დაანგრეს. როგორც ჩანს, გადაწყდა, რომ კედლის სიგრძე უმნიშვნელოდ შემცირდეს.

82. გენერალური მდივნის წერილობით მოხსენებაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასრულებული ან მომავალში აგებული კონსტრუქცია კომპლექსური ხასიათის ნაგებობაა და მოიცავს შემდეგს:

- (1) ელექტრონული სენსორების მქონე მესერი;
- (2) თხრილი (რომლის სიღმეც ცალკეულ შემთხვევაში 4 მეტრს აღწევს);
- (3) ასფალტის ორ-ზოლიანი საპატრულო გზა;
- (4) მესერის პარალელური ბილიკი (ქვიშის ზოლი, რომელიც შესაძლებელს ხდის ფეხის ნაკვალევის იდენტიფიცირებას);
- (5) ექვსი მავთულხლართი, რომელიც კომპლექსის პერიმეტრს აღნიშნავს.

50-დან 70 მეტრამდე სიგანის მქონე ნაგებობა ცალკეულ ადგილას სიგანეში 100 მეტრამდე იზრდება. ამას შესაძლოა დაემატოს 'შუა ბარიერები'.

კომპლექსის 180 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც თითქმის უკვე დასრულებულია ან გენერალური მდივნის მიერ სასამართლოსთვის ანგარიშის გაგზავნის მომენტში ჯერ კიდევ შენდება, მოიცავს 8,5 კილომეტრიან ბეტონის კედელს. ასეთი კონსტრუქცია გამოყენებულია ისეთ ზონებში, სადაც პალესტინელი მოსახლეობა ისრაელის ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრობს ან უშუალოდ ესაზღვრება (ასეთი ადგილებია ქალქილია და ტულკარმი ან იერუსალიმის ცალკეული უბნები).

83. გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით, კედლის ჩრდილოეთ სექტორის უმეტესი ნაწილის დასრულებული ან ჯერ კიდევ მშენებარე კონსტრუქცია თითქმის არ უხვევს მწვანე ზოლიდან. თუმცა, ტრაექტორიის უმეტეს ნაწილზე კედელი პალესტინის ტერიტორიაზეა აგებული. პალესტინური დასახლებების ალყაში მოქცევის მიზნით ცალკეულ ნაწილებში კედელი 7,5 კილომეტრით უხვევს მწვანე ზოლიდან. ტულკარმის დასავლეთით კედელი მწვანე ზოლიდან 1-დან 2 კილომეტრამდე მანძილით გადადის ისრაელის ტერიტორიაზე. თუმცა, სხვა ადგილებში კედელი აღმოსავლეთით 22 კილომეტრამდე მანძილით ცდება მწვანე ზოლს. იერუსალიმის შემთხვევაში, დასრულებული კონსტრუქცია და დაგეგმილი მშენებლობა მნიშვნელოვნად სცდება არა მხოლოდ მწვანე ზოლს, არამედ თავად

ისრაელის მიერ განსაზღვრულ იერუსალიმის აღმოსავლეთ მუნიციპალურ საზღვარსაც.

84. გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად, კედლის ასეთი ტრაექტორიის გამო კონსრუქციასა და მწვანე ზოლს შორის მოექცევა 975 კვადრატული კილომეტრი (მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ტერიტორიის 16,6 პროცენტი). არსებული მონაცემებით, ამ ზონაში 237,000 პალესტინელი ცხოვრობს. თუკი მთელი კედელი არსებული გეგმის შესაბამისად აშენდება, კიდევ 160,000 პალესტინელს მოუწევს სრულიად კედლით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრება. კედლის ტრაექტორიის გამო, მწვანე ზოლსა და კედელს შორის ტერიტორიაზე 320,000-მდე (რომელთაგან, 178,000 იერუსალიმზე მოდის) ისრაელის მოქალაქეობის მქონე მოსახლე იცხოვრებს.

85. და ბოლოს, უნდა აღნიშნოს, რომ კედლის მშენებლობას თან ახლავს ახალი ადმინისტრაციული რეჟიმის დაწესებაც. ამრიგად, 2003 წლის ოქტომბრიდან ისრაელის თავდაცვითმა ძალებმა გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მწვანე ზოლსა და კედელს შორის არსებული ტერიტორია 'დახურულ ზონად' გამოცხადდა. ამ ტერიტორიის მაცხოვრებლებს აღარ აქვთ ამ ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება. აგრეთვე აიკრძალება ამ ზონაში არამაცხოვრებლების შესვლა, თუკი მათ ნებართვა ან ისრაელის შესაბამისი დაწესებულებების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნიათ. გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით, მაცხოვრებლების უმეტესობამ ნებართვა მხოლოდ შეზღუდული მოქმედების ვადით მიიღო. ისრაელის მოქალაქეებს, ისრაელში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირებსა და დაბრუნების შესახებ ისრაელის კანონის შესაბამისად ისრაელში იმიგრაციის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ ნებართვის გარეშე თავისუფლად განაგრძონ ცხოვრება ან დასახლდნენ დახურულ ზონაში. დახურულ ზონაში შესვლა და გასვლა მხოლოდ გამშვები პუნქტების გავლით არის შესაძლებელი. ეს პუნქტები იშვიათად და მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით იხსნება.

* *

86. ამ ეტაპზე სასამართლო საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებსა და წესებს განიხილავს, რომლებიც ისრაელის ქმედებების კანონიერების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია. ეს წესები და პრინციპები მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებებსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ისევე როგორც საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ წესდების შესაბამისად მიღებულ რეზოლუციებში. თუმცა, ისრაელმა ექვეყნე დააყენა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ცალკეული ხელშეკრულებების მოქმედების საკითხი. სასამართლო ამ ასპექტებს დეტალურად განიხილავს.

87. სასამართლო, პირველ რიგში აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად:

‘გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო ვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებისას თავი შეიკავოს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან შეუსაბამო ნებისმიერი ფორმის ძალის გამოყენებისაგან ან ძალის გამოყენების მუქარისგან.’

1970 წლის 24 ოქტომბერს გენერალურმა ასამბლეამ 2625 (XXV) რეზოლუციაში - ‘სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაცია’ (შემდგომში 2625 (XXV) რეზოლუცია) აღნიშნა, რომ ‘დაუშვებელია ძალის გამოყენების შედეგად ან ძალის გამოყენების მუქარით ტერიტორიის მოპოვების კანონიერად მიჩნევა’. *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)* [ნიკარაგუას წინააღმდეგ სამხედრო და გასამხედროებული მოქმედებების შესახებ (ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ)] სახელმწიფოთაშორის დავაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ძალის გამოყენების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია (იხილეთ *I.C.J. Reports 1986*, გვ. 98-101, paras. 187-190); იგივე შეიძლება ითქვას ძალის გამოყენების შედეგად ან ძალის გამოყენების მუქარით ტერიტორიის მოპოვების არაკანონიერების საკითხზეც.

88. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულია და გენერალური ასამბლეის 2625 (XXV) რეზოლუციით აღიარებულია ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, რომლის მიხედვითაც ‘ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ძალისმიერი ქმედების განხორციელებისგან, თუკი ეს შეუძლებელს გახდის ... [რეზოლუციაში მოხსენიებულ] ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას’. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტების საერთო 1-ლი მუხლი ასევე აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ამ დებულების მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით პატივი სცენ და ხელი შეუწყონ ამ უფლების რეალიზებას.

იმ დროისთვის ახლად განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით სასამართლომ 1971 წელს ხაზი გაუსვა ‘გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და აღიარა, რომ თვითგამორკვევის უფლება ყველა [ასეთ ტერიტორიაზე] ვრცელდება’. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ‘ამ კუთხით საერთაშორისო სამართლის განვითარება ეჭვს არ ტოვებდა, რომ ერთა

ლიგის პაქტის 22-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული 'მინდობილი ტერიტორიების სამომავლო და ერთადერთ მიზანს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზება წარმოადგენდა' (*Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding the Security Council Resolution (1970), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1971*, გვ. 31, paras. 52-53). სასამართლომ ამ პრინციპის მნიშვნელობას არაერთ საქმეში გაუსვა ხაზი (*ibid.*; იხილეთ *Western Sahara, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1975*, გვ. 68, para. 162). სასამართლომ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება დღეისთვის *erga omnes* ხასიათისაა (იხილეთ *East Timor (Portugal v. Australia), Judgment, I.C.J. Reports 1995*, გვ. 102, para. 29).

89. რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ისრაელი არ არის 1907 წლის ჰააგის კონვენციის ხელშემკვერელი მხარე, რომელსაც თან ერთვის ჰააგის რეგულაციები. კონვენციის ტექსტზე დაყრდნობით სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს რეგულაციები მომზადებულია იმ დროისთვის არსებული 'ომის სამართლისა და ჩვეულებების' განახლების მიზნით. თუმცა, მას შედეგ ნიურმბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ 'ცივილიზებული მსოფლიოს მიერ კონვენციაში გათვალისწინებული წესები ომის წესებისა და ჩვეულებების აღიარებას წარმოადგენდა' (*Judgment of the international Military Tribunal of Nuremberg*, 30 September and 1 October 1946, გვ. 65). სასამართლო იგივე დასკვნამდე მივიდა, როდესაც საბრძოლო მოქმედებების კუთხით შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების ვალდებულებები განიხილა (*Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996 (I)*, გვ. 256, para. 75). სასამართლო მიიჩნევს, რომ ჰააგის რეგულაციის დებულებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი გახდა. ამ საკითხს პროცესის არცერთი მონაწილე არ ხდის სადავოდ.

ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 154-ე მუხლის მიხედვით კონვენცია ავსებს ჰააგის რეგულაციების II და III სექციებს. ამ საქმისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგულაციების III სექცია, რომელიც 'მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე სამხედრო ხელისუფლების განხორციელების' საკითხს შეეხება.

90. ჟენევის მეოთხე კონვენციასთან დაკავშირებით პროცესის სხვადასხვა მონაწილის მხრიდან განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კონვენციის *de jure* გავრცელებასთან დაკავშირებით ისრაელს უმრავლესობისგან განსხვავებული მოსაზრება გააჩნია. კერძოდ, გენერალური მდივნის ანგარიშის I დანართის მე-3 პარაგრაფში (სათაურით 'ისრაელის მთავრობის სამართლებრივი პოზიციის შეჯამება') აღნიშნულია, რომ იორდანისა და ეგვიპტის მიერ ტერიტორიის ანექსიამდე ისრაელი არ ეთანხმება პოზიციას, რომ ჟენევის მეოთხე კონვენცია 'ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ვრცელდება', რადგან 'იორდანისა და ეგვიპტის მიერ მის ანექსიამდე [ეს ტერიტორია] სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიად არ

უცვნიათ' და შესაბამისად, 'კონვენციის მიზნებისთვის მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიად ვერ ჩაითვლება'.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის რატიფიცირება ისრაელმა 1951 წლის 6 ივლისს მოახდინა და ისრაელი კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა. იორდანია კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა 1951 წლის 29 მაისიდან. კონვენციის დებულებებზე დათქმა ამ ორი სახელმწიფოდან არცერთს არ გაუკეთებია, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების პროცესში.

ამასთან, პალესტინამ 1982 წლის 7 ივნისს აიღო ცალმხრივი ვალდებულება, რომ დაიცავს ჟენევის მეოთხე კონვენციას. შევიცარიამ, როგორც დეპოზიტარმა სახელმწიფომ, ცნო პალესტინის მიერ ვალდებულების ცალმხრივად აღების ნამდვილობა. თუმცა, ჩათვალა, რომ 'როგორც დეპოზიტარს - არ შეეძლო თავად გადაეწყვიტა კონვენციასთან მიერთების ინსტრუმენტად უნდა ჩათვლილიყო თუ არა პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ პალესტინის სახელმწიფოს სახელით გაგზავნილი მოთხოვნა *inter alia* ჟენევის მეოთხე კონვენციასთან მიერთების შესახებ'.

92. ამასთან, მეოთხე კონვენციის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციის საერთო მე-2 მუხლის თანახმად:

‘იმ დებულებათა გარდა, რომლებიც მშვიდობიან დროს უნდა მოქმედებდეს, წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მხარე არ ცნობს საომარ მდგომარეობას.

კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს.

თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის წინამდებარე კონვენციის მხარე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, ერთმანეთს შორის ურთიერთობებში კვლავაც კონვენციით შეზღუდულნი რჩებიან. ამასთან, ისინი კონვენციით შეზღუდულნი იქნებიან ზემოაღნიშნული სახელმწიფოს მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ცნობს და გამოიყენებს მის დებულებებს.’

93. 1967 წელს მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ოკუპაციის შემდეგ ისრაელის ხელისუფლებამ გამოსცა N3 ბრძანება, რომლის 35-ე მუხლის თანახმადაც:

‘სასამართლო პროცედურებთან დაკავშირებით სამხედრო სასამართლომ ... ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დებულებები უნდა გამოიყენოს. ამ ბრძანებისა და კონვენციის დებულებებს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა კონვენციის დებულებებს უნდა მიენიჭოს.’

მოგვიანებით, ისრაელის ხელისუფლებამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ზოგადად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჟენევის მეოთხე კონვენციით გათვალისწინებული ჰუმანიტარული ხასიათის დებულებები გამოიყენება. თუმცა, როგორც 90-ე პარაგრაფში მოკლედ იქნა აღწერილი, ისრაელი მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონვენცია *de jure* არ ვრცელდება, რადგან კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, კონვენცია მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მაღალი ხელშემკვრელი მხარეების სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციის შემთხვევაში გამოიყენება. ისრაელი ასევე აღნიშნავს, რომ 1967 წლისთვის, როდესაც ისრაელსა და იორდანias შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, იორდანია ჟენევის მეოთხე კონვენციის წევრი იყო. თუმცა, ისრაელის მიერ ამ კონფლიქტის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიები იორდანias სუვერენულ ტერიტორიას არ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ისრაელი დაობს, რომ კონვენცია ამ ტერიტორიებზე *de jure* არ ვრცელდება. თუმცა, ამ საკონსულტაციო დასკვნის განხილვის პროცესის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟენევის ოთხი კონვენციის საერთო მე-2 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საფუძველზე, ჟენევის მეოთხე კონვენციის მოქმედებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ჰქონდა თუ არა იორდანias 1967 წლამდე რაიმე უფლება ამ ტერიტორიებზე.

94. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენციის დებულებების თანახმად, რომელთა ნაწილიც ამავედროულად საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესებს განეკუთვნება, ხელშეკრულება მისი მიზნისა და დანიშნულების გათვალისწინებით კეთილსინდისიერად უნდა განიმარტოს; ამ მიზნით, ხელშეკრულების ტერმინებს კონტექსტის შესაბამისად ჩვეულებრივი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. 32-ე მუხლის თანახმად:

‘შესაძლებელია განმარტების დამატებითი საშუალებების, მათ შორის, ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალებისა და მისი დადების გარემოებების გამოყენება, რათა ხელშეკრულების დებულებების [კონვენციის] 31-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ინტერპრეტირების პროცესში დადასტურდეს, ან განისაზღვროს ცალკეული ტერმინების მნიშვნელობა, თუკი ... [მათი მნიშვნელობა კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად ინტერპრეტაციის შემდეგაც] ორაზროვანი ან გაურკვეველია; ან ...თუკი შედეგი აშკარად აბსურდული ან არაგონივრულია’ (იხილეთ *Oil Platforms (Islamic Republic of Iran v. United States of America)*, Preliminary Objection, Judgment, I.C.J. Reports 1996(II), გვ. 812, para. 23; იხილეთ *Kasikili/Sedudu Island (Botswana/Namibia)*, Judgment, I.C.J. Reports 1999(II), გვ. 1059, para.

95. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჟენევის მე-4 კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით კონვენცია მოქმედებს ორი პირობის არსებობის შემთხვევაში: თუკი სახეზეა შეიარაღებული კონფლიქტი (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა საომარი მდგომარეობა); და თუკი ეს კონფლიქტი კონვენციის ხელშემკვრელ ორ მხარეს [სახელმწიფოს] შორის არსებობს. თუკი ეს ორი პირობა დაკმაყოფილებულია, კონვენცია მოქმედებს, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონვენციის ხელშემკვრელი ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ჟენევის კონვენციების მე-2 საერთო მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზანს 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული კონვენციის მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ წარმოადგენს. ეს დებულება კონვენციის გავრცელებას არ ზღუდავს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კონვენციის ხელშემკვრელ სუვერენულ სახელმწიფოებს არ ეკუთვნით. ის მხოლოდ აკონკრეტებს, რომ კონვენცია მაშინაც მოქმედებს, თუკი ტერიტორიის ოკუპაცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს ისე მოხდა, რომ მას წინააღმდეგობას არ უწევდნენ.

კონვენციის დებულებების ასეთი ინტერპრეტაცია შესაბამისობაშია ჟენევის მეოთხე კონვენციის შემქმნელების ჩანაფიქრთან, რომ შეძლებისდაგვარად დაეცვათ სამოქალაქო პირები, რომლებიც ოკუპანტი ძალის ხელში აღმოჩნდებოდნენ. თუკი ჰააგის 1907 წლის რეგულაციების შემქმნელები თანაბრად ზრუნავდნენ როგორც სამოქალაქო პირებზე, ისე იმ სახელმწიფოებზე, რომელთა ტერიტორიების ოკუპაციაც მოხდა, ჟენევის მეოთხე კონვენციის ძირითად მიზანს ომის დროს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის მიუხედავად სამოქალაქო პირების მაქსიმალურად დაცვა წარმოადგენდა. ამას კონვენციის 47-ე მუხლიც ადასტურებს.

ასეთი ინტერპრეტაცია შეესაბამება კონვენციის *travaux preparatoires*. კონვენციის ახალი ტექსტის შემუშავების მიზნით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (შემდგომში 'წჯსკ') მიერ ორგანიზებულ მთავრობის ექსპერტთა კონფერენციაზე მომზადდა რეკომენდაცია, რომ კონვენციების დებულებები ამოქმედებულიყო ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის დროს 'მხარეთა მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადების მიუხედავად' და 'საომარი მდგომარეობის არსებობის პირობებში ტერიტორიის ოკუპაციის შემთხვევებში' (*Report on the Work of the Conference of Government Experts for the Study of the Conventions for the Protection of War Victims, Geneva, 14-26 April 1947*, გვ. 8). ჟენევის ოთხი კონვენციის მე-2 საერთო მუხლის მეორე პარაგრაფის შემქმნელებს ამ დებულების დამატებით კონვენციის მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ სურდათ. მათ მიზანს ბრძოლის გარეშე მომხდარი ოკუპაციის შემთხვევებში (მაგალითად, 1939 წელს გერმანიის მიერ პოლონეთისა და მორავიის ოკუპაცია) კონვენციის ამოქმედების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

39. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა ზემოხსენებული დებულების ასეთი ინტერპრეტაცია 1999 წლის 15 ივლისის კონფერენციაზე დაადასტურეს. მათ მოამზადეს განცხადება, რომელშიც 'აღიარეს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, ჟენევის მეოთხე კონვენციის გავრცელება'. კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა მოგვიანებით, 2001 წლის 5 დეკემბერს, 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხი კონვენციის 1-ელ საერთო მუხლზე მითითებით კიდევ ერთხელ აღიარეს, რომ 'ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, ვრცელდება ჟენევის მეოთხე კონვენცია'. ამასთან, კონფერენციის მონაწილე ჟენევის კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა კონფლიქტის მხარეებს, ისრაელს, როგორც ოკუპანტ ძალას, შეახსენეს თავისი ვალდებულებები.

97. ამასთან, სასამართლოს სურს აღნიშნოს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე გავრცელების საკითხზე პოზიცია აგრეთვე დააფიქსირა წჯსკ-მა; კონვენციის 142-ე მუხლის საფუძველზე ამ ორგანიზაციის პოზიცია კონვენციის მოთხოვნების დაცვის შესახებ 'ყოველთვის უნდა იქნეს აღიარებული და გათვალისწინებული' კონფლიქტის მხარეების მიერ. 2001 წლის 5 დეკემბრის განცხადებაში წჯსკ-მა აღნიშნა, რომ 'ის ყოველთვის აღიარებდა 1967 წლიდან ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში ჟენევის მეოთხე კონვენციის *de jure* მოქმედებას'.

98. სასამართლო აღნიშნავს, რომ გენერალურმა ასამბლეამ მსგავსი მიდგომა არაერთ რეზოლუციაში დააფიქსირა. ასამბლეამ 2001 წლის 10 დეკემბრისა და 2003 წლის 9 დეკემბრის 56/60 და 58/97 რეზოლუციებში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ:

‘ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, და ისრაელის მიერ 1967 წლიდან ოკუპირებულ სხვა არაბულ ტერიტორიებზე’.

99. უშიშროების საბჭომ ჯერ კიდევ 1967 წლის 14 ივნისის 237(1967) რეზოლუციაში დააფიქსირა, რომ 'შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა უნდა დაიცვან ... სამხედრო ტყვეების მოპყრობის შესახებ ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება'. შემდგომში, უშიშროების საბჭომ 1969 წლის 15 სექტემბერს მიღებულ 271(1969) რეზოლუციით მოუწოდა ისრაელს, რომ 'ზედმიწევნით დაეცვა ჟენევის კონვენციისა და სამხედრო ოკუპაციის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ნორმები’.

ათი წლის შემდეგ, უშიშროების საბჭო შეეხო '1967 წლიდან ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ და სხვა არაბულ ტერიტორიებზე დასახლებების შექმნის პოლიტიკისა და პრაქტიკას'. 1979 წლის 22 მარტის 446 (1979) რეზოლუციით უშიშროების საბჭომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს დასახლებები 'სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო' და 'კიდევ ერთხელ აღიარა, რომ

ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია ვრცელდებოდა ისრაელის მიერ 1967 წლიდან ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში'. საბჭომ 'ისრაელს კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ როგორც ოკუპირებულ ძალას, ზედმიწევნით დაეცვა' კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

უშიშროების საბჭომ 1990 წლის 20 დეკემბრის 681(1990) რეზოლუციით მოუწოდა 'ისრაელის მთავრობას, რომ დაეთანხმოს ისრაელის მიერ 1967 წლის შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჟენევის მეოთხე კონვენციის *de jure* გავრცელების საკითხს და ზედმიწევნით დაიცვას კონვენციის მოთხოვნები'. ამასთან, საბჭომ 'საერთო 1-ლი მუხლის საფუძველზე ჟენევის მეოთხე კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებსაც დაავალა, რომ უზრუნველყოთ ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის, მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება'.

და ბოლოს, უშიშროების საბჭომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჟენევის მეოთხე კონვენციის გავრცელების საკითხზე 1992 წლის 18 დეკემბრის 799(1992) და 1994 წლის 18 მარტის 904 (1994) რეზოლუციებში კვლავ დააფიქსირა თავისი პოზიცია.

100. აქვე, სასამართლოს სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ 2004 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაში ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ:

‘რამდენადაც გავლენას ახდენს სამოქალაქო პირებზე, რაფაში [ისრაელის თავდაცვითი ძალების მიერ ჩატარებულ] სამხედრო ოპერაციაზე ვრცელდება ხმელეთზე წარმოებული ომის სამართლისა და ჩვეულებების დაცვის შესახებ 1907 წლის ჰააგის მეოთხე კონვენცია ... და ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია.’

101. ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენცია ვრცელდება ორ ან მეტ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 1967 წელს, როდესაც კონფლიქტი დაიწყო, ისრაელი და იორდანია კონვენციის მხარეები იყვნენ. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია ვრცელდება პალესტინურ ტერიტორიებზე, რომლებიც კონფლიქტის დაწყებამდე მწვანე ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობდა და რომელთა ოკუპირებაც ისრაელმა კონფლიქტის დროს მოახერხა. სასამართლო კონფლიქტის დაწყებამდე ამ ტერიტორიების ზუსტი სამართლებრივი სტატუსის დადგენის აუცილებლობას ვერ ხედავს.

*

102. სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების პროცესში ჩართული მონაწილეთა მოსაზრებები ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების გავრცელების საკითხზე განსხვავდება. გენერალური მდივნის ანგარიშის I დანართის მიხედვით:

‘4. ისრაელი უარყოფს, რომ მის მიერ ხელმოწერილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი ვრცელდება ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე. ის ამტკიცებს, რომ კონფლიქტების დროს, როგორც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორის შემთხვევებია, [სამოქალაქო პირების] დაცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უზრუნველყოფს; ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებები მშვიდობის დროს მოქალაქეების თავიანთივე მთავრობისაგან დაცვის მიზნით შეიქმნა.’

სხვა მონაწილეებმა, რომლებმაც ამ საკითხზე პოზიცია დააფიქსირეს, აღნიშნეს, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ორივე პაქტი ვრცელდება.

103. 1991 წლის 3 ოქტომბერს ისრაელმა მოახდინა როგორც 1966 წლის 19 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის, ისე - იმავე დღით დათარიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტისა და 1989 წლის 20 ნოემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის რატიფიკაცია. ის სამივე ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარეა.

104. ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ამ სამი სამართლებრივი ტექსტის მოქმედების საკითხის დასადგენად სასამართლო პირველ რიგში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირს განიხილავს, ხოლო შემდგომში - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ინსტრუმენტების ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გავრცელების საკითხს შეეხება.

105. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დებულებებთან კავშირში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირის საკითხს სასამართლო რამდენჯერმე შეეხო *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღების გამოყენების ან მათი გამოყენების მუქარის კანონიერების შესახებ] საკონსულტაციო დასკვნაში. ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების პროცესში სახელმწიფოებმა აღნიშნეს, რომ ‘პაქტი ადამიანის უფლებების მშვიდობის დროს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა და საბრძოლო მოქმედებებში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის კანონიერების საკითხი შეიარაღებული კონფლიქტების სამართლით უნდა შეფასდეს’ (*I.C.J. Reports 1996 (I)*, გვ. 239, para. 24).

სასამართლომ ეს არგუმენტი არ მიიღო და განაცხადა, რომ:

‘სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, როდესაც ეროვნულ დონეზე საგანგებო მდგომარეობის არსებობის საფუძველით სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტის ცალკეული დებულებებიდან, ამ ხელშეკრულების მოქმედება ომის დროს არ წყდება. თუმცა, სიცოცხლის უფლება ასეთ დებულებას არ განეკუთვნება. სიცოცხლის თვითნებურად ხელყოფის აკრძალვა საბრძოლო მოქმედებების დროსაც მოქმედებს. სამართლებრივი საზომი, თუ რა ჩაითვლება სიცოცხლის თვითნებურად ხელყოფად, *lex specialis* წესის გამოყენებით უნდა განისაზღვროს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში [სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით] საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელ ნორმად შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი უნდა ჩაითვალოს.’ (*ibid.*, გვ. 240, para. 25).

106. ზოგადად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთი დებულებების ამოქმედების გარდა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულებებიდან გადახვევა (მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი), ადამიანის უფლებათა კონვენციებით გათვალისწინებული დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს არ წყვეტს მოქმედებას. რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ურთიერთმიმართების საკითხს, სამი შესაძლო ვარიანტი არსებობს: ცალკეული უფლებები ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით იყოს მოწესრიგებული; ზოგი უფლება ექსკლუზიურად ადამიანის უფლებათა სამართლით რეგულირდება; თუმცა, არსებობს უფლებები, რომლებსაც საერთაშორისო სამართლის ორივე ზემოხსენებული დარგი არეგულირებს. სასამართლოს განსახილველ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია საერთაშორისო სამართლის ორივე დარგის, კერძოდ ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, როგორც *lex specialis* მხედველობაში მიღება.

107. სასამართლომ უნდა დაადგინოს, მხოლოდ სახელმწიფოების საკუთარ ტერიტორიაზე ვრცელდება თუ არა ზემოხსენებული ორი საერთაშორისო პაქტი და ბავშვთა უფლებათა კონვენცია თუ ამ ტერიტორიების მიღმაც და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა გარემოებების არსებობისას მოქმედებს ეს დოკუმენტები სუვერენული ტერიტორიების მიღმა.

108. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მოქმედების სფეროს მე-2 მუხლის 1-ლი პარაგრაფი განსაზღვრავს. კერძოდ, ამ დებულების თანახმად:

‘ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის,

რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების მიუხედავად.’

შესაძლებელია ამ დებულების რამდენიმენაირად განმარტება. ერთი ვერსიის თანახმად, პაქტი იცავს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ერთდროულად იმყოფებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ. მეორე შემთხვევაში დაცვით სარგებლობა შეუძლიათ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა იმყოფებიან, მაგრამ მაინც ექვემდებარებიან მის იურისდიქციას. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს ამ დებულების მნიშვნელობა.

109. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია ძირითადად ტერიტორიასთან არის კავშირში, თუმცა შესაძლებელია რომ ეროვნული ტერიტორიის მიღმაც ხორციელდებოდეს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მიზნისა და დანიშნულების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ ხელშემკვრელ მხარეებს ასეთ შემთხვევებშიც ჰქონდეთ პაქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანმიმდევრული პრეცედენტები დებულების ამგვარ ინტერპრეტაციასთან შესაბამისობაშია. კომიტეტმა არაერთ საქმეში ჩათვალა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ იურისდიქციას სხვა ქვეყანაში ახორციელებდა, პაქტის დებულებები მის ქმედებებზე ვრცელდებოდა. კომიტეტმა ეს საკითხი განიხილა ურუგვაის ქმედებების, კერძოდ, ურუგვაის სახელმწიფო მოხელეების მიერ ბრაზილიასა თუ არგენტინაში განხორციელებული დაკავებების კანონიერების საკითხის შეფასებისას (Case No. 52/79, *Lopez Burgos v. Uruguay*; Case No. 56/79, *Lilian Celiberti de Casariego v. Uruguay*). სასამართლომ მსგავსი მოსაზრება გამოთქვა გერმანიაში ურუგვაის საკონსულოს მიერ მოქალაქისთვის პასპორტის ჩამორთმევის შესახებ საქმეში (Case No. 106/81, *Montero v. Uruguay*).

პაქტის მე-2 მუხლის განმარტება, რომელიც კომიტეტმა გამოიყენა, შეესაბამება ამ ხელშეკრულების *travaux préparatoires*. მოსამზადებელი სამუშაოების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ფრაზის ფორმულირების მიღების პროცესში პაქტის შემქმნელებს არ სურდათ, რომ როდესაც სახელმწიფოები იურისდიქციას ეროვნული ტერიტორიების მიღმა ახორციელებდნენ, თავი დაეღწიათ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან. ამ ფორმულირების ერთადერთ მიზანს ის წარმოადგენდა, რომ სხვა ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეს *vis-à-vis* თავისი წარმოშობის სახელმწიფოსგან არ მოეთხვა იმ უფლებების დაცვა, რომლებიც არა ამ უკანასკნელის, არამედ მისი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა (იხილეთ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ პაქტის პირველადი სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით გამართული დისკუსიის თაობაზე Commission of Human Rights, E/CN.4/SR.194, para. 46; და United Nations, Official Records of the General Assembly, Tenth Session, Annexes, A/2929, Part II, Chap. V, para. 4 (1995)).

110. სასამართლო ითვალისწინებს პაქტის მოქმედების საკითხზე ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ ინდივიდუალური კომუნიკაციების განხილვის პროცედურების ფარგლებში დაფიქსირებულ პოზიციას და თავად კომიტეტის მოსაზრებებს.

კომიტეტისთვის გასაგზავნი ეროვნული ანგარიშის მომზადებისას 1998 წელს ისრაელმა განაცხადა, რომ კონვენციის მოქმედების სფეროს ფარგლებში მოუწევდა 'ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ისრაელის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის საკითხის' განხილვა (CCPR/C/SR.1675, para. 21). ისრაელმა განაცხადა, რომ 'იმ დროისთვის შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით პაქტი და მსგავსი საერთაშორისო ხელშეკრულებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე უშუალოდ არ ვრცელდებოდა' (*ibid.*, para. 27).

კომიტეტმა ეროვნული ანგარიშის განხილვის შემდეგ გამოცემულ შემაჯამებელ დასკვნაში შემოთავაზა გამოთქვა ისრაელის პოზიციასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა '[ოკუპირებულ] ტერიტორიებზე ისრაელის ხანგრძლივი ყოფნის გათვალისწინებით ამ ტერიტორიების სამომავლო სტატუსზე ისრაელის გაურკვეველ პოზიციას და ისრაელის უსაფრთხოების ჯარების მიერ განხორციელებულ ეფექტურ კონტროლს' (CCPR/C/79/Add.93, para. 10). ზოგადი პოზიციის ფარგლებში ისრაელმა 2003 წელს კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 'პაქტი არ ვრცელდებოდა საკუთარი სუვერენული ტერიტორიის მიღმა, მათ შორის მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში...'. ამის საპასუხოდ, კომიტეტმა დაასკვნა, რომ:

‘შექმნილი ვითარების გათვალისწინებით პაქტის დებულებები, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას იცავს, ისრაელის, როგორც პაქტის ხელშემკვრელი მხარისა და მისი სახელით მოქმედი პირების მიერ ამ ტერიტორიებზე განხორციელებულ ყველა ქმედებაზე გავრცელდება, თუკი ეს ქმედებები გავლენას ახდენს კონვენციით აღიარებული უფლებებით სარგებლობაზე და საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების შესაბამისად იწვევს ისრაელის სახელმწიფო პასუხისმგებლობას' (CCPR/CO/78/ISR, para. 11).

111. ამრიგად, სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ვრცელდება თავისი იურისდიქციის ფარგლებში ისრაელის მიერ ეროვნული ტერიტორიების მიღმა განხორციელებულ ქმედებებზე.

112. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს არ აქვს დებულება, რომელიც მისი მოქმედების სფეროს განსაზღვრავს. ეს შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ კონვენცია ძირითადად ტერიტორიული ხასიათის უფლებებს ითვალისწინებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს დებულებების გავრცელებას როგორც სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიებზე, ისე ეროვნულ საზღვრებს მიღმა, სადაც სახელმწიფო ტერიტორიულ იურისდიქციას ახორციელებს. პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს, რომელმაც 'პაქტის

მონაწილედ გახდომის დროისათვის არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი მეტროპოლიის ან მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სხვა ტერიტორიაზე უზრუნველყო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლება, გარდამავალი ზომების მიღება ევალება.

სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტისათვის გაგზავნილ ეროვნულ ანგარიშებში ისრაელის მიერ დაფიქსირებული პოზიციის გაჟღერება. 1998 წლის 4 დეკემბერს ისრაელმა თავდაპირველ ანგარიშში გაითვალისწინა 'სტატისტიკური მონაცემები პაქტით გაწერილი უფლებებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის დასახლებებში მცხოვრებ პირების მიერ სარგებლობის შესახებ'. კომიტეტმა ხაზი გაუსვა ისრაელის პოზიციას, რომ 'იმავე იურისდიქციას დაქვემდებარებულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პალესტინელ მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა პაქტი და შესაბამისად, ეროვნული ანგარიში არ ითვალისწინებდა ინფორმაციას ამ პირების მიერ ზემოხსენებული უფლებებით სარგებლობის შესახებ' (E/C.12/1/Add.27, para. 8). კომიტეტმა ამ საკითხზე შემოთქვა დააფიქსირა, რის საპასუხოდაც ისრაელმა 2001 წლის 19 ოქტომბერს დამატებით აღნიშნა, რომ 'ის გამუდმებით აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ პაქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიისა და იურისდიქციის მიღმა' (ეს ფორმულირება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში გამოყენებული ტერმინოლოგიიდან იღებს სათავეს). ამასთან, ისრაელი ამტკიცებდა, რომ მის პოზიციას აგრეთვე ამყარებდა 'ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის არსებული განსხვავებები და ამ ორი დარგის თავისებურებები'. ისრაელის აზრით, 'კომიტეტის უფლებამოსილება არ ვრცელდება მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში შექმნილ სიტუაციაზე, რადგან ის შეიარაღებული კონფლიქტის ნაწილს წარმოადგენს და მასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს; ადამიანის უფლებათა სამართალი ამ საკითხებთან არაფერ შუაშია' (E/1990/6/Add.32, para. 5). ზემოხსენებულის გათვალისწინებით კომიტეტმა ისრაელის პოზიციასთან დაკავშირებით შემოთქვა გამოთქვა და განაცხადა, რომ 'პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა ტერიტორიაზე და სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნებისმიერ მოსახლეობაზე' (E/C.12/1/Add.90, paras 15 და 31).

113. 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებათა კონვენციასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით 'მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან პატივი სცენ და უზრუნველყონ კონვენციით გავალისწინებული უფლებების დაცვა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ბავშვისთვის'. ამრიგად, კონვენცია ვრცელდება ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე.

* *

114. დაადგინა რა გენერალური ასამბლეის მიერ ფორმულირებულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საერთაშორისო სამართლის რელევანტური წესები და პრინციპები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის გავრცელების საკითხი, სასამართლო ამჟამად განიხილავს, თუ რამდენად არღვევს კედლის მშენებლობა ამ პრინციპებსა და წესებს.

*

115. გენერალური მდივნის ანგარიშის II დანართში, სათაურით - 'პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის სამართლებრივი პოზიციის მონახაზი', აღნიშნულია, რომ 'ბარიერის მშენებლობა საერთაშორისო სამართლის დარღვევით ტერიტორიის ანექსიას ისახავს მიზნად' და 'ტერიტორიის *de facto* ანექსია არღვევს ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და შედეგად, პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას'. ეს მოსაზრება მეორდება სასამართლოს მიერ ამ შეკითხვის განხილვის ფარგლებში ცალკეული მონაწილეების მიერ წარმოდგენილ წერილობით მოზაზრებებში და ზეპირი მოსმენებისას დაფიქსირებულ პოზიციებში. *Inter alia*, აღინიშნა, რომ:

'კედლის აღმართვის პროცესი მიმდინარეობს იმ ტერიტორიებზე, რომელზეც პალესტინელი ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უფლება და ამრიგად, არღვევს ტერიტორიის ძალის გამოყენების გზით მოპოვების აკრძალვის პრინციპს.'

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 'ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ უკანონოდ შექმნილი დასახლებების გაძლიერების გზით კედლის ასეთი ტრაექტორიით აღმართვა მიზნად ისახავს ამ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლას. ამასთან, გამოითქვა აზრი, რომ კედლის მშენებლობით უნდა შემცირდეს და შემოისაზღვროს ის ტერიტორია, რომელზეც პალესტინელი ხალხს თვითგამორკვევის უფლება გააჩნია'.

116. თავად ისრაელი დავობს, რომ კედლის ერთადერთ მიზანს მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირიდან განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების ეფექტიანად აღკვეთა წარმოადგენს. ამასთან, ისრაელი გამუდმებით აღნიშნავდა, რომ ბარიერის აღმართვა დროებითი ზომაა (იხილეთ გენერალური მდივნის ანგარიში, 29-ე პარაგრაფი). ეს პოზიცია *inter alia* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2003 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე დააფიქსირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარეობას, რომ '[მესერი] ისრაელის სახელმწიფოს სასარგებლოდ არ ახდენს ტერიტორიის ანექსიას' და რომ ისრაელი 'მზად არის და შეუძლია, დავის მოგვარების მიზნით მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების არსებობის პირობებში წესრიგში მოიყვანოს ბარიერი ან სრულად დაანგრიოს ის; თუმცა, ასეთი მოქმედება მას ძვირად დაუჯდება.' (S/PV.4841, გვ. 10). ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა ზემოხსენებული 2003 წლის 20

ოქტომბერს და 8 დეკემბერს გენერალურ ასამბლეაზეც გაიმეორა. დეკემბერში გაკეთებულ განცხადებაში მან დამატებით აღნიშნა, რომ:

‘როგორც კი დასრულდება ტერორი, მესერის არსებობის აუცილებლობა აღარ იდგება დღის წესრიგში. მესერი საზღვარს არ წარმოადგენს და მას პოლიტიკური მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. მესერი არ ცვლის ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსს.’ (A/ES-10/PV.23, გვ. 6)

117. სასამართლოს სურს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ გენერალურ ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ზემოხსენებულ სხდომებზე პალესტინასთან კავშირში მოხდა მითითება ‘ომის შედეგად ტერიტორიის მოპოვების დაუშვებლობის’ ჩვეულებითი სამართლის ნორმაზე (იხილეთ 74-ე და 87-ე პარაგრაფები). 1967 წლის 22 ნოემბრის 242(1967) რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ ამ წესზე მითითებით აღიარა, რომ:

‘[გაერთიანებული ერების ორგანიზაციის] წესდებით აღიარებული პრინციპების დაცვა მოითხოვს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ორ ასპექტს:

- (i) ბოლ
ო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანა;
- (ii) საომ
არი მდგომარეობის გაუქმება და ერთმანეთის მიმართ მოთხოვნების წაყენებაზე უარის თქმა და რეგიონში ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ისევე როგორც თავიანთ დაცულ და აღიარებულ საზღვრებში ძალის გამოყენების ან ასეთი ქმედებების მუქარის გარეშე მშვიდობიანად ცხოვრების უფლების აღიარება და პატივისცემა’.

უშიშროების საბჭომ იმავე საფუძველით არაერთხელ დაგმო ისრაელის მიერ იერუსალიმის სტატუსის შეცვლის მიზნით განხორციელებული ქმედებები (იხილეთ 75-ე პარაგრაფი).

118. ხალხთა თვითგამორკვევის უფლების საკითხზე სასამართლო აღნიშნავს, რომ ‘პალესტინელი ხალხის’, როგორც ასეთის, არსებობას სადავოდ არც-ერთი მონაწილე არ ხდის. უფრო მეტიც, ისრაელის სახელმწიფომ პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის პრეზიდენტ, ბატონ იასერ არაფატსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს, იცხაკ რაბინს შორის 1993 წლის 9 სექტემბრით დათარიღებულ მიმოწერაში აღიარა პალესტინელი ხალხის არსებობა. ამ წერილში პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის პრეზიდენტმა აღიარა

‘ისრაელის სახელმწიფოს მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვით არსებობის უფლება’ და აიღო არაერთი ვალდებულება. საპასუხოდ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მას აცნობა, რომ ამ ვალდებულებების გათვალისწინებით, ‘ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა პალესტინელი ხალხის წარმომადგენლად აღიაროს პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია’. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორზე ისრაელისა და პალესტინის 1995 წლის 28 სექტემბრის დროებითი შეთანხმება [interim agreement] აგრეთვე მიუთითებს პალესტინელ ხალხსა და მათ ‘კანონიერ უფლებებზე’ (პრემიულა, მე-4, მე-7 და მე-8 პარაგრაფები). სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ უფლებებს განეკუთვნება თვითგამორკვევის უფლებაც, რაც გენერალურმა ასამბლეამაც არაერთხელ აღიარა (იხილეთ, მაგალითად, 2003 წლის 22 დეკემბრის 58/163 რეზოლუცია).

119. სასამართლო აღნიშნავს, რომ კედლის ისრაელის მთავრობის მიერ შემუშავებული ტრაექტორია ‘დახურულ ზონაში’ (იხილეთ 85-ე პარაგრაფი) შემოსაზღვრავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩასახლებული პირების 80 პროცენტს. ამასთან, მე-80 პარაგრაფში მოხსენიებული გეგმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კედლის მიხვეულ-მიხვეული ტრაექტორია უმეტეს შემთხვევაში ისეა შექმნილი, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე (მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში) ისრაელის მიერ შექმნილი დასახლებებიც მოიცვას.

120. სასამართლო დასახლებების საკითხზე აღნიშნავს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის მე-6 პარაგრაფის თანახმად, ‘ოკუპანტ სახელმწიფოს საკუთარი მოსახლეობის ნაწილის მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დეპორტირების ან გადაყვანის უფლება არ აქვს’. ეს დებულება კრძალავს არა მხოლოდ მოსახლეობის დეპორტაციას ან ძალისმიერ გადაყვანას, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა, არამედ ოკუპანტი ძალის მიერ ისეთი ზომების მიღებას, რომელიც თავისივე მოსახლეობას ხელს შეუწყობს ან დაეხმარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადასვლაში.

ამ საკითხზე სასამართლომ მიიღო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 1977 წლიდან მოყოლებული ისრაელი ეწევა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე დასახლებების შესაქმნელად გამიზნულ პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის მე-6 ზემოხსენებული პარაგრაფის მოთხოვნებს.

შესაბამისად, უშიშროების საბჭომ ჩათვალა, რომ ასეთი პოლიტიკა და პრაქტიკა ‘სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია’. ამასთან, საბჭომ მოუწოდა ‘ისრაელს, როგორც ოკუპანტ ძალას, რომ ზედმიწევნით დაეცვა’ ჟენევის მეოთხე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები და:

‘გააუქმოს მიღებული ზომები და შეწყვიტოს ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც გამიზნულია 1967 წლის შემდეგ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების (მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმის) სამართლებრივი სტატუსის შეცვლისაკენ და გავლენას ახდენენ ამ ტერიტორიების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. კერძოდ,

ისრაელმა უნდა შეეცვალოს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის გადაყვანა' (უშიშროების საბჭოს 1979 წლის 22 მარტის 446(1979) რეზოლუცია).

უშიშროების საბჭომ ამ საკითხს ხაზი 1979 წლის 20 ივლისის 452(1979) და 1980 წლის 1-ლი მარტის 465(1980) რეზოლუციებშიც გაუსვა. 1980 წლის რეზოლუციაში საბჭომ აღნიშნა, რომ '[ოკუპირებულ] ტერიტორიებზე თავისი მოსახლეობისა და იმიგრანტების ჩასახლების ისრაელის პრაქტიკა და პოლიტიკა' ჟენევის მეოთხე კონვენციის 'აშკარა დარღვევას' წარმოადგენს.

სასამართლო დასკვნის სახით მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე (მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში) ისრაელის დასახლებების შექმნა არღვევს საერთაშორისო სამართალს.

121. ისრაელის დაპირებების მიუხედავად, რომ კედლის მშენებლობა ტერიტორიის ანექსიას არ წარმოადგენს და რომ კედელი მხოლოდ დროებითი ზომაა (იხილეთ მე-16 პარაგრაფი), სასამართლო განუხილველად ვერ დატოვებს ამ საკონსულტაციო დასკვნის მომზადების პროცესში ცალკეული მონაწილეების მიერ გამოთქმული რისკების შესახებ მოსაზრებებს, რომ კედლის ტრაექტორია პრობლემებს შექმნის მომავალში ისრაელისა და პალესტინის საზღვრის გამიჯვნის პროცესში და რომ ისრაელმა შესაძლოა მოახდინოს დასახლებებისა და მათთან მისასვლელი გზების საკუთარ ტერიტორიებში ინტეგრაცია. სასამართლო მიიჩნევს, რომ კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ქმნის 'fait accompli' მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა სამუდამო აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ისრაელის მიერ კედლის ფორმალურად დახასიათების მიუხედავად, ის *de facto* ანექსიას გაუტოლდება.

122. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით, კედლის ტრაექტორიის გეგმა მოახდენს ისრაელის მიერ კედელსა და მწვანე ზოლს შორის არსებულ ტერიტორიის ინტეგრირებას, რაც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ტერიტორიის 16 პროცენტს შეადგენს. ამ ზონაში იცხოვრებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის 80 პროცენტამდე (320,000 ადამიანი) და 237,000 პალესტინელი. ამასთან, კედლის მშენებლობის შედეგად 160,000-მდე პალესტინელი იცხოვრებს სრულად შემოსაზღვრულ და იზოლირებულ დასახლებაში (იხილეთ 84-ე, 85-ე და 119-ე პარაგრაფები).

სხვაგვარად რომ ითქვას, კედლის ტრაექტორია, რომელიც ისრაელმა შეარჩია, *in loco* წარმოაჩენს ისრაელის მიერ იერუსალიმთან და დასახლებებთან დაკავშირებით მიღებულ ზომებს (იხილეთ 75-ე და 120-ე პარაგრაფები). ამასთან, კედლის მშენებლობის შედეგად ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის საფრთხეც არსებობს, რადგან, როგორც 133-ე პარაგრაფშია აღწერილი, პალესტინურ მოსახლეობას ტერიტორიის დატოვება უწევს. ზემოხსენებულ ზომებთან ერთად კედლის მშენებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს პალესტინელი ხალხის მიერ თვითგამორკვევის

უფლების განხორციელებას და შესაბამისად, ისრაელი ამ ქმედებებით არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს.

*

123. კედლის მშენებლობა პრობლემებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ინსტუმენტების რელევანტურ დებულებებთან კავშირშიც ქმნის.

124. 1907 წლის ჰააგის რეგულაციებთან დაკავშირებით სასამართლო კიდეც ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი (კერძოდ, მისი II სექცია) არეგულირებს საბრძოლო მოქმედებებს, უფრო კონკრეტულად კი 'მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენების საშუალებებს, ალყასა და დაბომბვებს'. III სექცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ხელისუფლების განხორციელებას შეეხება. ამჟამად მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მხოლოდ III სექცია მოქმედებს და რეგულაციების II სექციაში მოცემული 23(გ) მუხლის გამოყენება უადგილოა.

ჰააგის რეგულაციების III სექციაში მოცემულია 43-ე, 46-ე და 52-ე მუხლები, რომლებიც ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 43-ე მუხლი ოკუპანტ ძალას ავალდებულებს, რომ 'ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით თავისი შესაძლებლობის ფარგლებში აღადგინოს და შეძლებისდაგვარად დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება'. რეგულაციების 46-ე მუხლის თანახმად კერძო საკუთრებას 'პატივი უნდა სცენ' და დაუშვებელია მისი 'კონფისკაცია'. და ბოლოს, 52-ე მუხლი იძლევა ცალკეულ შემთხვევებში საკუთრების რეკვიზიციის შესაძლებლობას, თუკი ეს ოკუპაციის განმახორციელებელი ჯარის საჭიროებებისთვის არის აუცილებელი.

125. ჟენევის მეოთხე კონვენციის თანახმად, ოკუპაციის წინარე სამხედრო ოპერაციების დროს და თავად ოკუპაციის განმავლობაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი განსხვავებულია. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად:

'წინამდებარე კონვენცია მოქმედებას იწყებს მე-2 მუხლში მითითებული ნებისმიერი კონფლიქტის ან ოკუპაციის დაწყების მომენტიდან.

კონფლიქტის მონაწილე მხარეების ტერიტორიებზე წინამდებარე კონვენციის მოქმედება სრულდება საომარი მოქმედებების მთლიანად დამთავრების შემდეგ.

კონვენციის მოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასრულდება საომარი მოქმედების დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ; თუმცა, ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია, რომ, ოკუპაციის პერიოდში, იმ მოცულობით, რომლითაც იგი ამ ტერიტორიაზე მთავრობის ფუნქციებს ასრულებს, დაიცვას წინამდებარე კონვენციის 1-12-ე, 27-ე, 29-34-ე, 47-ე, 49-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე, 59-ე, 61-77-ე და 143-ე მუხლები.

დაცვის ქვეშ მყოფი პირები, რომელთა გათავისუფლება, რეპატრაცია ან ხელახალი განთავსებაც განხორციელდება ამ ვადების შემდეგ, მთელი ამ დროის განმავლობაში ისარგებლებენ წინამდებარე კონვენციის დაცვით.’

ვინაიდან სამხედრო ოპერაციები, რომლებიც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის ოკუპირებით დასრულდა დიდი ხნის წინ, კერძოდ 1967 წელს, დასრულდა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მხოლოდ ჟენევის მეოთხე კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფში მოცემული დებულებები მოქმედებს.

126. ამ დებულებების რიცხვს განეკუთვნება ჟენევის მეოთხე კონვენციის 47-ე, 49-ე, 52-ე, 53-ე და 59-ე მუხლები.

ჟენევის მეოთხე კონვენციის 47-ე მუხლის თანახმად :

‘ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებში ან სამთავრობო უწყებებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება, არც ოკუპირებულ და ოკუპანტ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებები, ან ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია არავითარ შემთხვევაში და არასგზით არ წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი დაცვით მოსარგებლე პირებისათვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უპირატესობების ჩამორთმევის საფუძველს.’

ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის თანახმად:

‘აკრძალულია ოკუპირებული ქვეყნიდან ოკუპანტი სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე დაცვით მოსარგებლე პირების ინდივიდუალური ან მასობრივი იძულებითი გადაადგილება ან დეპორტირება, რა მოტივითაც არ უნდა ხდებოდეს ეს.

თუმცა, ოკუპანტ ძალას შეუძლია მოახდინოს გარკვეული ოკუპირებული რაიონის მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაცია, თუ ეს მოსახლეობის უსაფრთხოების ან განსაკუთრებული სამხედრო ხასიათის მოსაზრებებითაა განპირობებული. ასეთი ევაკუაციის დროს, დაცვის ქვეშ მყოფი პირების გადაყვანა დაშვებულია მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარად, ევაკუირებული მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ ადგილს მოცემულ რაიონში საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე დაუბრუნდება.

ასეთი გადაადგილებების ან ევაკუაციის განხორციელებისას ოკუპანტმა სახელმწიფომ დაცვის ქვეშ მყოფი პირები, შესაძლებლობის ფარგლებში, სათანადო სათავსებით უნდა უზრუნველყოს. ეს გადაადგილებები უსაფრთხოების, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და

კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში უნდა განხორციელდეს. დაუშვებელია ერთი ოჯახის წევრთა განცალკევება.

ნებისმიერი გადაადგილების ან ევაკუაციის შესახებ მფარველ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

ოკუპანტმა ძალამ დაცვის ქვეშ მყოფი პირები განსაკუთრებულად სახიფათო რაიონში მხოლოდ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მნიშვნელოვანი სამხედრო ხასიათის მოსაზრებების გამო შეიძლება დააკავოს.

ოკუპანტი სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დეპორტირება ან გადაყვანა.’

ქენევის მეოთხე კონვენციის 52-ე მუხლის თანახმად:

‘არავითარ კონტრაქტს, შეთანხმებას ან დებულებას არ შეუძლია შეზღუდოს ნებაყოფლობით ან იძულებით მომუშავე პირების უფლება, მიუხედავად ამ პირების ადგილსამყოფელისა, მიმართონ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენელს ამ სახელმწიფოსაგან შუამდგომლობის მისაღებად.

აკრძალულია ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც უმუშევრობის გამოწვევის ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობის შეზღუდვისკენაა მიმართული და რაც მიზნად ისახავს მშრომელი მოსახლეობის ოკუპანტი სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობის იძულებას.’

ქენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად:

‘აკრძალულია ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ან სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან კოოპერაციული ორგანიზაციების ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საკუთრებაში მყოფი მოძრავი ან უძრავი ქონების განადგურება, თუკი ეს უკანასკნელი საომარი ოპერაციებისათვის უკიდურეს აუცილებლობას არ წარმოადგენს.’

ქენევის მეოთხე კონვენციის 59-ე მუხლის თანახმად:

‘თუ ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის მომარაგება არასაკმარისია, ოკუპანტი სახელმწიფო აღნიშნული მოსახლეობის დასახმარებლად გაწეულ ღონისძიებებზე უნდა დათანხმდეს და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

ამგვარი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოებმა ან მიუკერძოებელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეიძლება განახორციელონ, მოიცავს სურსათის, სანიტარული საშუალებებისა და ტანსაცმლის შემცველი ამანათების გაგზავნას.

ყოველმა ხელშემკვრელმა მხარემ აღნიშნული გზავნილები თავისუფლად უნდა გაატაროს და მათი დაცვა უზრუნველყოს.

სახელმწიფოს, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზავნილებს თავისუფლად ატარებს, უფლება აქვს გზავნილები შეაეამოწმოს, მოახდინოს მათი გადაზიდვის დადგენილი ვადებისა და მარშრუტების შესაბამისად რეგულირება და მფარველი სახელმწიფოს შუაუამავლობით დარწმუნდეს, რომ ეს გზავნილები ნამდვილად გაჭირვებული მოსახლეოების დასახმარებლად და არა ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესებისათვის გამოიოიყენება.’

127. მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის რამდენიმე დებულებაც. მათ დეტალურად განხილვამდე, სასამართლო აღნიშნავს, რომ პაქტის მე-4 მუხლი იძლევა, განსაზღვრული პირობების დაცვით, ამ ინსტრუმენტის ცალკეული დებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას. ისრაელმა ისარგებლა ამ დებულებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 1991 წლის 3 ოქტომბერს ოფიციალური შუამდგომლობით მიმართა:

‘ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი შექმნის დღიდან გამუდმებით ხორციელდება თავდასხმები და მუქარა მისი არსებობის, ისევე როგორც მისი მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების წინააღმდეგ.

ეს ყოველივე ხორციელდებოდა ომის მუქარით, რეალური შეიარაღებული თავდასხმებით და ტერორიზმის კამპანიით, რომელმაც ადამიანების მკვლელობა და მათი სხეულის დაზიანება გამოიწვია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ისრაელმა 1948 წელს გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ამ დრომდე ძალაშია. არსებული მოცემულობა პაქტის მე-4(1) მუხლის მნიშვნელობით ‘საგანგებო მდგომარეობას’ წარმოადგენს.

შესაბამისად, ისრაელის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ინსტრუმენტის მე-4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების დაცვის მიზნით მიიღოს მდგომარეობის სიმძაფრით განპირობებული

მხოლოდ აუცილებელი ზომა, მათ შორის, დაკავება და თავისუფლების აღკვეთა.

ვინაიდან ზემოხსენებული ზომები პაქტის მე-9 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ იქნება, ისრაელი იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რომ გადაუხვიოს ამ დებულების მოთხოვნებისგან.’

სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დებულებებიდან გადახვევის შესახებ განცხადება მხოლოდ ამ ინსტრუმენტის მე-9 მუხლს შეეხება. ეს მუხლი მოიცავს ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას და ითვალისწინებს დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის მარეგულირებელ წესებს. შესაბამისად, პაქტის სხვა მუხლები კვლავაც მოქმედებს არა მხოლოდ ისრაელის ტერიტორიაზე, არამედ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზეც.

128. უნდა აღინიშნოს პაქტის მე-17 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც: ‘დაუშვებელია ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევა, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.’

აგრეთვე, აღსანიშნავია პაქტის მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რომლის თანახმადაც: ‘ყოველ ადამიანს, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად იმყოფება, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.’

129. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილების უფლების ძირითად პრინციპებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს წესებიც, რომლებიც კავშირშია ქრისტიანულ, ებრაულ და ისლამურ წმინდა ადგილების მონახულების შესაძლებლობასთან. ოსმალეთის იმპერიაში არსებული ქრისტიანული წმინდა ადგილების სტატუსი დიდი ხნის წინ არის მოწესრიგებული. ამ საკითხზე უკანასკნელი შეთანხმების პირობები 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ხელშეკრულების 62-ე მუხლში გაიწერა. 1922 წლის 24 ივლისს ბრიტანეთის მთავრობისთვის პალესტინის სამანდატოდ გადაცემის შესახებ შეთანხმების მე-13 მუხლის თანახმად:

‘მანდატის განმახრციელებელი მხარე პასუხისმგებელია საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით პალესტინაში არსებულ წმინდა ადგილებზე, რელიგიურ შენობებზე ან მხარეებზე, მათ შორის ზემოხსენებულ ობიექტებთან დაკავშირებით არსებულ უფლებების დაცვისა და წმინდა ადგილების, რელიგიური შენობებისა და მხარეების მონახულებისა და მოლოცვის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფაზე.’

ამასთან, პაქტის მე-13 მუხლის მიხედვით : ‘მანდატის შესახებ შეთანხმების არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მანდატის განმახორციელებელ მხარეს წმინდად მუსლიმური ტაძრების გადაკეთების ან მათი მმართველობის შეცვლის უფლებას ანიჭებდეს. ეს ობიექტები აღიარებული იმუნიტეტით სარგებლობენ’.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ პალესტინის მომავალი მთავრობის შესახებ 181(II) რეზოლუციაში მთელი თავი დაუთმო წმინდა ადგილების, რელიგიური შენობებისა და მხარეების დანაწილების გეგმას. ამ თავის მე-2 მუხლი წმინდა ადგილებთან დაკავშირებით აკონკრეტებს, რომ:

‘არსებული უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით და ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის დაცვით, [არაბული სახელმწიფოსა და ებრაული სახელმწიფოს] ყველა მცხოვრებსა და მოქალაქეს, იერუსალიმის მაცხოვრებლებს, ისევე როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეროვნების მიუხედავად განურჩევლად აქვს [ამ ობიექტებთან] მისვლის, მონახულებისა და ტრანზიტის უფლება’.

მოგვიანებით, 1948 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ იორდანისა და ისრაელს შორის 1949 წელს გაფორმებული ზავის ზოგადი შეთანხმების VIII მუხლით გაითვალისწინეს სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელიც არსებული შეთანხმების ტექსტის გაუმჯობესებისა და გავრცობის მიზნით ‘შეიმუშავებდა შეთანხმებულ გეგმებსა და შეეცდებოდა ერთ-ერთი მხარის მიერ წამოწყებული საკითხების მოგვარებას’. ასეთი საკითხების რიცხვს განეკუთვნებოდა ‘წმინდა ადგილებთან თავისუფლად მისვლა’, რომელზეც შეთანხმება უკვე მიღწეული იყო.

შეთანხმება უმეტესწილად მხოლოდ მწვანე ზოლის აღმოსავლეთით არსებულ წმინდა ადგილებს შეეხებოდა. თუმცა, რამდენიმე წმინდა ადგილი მწვანე ზოლის დასავლეთითაც იყო განლაგებული. ასეთი ობიექტებია სიონის მთაზე საიდუმლო სერობის ოთახი და დავითის საფლავი. ზავის ზოგადი შეთანხმების ხელმოწერით ისრაელმა იორდანის მსგავსად აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყო წმინდა ადგილებზე მისვლა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ისრაელის მიერ აღებული ვალდებულება იმ წმინდა ადგილებზეც ვრცელდება, რომელზეც ისრაელმა კონტროლი 1967 წლის შემდეგ დაამყარა. ამას ამტკიცებს ისრაელსა და იორდანის შორის გაფორმებული 1994 წლის სამშვიდობო შეთანხმება, რომლის დებულებების თანახმადაც ‘ორივე მხარე ვალდებულია უზრუნველყოს რელიგიური და ისტორიული მნიშვნელობის ობიექტებთან მისვლის უფლებით სარგებლობა’.

130. რაც შეეხება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება, კერძოდ: მუშაობის უფლება (მე-6 და მე-7 მუხლები); ოჯახის, ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების დაცვა და დახმარება (მე-10 მუხლი); ცხოვრების სათანადო დონით, მათ შორის, სათანადო საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრისით, ‘შიმშილის გარეშე’ ცხოვრების უფლება’ (მე-11 მუხლი); ჯანმრთელობის უფლება (მე-12 მუხლი); განათლების უფლება (მე-13 და მე-14 მუხლები).

131. და ბოლოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16, 24-ე, 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული მსგავსი დებულებები.

*

132. სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით, კერძოდ, გენერალური მდივნის ანგარიშიდან, ირკვევა, რომ კედლის მშენებლობამ ჰააგის 1907 წლის რეგულაციების 46-ე და 52-ე მუხლებისა და ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით ქონების განადგურება და რეკვიზიცია გამოიწვია.

133. ამასთან, კედლის მშენებლობამ, მწვანე ხაზსა და კედელს შორის დახურული ზონისა და შემოფარგლული დასახლებების შექმნამ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის (ისრაელის მოქალაქეებისა და მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების გამოკლებით) თავისუფლების გადაადგილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა. ამ შეზღუდვების უმეტესობას ურბანულ ზონებში აქვს ადგილი; კერძოდ, ქალქილიის დასახლებაში, იერუსალიმსა და მის გარეუბნებში. მდგომარეობას ის ფაქტიც ართულებს, რომ შესასვლელების რაოდენობა საკმარისი არ არის და ცალკეულ სექტორში მხოლოდ რამდენიმე საათით, მოულოდნელად იხსნება. მაგალითად, ისრაელის მიერ 1967 წლისდან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხზე ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, 'ქალქილია, 40,000-იანი მოსახლეობის მქონე ქალაქი სრულად არის შემოსაზღვრული კედლით და მაცხოვრებლებს ქალაქში შესვლა და გასვლა მხოლოდ სამხედრო გამტარი პუნქტის გამოყენებით, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე შეუძლიათ (Report of the Special Rapporteur of the Commission on Human Rights, John Dugard, on the situation of human rights in Palestinian territories occupied by Israel since 1967, submitted in accordance with Commission resolution 1993/2 A and entitled 'Question of the Violation of Human Rights in the Occupied Arab Territories, including Palestine', E/CN.4/2004/6, 8 September 2003, para. 9).

არაერთ წყაროზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. ისრაელის მიერ პალესტინელი ხალხისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა არაბი მოსახლეობის ადამიანის უფლებების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებისა და პრაქტიკის გამოძიების შექმნის მიზნით შექმნილი სპეციალური კომიტეტის დასკვნების თანახმად:

‘ისრაელის საოკუპაციო ჯარებმა მოახდინეს მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაწილზე არსებული ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდესი ნაწილის, 100,000 დუნამის [მიახლოებით 10,000 ჰექტარი] კონფისკაცია; ეს მიწები შემდგომში კედლის მშენებლობის პირველ ეტაპზე განადგურდა, რომლის დროსაც გაუჩინარდა

აუარებელი ქონება, მათ შორის კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწები, ზეთისხილის ხეები, ჭაბურღილები, ციტრუსოვანი ხეები და სათბურები. ეს ყოველივე, პალესტინელებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო' (Special Committee to Investigate Israeli Practices Affecting the Human Rights of the Palestinian People and Other Arabs of the Occupied Territories, A/58/311, 22 August 2003, para. 26).

ამასთან, ისრაელის მიერ 1967 წლიდან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, 'კედელს მიღმა, ისრაელის მხარეს არსებული პალესტინური მიწის უდიდესი ნაწილი ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მიწას წარმოადგენს და იქვეა წყლის ჭაბურღილების უმეტესობა'. იმავე წყაროზე დაყრდნობით, 'ბარიერის მშენებლობის პროცესში განადგურდა ხილისა და ზეთისხილის უამრავი ხე' (E/CN.4/2004/6, 8 September 2003, para. 9). საკვების უფლებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ კედლის მშენებლობით 'პალესტინელები მოწყდნენ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, წყლის ჭაბურღილებსა და საარსებო წყაროს (Report by the Special Rapporteur of the United Nations Commission on Human Rights, Jean Ziegler, 'Right to Food', Addendum, Mission to the Occupied Palestinian Territories, E/CN.4/2004/10/Add.2, 31 October 2003, para. 49). მსოფლიოს სასურსათო საბჭოს მიერ ჩატარებული უკანასკნელი კვლევის თანახმად, რეგიონში არსებობს საკვების მნიშვნელოვანი პრობლემა. საკვებით დახმარების პროგრამას რეგიონში 25,000 ახალი ბენეფიციარი ჰყავს (გენერალური მდივნის ანგარიში, 25-ე პარაგრაფი).

ამასთან, მოსახლეობა სირთულეებს სამედიცინო მომსახურებასთან, განათლების დაწესებულებებსა და პირველადი მნიშვნელობის წყლის რესურსებთან წვდომის კუთხითაც აწყდება. ამას ადასტურებს სხვადასხვა წყაროდან მიღებული სანდო ინფორმაცია. გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად, 'პალესტინის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს განცხადებით ბარიერის მშენებლობის შედეგად ამ დრომდე 30 დასახლებას აღარ აქვს წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, 22 დასახლებას სკოლებზე, 8 დასახლებას წყლის პირველადი მნიშვნელობის რესურსებზე, ხოლო 3 დასახლებას ელექტროენერგიაზე' (გენერალური მდივნის ანგარიში, 23-ე პარაგრაფი). ისრაელის მიერ 1967 წლიდან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხზე ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ 'მწვანე ხაზსა და კედელს შორის მცხოვრები პალესტინური მოსახლეობა სრულად არის მოწყვეტილი თავიანთ სახნავ-სათეს მიწებს, სამუშაო ადგილებს, სკოლებს, სამედიცინო დაწესებულებებს და სხვა სოციალურ მომსახურებებს' (E/CN.4/2004/6, 8 September 2003, para. 9). საკვების უფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა სწორედ წყლის რესურსებთან დაკავშირებით საგანგებოდ აღნიშნა, რომ 'ისრაელის მიერ მესერის მშენებლობის შედეგად ისრაელი მოახდენს დასავლეთ წყალმომარაგების სისტემის სრულ ანექსიას

(რომელიც, თავის მხრივ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის წყლის რესურსების 51 პროცენტს შეადგენს)' (E/CN.4/2004/10/Add.2, 31 October 2003, para. 51). ანალოგიურად, სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც აღინიშნა, რომ ქალქილიის შემოსაზღვრულ ტერიტორიად ქცევის შედეგად ამ ქალაქში არსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საავადმყოფოს პაციენტების რაოდენობა და შესაბამისად, მისი საქმიანობა 40 პროცენტით შემცირდა (იხილეთ გენერალური მდივნის ანგარიში, 24-ე პარაგრაფი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშების მიხედვით ქალქილიაში დაიხურა 600 მაღაზია ან საწარმო; რეგიონი უკვე დატოვა 6,000-დან 8,000-მდე ადამიანმა (E/CN.4/2004/6, 8 September 2003, para 10; E/CN.4/2004/10/Add.2, 31 October 2004, para. 51). საკვების უფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ 'მესერი/კედელი მოსახლეობას წყვეტს თავიანთი სახნავ-სათესი მიწებისგან და წყლის რესურსებისგან, რაც მათ საარსებო წყაროს წარმოადგენს; შედეგად, ბევრი პალესტინელი იძულებული გახდება დატოვოს ეს ტერიტორიები და საცხოვრებლად სხვაგან გადაინაცვლოს (E/CN.4/2004/10/Add.2, 31 October 2003, para. 51). კედლის მშენებლობა ბევრ პალესტინელს უზღუდავს '[თავიანთი] საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას'. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული საგანგებო რეჟიმის დაწესების გამო უკვე ბევრ პალესტინელს მოუხდა ტერიტორიის დატოვება, ეს პროცესი კედლის ახალი ფრაგმენტების მშენებლობასთან ერთად კვლავაც გაგრძელდება. კედლის მშენებლობა ისრაელის მიერ თავისი მოსახლეობისთვის დასახლებების მშენებლობის 120-ე პარაგრაფში აღწერილ პროცესთან ერთად ქმნის ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის საფრთხეს.

134. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი უზღუდავს ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების მოსახლეობის (ისრაელის მოქალაქეებისა და მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების გარდა) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-12 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ გადაადგილების თავისუფლებას. აგრეთვე ირღვევა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებული მუშაობის, ჯანმრთელობის, განათლებისა და ცხოვრების სათანადო დონით სარგებლობის უფლებები. და ბოლოს, კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ხელს უწყობს 122-ე და 133-ე პარაგრაფებში აღწერილ დემოგრაფიული ცვლილებების პროცესს, რაც, თავის მხრივ, არღვევს ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის მე-6 პარაგრაფისა და 120-ე პარაგრაფში ჩამოთვლილი უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მოთხოვნებს.

135. თუმცა, სასამართლოს სურს აქვე აღნიშნოს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცალკეული დებულებები ითვალისწინებს რიგ შემთხვევებში სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნების გათვალისწინებას.

1907 წლის ჰააგის რეგულაციების 46-ე მუხლი და ჟენევის მეოთხე კონვენციის 47-ე მუხლი ასეთ გამონაკლისს არ ითვალისწინებს. ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლი, რომელიც 1-ლი პარაგრაფით კრძალავს მოსახლეობის იძულებით გადაადგილებასა და დეპორტაციას, მე-2 პარაგრაფში ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ ეს მოსახლეობის უსაფრთხოების ან განსაკუთრებული სამხედრო ხასიათის მოსაზრებებითაა განპირობებული¹. თუმცა, ეს გამონაკლისი არ ვრცელდება მე-6 პარაგრაფზე, რომელიც კრძალავს ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტაციას ან გადაყვანას. რაც შეეხება ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლს, რომელიც კერძო საკუთრების განადგურებას შეეხება, ეს დებულება ითვალისწინებს გამონაკლისს, თუკი [ქონების განადგურება] 'განპირობებულია საომარი მოქმედებების უკიდურესი აუცილებლობით'.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნები, რომლებზეც ზემოთ მოყვანილ დებულებებში მიუთითებენ, გამონაკლისის საფუძველს შესაძლოა ოკუპაციის წინარე საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგაც წარმოადგენდეს. თუმცა, სასამართლო მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლის დარღვევით განხორციელებული კერძო საკუთრების განადგურება საომარი მოქმედებების უკიდურესი აუცილებლობით არ იყო განპირობებული.

136. აქვე, სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ცალკეული კონვენციები, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, სახელმწიფოს ანიჭებს ხელშეკრულების ცალკეული დებულებებიდან გადახვევის უფლებას. თუმცა, სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის საფუძველზე გაგზავნილი შუამდგომლობა მხოლოდ პაქტის მე-9 მუხლზე მიუთითებს, რომელიც თავის მხრივ ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას აღიარებს (იხილეთ 127-ე პარაგრაფი); შესაბამისად, ისრაელი ვალდებულია დაიცვას პაქტის ყველა სხვა დებულება.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებების ცალკეული დებულებები განსაზღვრავენ ამა თუ იმ უფლებით დაცულ სფეროს და მათი შეზღუდვის საფუძვლებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი ასეთ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. თუმცა, პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად:

‘[ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული უფლებები] არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა კანონით გათვალისწინებული

შემთხვევებისა, თუკი ეს საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და შესაბამისობაშია ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.’

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის მე-4 მუხლი მსგავსი შინაარსის მქონე ზოგად დებულებას ითვალისწინებს:

‘წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ამ პაქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ფარგლებში სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით განსაზღვრული შეზღუდვები, თუკი ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და თუკი ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.’

სასამართლო აღნიშნავს, რომ თავად ამ დებულების ფორმულირების გათვალისწინებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული შეზღუდვები ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით აღიარებული გადაადგილების თავისუფლების გამონაკლისს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდვები არა მხოლოდ კონკრეტულ მიზანს უნდა ემსახუროდეს, არამედ შერჩეული ზომა აუცილებელი უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ‘აუცილებელია ეს ზომები შესაბამისობაში იყოს პროპორციულობის პრინციპთან’ და ‘დასახული მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი ხასიათის ფორმას უნდა წარმოადგენდეს’ (CCPR/C/21/Rev.1/Add.9, General Comment No. 27, para. 14). მის ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს პირობები დაცული არ არის.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პალესტინელების მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის კუთხით კედლის მშენებლობით გამოწვეული შეზღუდვები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. კერძოდ, ისრაელის მიერ გამოყენებული ზომები ‘დემოკრატიულ საზოგადოებაში ზოგადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზანს’ არ ემსახურება.

137. მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ შერჩეული კედლის ტრაექტორია აუცილებელი არ იყო უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ. კედლის ტრაექტორია და მასთან დაკავშირებული რეჟიმი მნიშვნელოვნად ზღუდავს ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პალესტინელების უფლებებს. ეს შეზღუდვები სამხედრო აუცილებლობის ან საჯარო წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებზე მითითებით ვერ იქნება გამართლებული. შესაბამისად, ისრაელის მიერ კედლის მშენებლობა არღვევს

სართაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

*

138. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კედლის მშენებლობა შეუსაბამოა ისრაელის საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა, გენერალური მდივნის ანგარიშის I დანართის თანახმად, ისრაელი აცხადებს, რომ 'ბარიერის მშენებლობა შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდაცვის განუსხვისებელ უფლებას და უშიშროების საბჭოს 1368(2001) და 1373(2001) რეზოლუციებს'. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა 2003 წლის 20 ოქტომბერ სგენერალური ასამბლეის წინაშე განაცხადა, რომ 'მესერის მშენებლობა შესაბამისობაშია წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდაცვის უფლებასთან;' მან განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 'არაორაზროვნად აღიარებდნენ სახელმწიფოთა უფლებას, რომ ტერორისტული თავდასხმების საპასუხოდ კანონიერი თავდაცვის უფლების განხორციელების ფარგლებში გამოეყენებინათ ძალა' და ამრიგად, ცხადია, რომ ეს რეზოლუციები არაძალისმიერი ზომების გამოყენების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს (A/ES-10/PV.21, გვ. 6).

139. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის თანახმად:

‘წინამდებარე წესდების არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ზღუდავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განუსხვისებელი უფლებით სარგებლობას, საწინააღმდეგო უშიშროების საბჭო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ზომებს მიიღებს.’

ამრიგად, წესდების 51-ე მუხლი აღიარებს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში კანონიერი თავდაცვის განუსხვისებელ უფლებას. თუმცა, ისრაელი არ დავობს, რომ მის წინააღმდეგ თავდასხმა სხვა სახელმწიფოს მიერ ხორციელდება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელი ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კონტროლს ახორციელებს და როგორც თავადვე აცხადებს, საფრთხე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობას ამართლებს, თავად ამ ტერიტორიებიდან მომდინარეობს. ამრიგად, ის განსხვავდება უშიშროების საბჭოს 1368(2001) და 1373(2001) რეზოლუციებში გათვალისწინებული შემთხვევებისგან და ისრაელს მაინც არ შეუძლია კანონიერ თავდაცვის უფლებაზე ამ რეზოლუციებზე დაყრდნობით აპელირება.

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წესდების 51-ე მუხლი ამ შემთხვევაში რელევანტური დებულება არ არის.

140. თუმცა, სასამართლომ განიხილა, შეეძლო თუ არა ისრაელს აუცილებლობის მდგომარეობის მოხმობა, რაც კედლის მშენებლობის მართლწინააღმდეგობას გამოიწვევდა. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუზვას იმ გარემოებას, რომ ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულებების ნაწილი მოიცავს დებულებებს, რომლებიც კონვენციით აღიარებული უფლებების შეზღუდვას ან ცალკეული დებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას იძლევა (იხილეთ 135-ე და 136-ე პარაგრაფები). ვინაიდან ამ ხელშეკრულებების დებულებები ასეთი გარემოებების არსებობის შესაძლებლობას უკვე ითვალისწინებს, მნიშვნელოვან საკითხად რჩება, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ საფუძვლად საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით აღიარებული აუცილებლობის მდგომარეობის გამოყენება. როგორც სასამართლომ *Gabčíkovo-Nagymaros Project (Hungary/Slovakia)* საქმეში აღნიშნა, ‘აუცილებლობის მდგომარეობა აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით’ და მისი გამოყენება ‘მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები’; ‘აუცილებლობის მდგომარეობაზე დაყრდნობა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული პირობების კუმულატიურად დაკმაყოფილების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი; სახელმწიფოები მხოლოდ თავად არ წყვეტენ, დაკმაყოფილებულია თუ არა ეს პირობები’. (*I.C.J. Reports 1997*, გვ. 40, para. 51). ამ წინაპირობათაგან ერთ-ერთი სასამართლომ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შერჩეული ფორმულირების მსგავსად განმარტა და აღნიშნა, რომ ქმედება ‘სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესების მძიმე და გარდაუვალი საფრთხის აღმოფხვრის ერთადერთ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს (საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული საერთაშორისო უმართლობისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების 25-ე მუხლი; აგრეთვე იხილეთ სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების მოსამზადებელი ვერსიის 33-ე მუხლი, რომელიც საბოლოო დოკუმენტისგან განსხვავებულ ფორმულირებას იყენებდა). მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ კედლის შერჩეული ტრაექტორიით მშენებლობა მიზნად მხოლოდ იმ საფრთხის აღმოფხვრას ისახავდა, რომელზე აპელირებითაც ამართლებდა ისრაელი კედლის მშენებლობას.

141. ფაქტია, რომ ისრაელი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული განურჩეველი და მომაკვდინებელი თავდასხმების მომსწრეა. მას აქვს უფლება, და ვალდებულია, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით საპასუხო ზომები მიიღოს. თუმცა, ამ მიზნით განხორციელებული ქმედებები მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

142. სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ისრაელი 122-ე და 137-ე პარაგრაფებში მოხსენიებული გარემოებების გათვალისწინებით კედლის მშენებლობის მართლწინააღმდეგობას თავდაცვის უფლებაზე ან აუცილებლობის მდგომარეობაზე დაყრდნობით ვერ გამოიწვევს. შესაბამისად, სასამართლო

მიიჩნევს, რომ კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

* * *

143. დაადგინა რა, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, კედლის მშენებლობითა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დამყარებით ისრაელი არაერთ საერთაშორისო ვალდებულებას არღვევს (იხილეთ 114-137 პარაგრაფები), სასამართლომ ამჯერად გენერალური ასამბლეის მიერ მომზადებულ კითხვას უნდა გასცეს პასუხი და ამ დარღვევების შედეგები განიხილოს.

* *

144. წერილობით და ზეპირ მოხსენებებში ამ პროცესის მონაწილე არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ისრაელის მიერ კედლის უკანონო მშენებლობა არა მხოლოდ ისრაელისთვის იწვევდა სამართლებრივ შედეგებს, არამედ სხვა სახელმწიფოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვისაც; თავის მხრივ, ისრაელს კედლის მშენებლობის შესაძლო სამართლებრივ შედეგებზე წერილობით მოხსენებაში არგუმენტები არ მოუყვანია.

145. ისრაელისთვის წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პირველ რიგში, სამართლებრივად ისრაელი ვალდებულია შეწყვიტოს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობა და ამ გზით, შეწყვიტოს ქმედებები, რომლებიც უკანონო მოცემულობას ქმნიან; ამასთან, ის ვალდებულია მსგავსი ქმედებების მომავალში განუხორციელებლობის პირობა დადოს.

ამასთან, აღინიშნა, რომ სამართლებრივად ისრაელი ვალდებულია უზრუნველყოს უკანონო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანის რეპარაცია. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რეპარაცია პირველ რიგში უნდა მოიაზრებდეს რესტიტუციას, კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კედლის უკვე აგებული ფრაგმენტების დანგრევა და კედლის მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების გაუქმება, ისევე როგორც ამ მიზნით რეკვიზიციას დაქვემდებარებული ან ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება; რეპარაცია უნდა მოიცავდეს სათანადო კომპენსაციის გადახდას იმ პირებისთვის, რომელთა სახლები ან სასოფლო-სამეურნეო მიწებიც კედლის მშენებლობის პროცესში განადგურდა.

მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ საერთაშორისო სამართლის ყველა ვალდებულება, რომელიც ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობით და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დაწესებით დაირღვა, განგრძობითი ხასიათისაა. რამდენიმე მონაწილემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის დებულებების თანახმად, ისრაელი ვალდებულია მოიძიოს ყველა პირი, რომელიც ეჭვმიტანილია კედლის დაგეგმვის, მშენებლობისა და გამოყენებიდან გამომდინარე საერთაშორისო ჰუმანიტარული

სამართლის მძიმე დარღვევების ჩადენაში ან ბრძანების გაცემაში და სასამართლოს წინაშე წარადგინოს ისინი.

146. რაც შეეხება არა ისრაელის, არამედ სხვა სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს, აღინიშნა, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ ცნოს კედლის მშენებლობით წარმოშობილი უკანონო მოცემულობა, არ დაეხმაროს ან ხელი არ შეუწყოს ამ მოცემულობის შენარჩუნებას ან ითანამშრომლონ, რათა ბოლო მოუღონ დარღვევებს და უზრუნველყონ უკანონო ქმედებებისთვის რეპარაცია.

რამდენიმე მონაწილემ ისიც აღნიშნა, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან, რომ კონვენციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული ქმედებები განახორციელონ და ვინაიდან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობა კონვენციის მძიმე დარღვევას წარმოადგენს, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან, რომ აწარმოონ პასუხისმგებელ პირთა სისხლის სამართლებრივი დევნა ან უზრუნველყონ მათი ექსტრადირება. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება, რომ:

‘გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, სისტემატიური და მძიმე დარღვევები და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წერტილი დაუსვას ამ დარღვევებს’.

ამასთან, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ უნდა გაითვალისწინონ სასამართლოს მიერ მომზადებული საკონსულტაციო დასკვნა.

* *

147. ვინაიდან სასამართლომ დაასკვნა, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში და მის გარშემო, კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება ისრაელის არაერთ საერთაშორისო ვალდებულებას, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეს დარღვევები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება.

148. ამჯერად სასამართლო ისრაელის მიერ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დარღვევების სამართლებრივ შედეგებზე იმსჯელებს. დამოუკიდებლად იქნება განხილული ერთი მხრივ, ისრაელისთვისა და მეორეს მხრივ სხვა სახელმწიფოების, რიგ შემთხვევებში კი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის, წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები. სასამართლო ისრაელისთვის დამდგარ სამართლებრივ შედეგებზე იმსჯელებს.

*

149. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელი პირველ რიგში ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები, რომლებიც ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობით დაარღვია (იხილეთ 114-137 პარაგრაფები). შესაბამისად, ისრაელი ვალდებულია პატივი სცეს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას და დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები. ამასთან, ის ვალდებულია უზრუნველყოს იმ წმინდა ადგილებთან წვდომა, რომელიც მისი კონტროლს ქვეშ 1967 წლის ომის შედეგად მოექცა (იხილეთ 129-ე პარაგრაფი).

150. სასამართლო მიიჩნევს, რომ ისრაელი აგრეთვე ვალდებულია შეწყვიტოს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის შედეგად გამოწვეული საერთაშორისო სამართლის დარღვევები. საერთაშორისო უმართლობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულება, რომ შეწყვიტოს დარღვევები, კარგად არის ჩამოყალიბებული ზოგად საერთაშორისო სამართალში; ამ ვალდებულების მნიშვნელობას სასამართლომ ხაზი არაერთხელ გაუსვა (*Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, Merits, Judgment, I.C.J. Reports 1986, გვ. 149; *United States Diplomatic and Consular Staff in Tehran*, Judgment, I.C.J. Reports 1980, გვ. 44, para. 95; *Haya de la Torre*, Judgment, I.C.J. Reports 1951, გვ. 82).

151. შესაბამისად, ისრაელი ვალდებულია არ განაგრძოს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, კედლის მშენებლობის სამუშაოები. ამასთანავე, სასამართლოს აზრით (იხილეთ 143-ე პარაგრაფი) ისრაელის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა გამოწვეულია კედლის მშენებლობითა და მასთან დაკავშირებული რეჟიმით. ამრიგად, ამ განგრძობითი ხასიათის დარღვევების შეჩერება მოითხოვს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში, უკვე აღმართული კედლის ფრაგმენტების დანგრევას. ყველა ნორმატიული აქტი და ბრძანება, რომელიც კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დაწესების მიზნით გამოიცა უნდა გაუქმდეს და ძალადაკარგულად გამოცხადდეს. აღნიშნული არ ვრცელდება იმ სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც პალესტინელი ხალხისთვის კომპენსაციის მინიჭებას ან სხვა ფორმის რეპარაციას ითვალისწინებს, რადგან ეს დოკუმენტები შესაძლოა საჭირო იყოს ისრაელის მიერ 153-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

152. ამასთან, ვინაიდან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის პროცესი *inter alia* საცხოვრებელი სახლების, საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების რეკვიზიციასა და განადგურებასაც მოიცავდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისრაელი ვალდებულია უზრუნველყოს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიყენებული ზიანის რეპარაცია. სასამართლო მიუთითებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებულ რეპარაციის ძირითად ფორმებზე, რომლებიც მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სასამართლომ ამგვარად ჩამოაყალიბა:

‘უკანონო ქმედების ცნება მოიცავს ძირითად პრინციპს, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკასა და კერძოდ, საარბიტრაჟო ტრიბუნალების პრაქტიკაში ჩამოყალიბდა. ამ პრინციპის თანახმად, რეპარაციამ უნდა უზრუნველყოს უკანონო ქმედების შედეგების შეძლებისდაგვარად გამოსწორება და აღადგინოს ის მოცემულობა, რომელიც ჩვეულებრივ იარსებებდა, უკანონო ქმედებას რომ არ ჰქონოდა ადგილი. რესტიტუცია [პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა] ან, თუკი ეს შეუძლებელია, მიყენებული ზიანის ოდენობის მატერიალური კომპენსაცია; საჭიროების შემთხვევაში იმ ზიანის ანაზღაურება, რომლის გამოსწორებაც რესტიტუციის ან კომპენსაციის გადახდის გზით ვერ მოხერხდა - საერთაშორისო სამართლის დარღვევებისთვის კომპენსაციის ოდენობა ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს (*Factory at Chorzów, Merits, Judgment No. 13, 1928, P.C.I.J., Series A, No. 17*, გვ. 47).

153. ამრიგად, ისრაელი ვალდებულია დააბრუნოს სასოფლო-სამეურნეო მიწები, ხეხილის ბაღები და სხვა უძრავი ქონება, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის პროცესში ჩამოერთვათ. თუკი რესტიტუცია ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, ისრაელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია. სასამართლო მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად ისრაელი აგრეთვე ვალდებულია კომპენსაცია გადაუხადოს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებმაც კედლის მშენებლობის შედეგად მატერიალური ზიანი განიცადეს.

*

154. ამჯერად სასამართლო ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სახით ჩადენილი საერთაშორისო უმართლობიდან სხვა ქვეყნებისთვის წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებზე იმსჯელებს.

155. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ დარღვეული საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილი *erga omnes* ხასიათისაა. სასამართლომ *Barcelona Traction* საქმეში აღნიშნა, რომ ეს ვალდებულებები თავიანთი შინაარსის გამო ‘ყველა სახელმწიფოს შეეხება’ და ‘ამ უფლებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი დაცვა ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესის სფეროს განეკუთვნება’ (*Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, Second Phase, Judgment, I.C.J. Reports 1970*, გვ. 32, para. 33). ისრაელის მიერ დარღვეულ *erga omnes* ვალდებულებებს განეკუთვნება პალესტინელ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულებები.

156. პალესტინელ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლომ (88-ე პარაგრაფში) უკვე აღნიშნა, რომ *East Timor* საქმეში ხაზი გაესვა

იმ ფაქტს, რომ 'გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებებსა და მის პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ხალხთა თვითგამორკვევის უფლება *erga omnes* ხასიათისაა' (*I.C.J. Reports 1995*, გვ. 102, para. 29). ამასთან, სასამართლოს სურს კიდევ ერთხელ მოიხმოს გენერალური ასამბლეის 2625(XXV) რეზოლუცია (რომელზეც 88-ე პარაგრაფში უკვე გაამახვილა ყურადღება):

‘ყველა სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების დაცვით ერთობლივად ან დამოუკიდებლად შეუწყონ ხელი თანასწორობის პრინციპისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დახმარება აღმოუჩინონ ამ პრინციპების იმპლემენტაციის პროცესში...’

157. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* [ბირთვული იარაღების გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის კანონიერების] შესახებ საკონსულტაციო დასკვნაზე, სადაც უკვე განაცხადა, რომ “შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელი ჰუმანიტარული წესების უმეტესობა იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსების პატივისცემისათვის და ‘ადამიანურობის ელემენტარულ საწყისს წარმოადგენს’..., რომ ‘ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ეს ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა იმ საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი, რომლებიც ამ წესებს ითვალისწინებენ, რადგან ისინი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის უცვლელ პრინციპებს განეკუთვნებიან’ (*I.C.J. Reports 1996 (I)*, გვ. 257, para. 79). სასამართლოს აზრით, ეს წესები აერთიანებენ ვალდებულებებს, რომლებიც ძირითადად *erga omnes* ხასიათისაა.

158. სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ჟენევის ოთხი კონვენციის საერთო 1-ლი მუხლის თანახმად ‘[კონვენციების] მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის შესრულება’. ამ დებულების თანახმად, კონვენციის წევრი ყველა სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, კონკრეტული შეიარაღებული კონფლიქტის მხარეა თუ არა, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების დებულებების დაცვა.

159. განსახილველი უფლებებისა და ვალდებულებების ხასიათისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ სცნოს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში და მის გარშემო, კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი უკანონო ფაქტობრივი მოცემულობა. ისინი ვალდებულნი არიან არ დაეხმარონ ან ხელი არ შეუწყონ კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი მდგომარეობის შენარჩუნებას. ამასთან, ყველა სახელმწიფო ვალდებულია რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მიიღოს სათანადო ზომები, რათა აღმოიფხვრას კედლის მშენებლობის შედეგად პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზების კუთხით არსებული დაბრკოლებები. ამასთან ერთად, ომის დროს სამოქალაქო

პირების დაცვის შესახებ 1949 წლის ჟენევის კონვენციის ხელშემკვერელი მხარეები ვალდებული არიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და საერთაშორისო სამართლის გზით უზრუნველყონ ისრაელის მიერ ზემოხსენებული კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა.

160. და ბოლოს, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, განსაკუთრებით კი - გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ, ამ საკონსულტაციო დასკვნის გათვალისწინებით უნდა განიხილონ სხვადასხვა საჭირო ზომების გატარების მიზანშეწონილობის საკითხი, რათა დასრულდეს კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმით შექმნილი უკანონო მდგომარეობა.

* * *

161. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და წესდებით გაწერილი პრინციპების, კერძოდ კი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა და დავის მშვიდობიანი მოგვარების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ძალისხმევა უნდა გააორმაგოს. ეს კონფლიქტი გამუდმებით უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. შესაბამისად, რეგიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისთვის აუცილებელია პრობლემის გადაჭრის გზის დროულად მოძიება.

162. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ამრიგად, სასამართლომ ამ უკანონობის სამართლებრივი შედეგებიც ჩამოთვალა. სასამართლო თავს ვალდებულია მიიჩნევს ისიც აღნიშნოს, რომ კედლის მშენებლობა უფრო ზოგადი კონტექსტის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს. 1947 წლიდან, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ 181(II) რეზოლუცია მიიღო და პალესტინისთვის მანდატი შეწყდა, დაიწყო რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი, უკვე ყოფილ სამანდატო ტერიტორიებზე თავი იჩინა განურჩეველი ხასიათის ძალადობამ და რეპრესიებმა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელიც და პალესტინაც ვალდებული არიან, რომ ზედმიწევნით დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები, რადგან ისინი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის უზენაეს მიზანს ემსახურებიან. უკანონო ქმედებებსა და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს შეიარაღებული კონფლიქტის ორივე მხარის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ტრაგიკული ვითარება უნდა შეიცვალოს და რომ ეს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით, კერძოდ 242(1967) და 338(1973) რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ზედმიწევნით შესრულების გზით გახდება შესაძლებელი. უშიშროების საბჭოს 1515(2003) რეზოლუციით დამტკიცებული 'მონახაზი' მოლაპარაკებების დაწყების ყველაზე უახლეს მცდელობას წარმოადგენს. სასამართლო თავს ვალდებულია მიიჩნევს აცნობოს გენერალურ ასამბლეას (რომელმაც ამ სარეკომენდაციო დასკვნის

გამოცემა ითხოვა), რომ ძირითადი პრობლემების საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვეტისა და მთელ რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ინტერესების დაცვით, ისრაელისა და სხვა მომიჯნავე სახელმწიფოების მეზობლად, პალესტინური სახელმწიფოს შექმნისთვის აუცილებელია მიიღწეს მოლაპარაკებებზე დაფუძნებული შეთანხმება.

* * *

163. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,

სასამართლო,

(1) ერთხმად,

მიიჩნევს, რომ მას დასმულ კითხვაზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადების საკითხზე იურისდიქცია გააჩნია;

(2) თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა, დააკმაყოფილოს მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის მომზადების თაობაზე;

მომხრე: *პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშხეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;*

მოწინააღმდეგე: *მოსამართლე ბურგენტალი.*

(3) *პასუხობს* გენერალური ასამბლეის მიერ მომზადებულ კითხვას :

A. თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,

ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო, კედლის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს;

მომხრე: *პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშხეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;*

მოწინააღმდეგე: *მოსამართლე ბურგენტალი.*

B. თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,

ისრაელი ვალდებულია შეწყვიტოს საერთაშორისო სამართლის დარღვევა; ის ვალდებულია შეაჩეროს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო, კედლის მშენებლობა, დაანგრიოს კედლის უკვე აღმართული ნაწილები და გააუქმოს და ამ სარეკომენდაციო დასკვნის 151-ე პარაგრაფის შესაბამისად ბათილად გამოაცხადოს ის ნორმატიული აქტები და რეგულაციები, რომლებიც კედლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოიცა;

მომხრე: *პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;*

მოწინააღმდეგე: *მოსამართლე ბურგენტალი.*

C. თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,

ისრაელი ვალდებულია უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის გარშემო კედლის მშენებლობით გამოწვეული ყველა სახის ზიანის რეპარაცია;

მომხრე: *პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;*

მოწინააღმდეგე: *მოსამართლე ბურგენტალი.*

D. ცამეტი ხმით ორის წინააღმდეგ,

ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ აღიაროს კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი უკანონო მდგომარეობა და არ დაეხმაროს ან სხვაგვარად არ შეუწყოს ხელი ამ მოცემულობის შენარჩუნებას; ამასთანავე, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მეოთხე კონვენციის ყველა ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის დაცვით მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყონ ისრაელის მიერ ამ კონვენციით კოდიფიცირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა;

მომხრე: *პრეზიდენტი ში; ვიცე-პრეზიდენტი რანჯევა; მოსამართლეები გიომი, კორომა, ვერეშეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;*

მოწინააღმდეგე: *მოსამართლეები კუიჯმანსი და ბურგენტალი.*

E. თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, და განსაკუთრებით კი გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ უნდა განიხილონ ამ საკონსულტაციო დასკვნის გათვალისწინებით სხვა დამატებითი ზომების გატარების მიზანშეწონილობის საკითხი, რათა აღმოიფხვრას კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმით შექმნილი უკანონო ვითარება ;

მომხრე: *პრეზიდენტი* ში; *ვიცე-პრეზიდენტი* რანჯევა; *მოსამართლეები* გიომი, კორომა, ვერეშეტინი, ჰიგინსი, პარა-არანგურენი, კუიჯმანსი, რეზეკი, ალ-კესავნეჰი, ელარაბი, ოვადა, სიმა, ტომკა;

მოწინააღმდეგე: *მოსამართლე* ბურგენტალი.

შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ენას, მშვიდობის სასახლე, ჰააგა, ცხრამეტი ივლისი, ორიათას ოთხი წელი, ორ ეკუმპლარად, რომელთაგან ერთ-ერთი სასამართლოს არქივში ინახება, ხოლო მეორე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გადაეცემა.

(*ხელმოწერა*) ში ჯიუიონგი,

პრეზიდენტი.

(*ხელმოწერა*) ფილიპ კუვრერი,

მდივანი.

მოსამართლეებმა, *კორომამ*, *ჰიგინსმა*, *კუიჯმანსმა* და *ალ-კესავნეჰმა* სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას დამოუკიდებელი მოსაზრებებიც დაურთეს; მოსამართლე *ბურგენტალმა* სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას განცხადება დაურთო; მოსამართლეებმა *ელარაბიმ* და *ოვადამ* სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას დამოუკიდებელი მოსაზრებებიც დაურთეს.

(*ინიციალები*) მ. ჯ. შ.

(*ინიციალები*) ფ. კ.